კირიბატის რესპუბლიკა:ენა- კირიბატი; **ვალუტა-** ავსტრალიური დოლარი.

კოლუმბიის რესპუბლიკა:ენა- ესპანური; **ვალუტა-** კოლუმბიური პესო.

კომორის კუნძულების ფედერაციული ისლამური რესპუბლიკა:ენა- ფრანგული; **ვალუტა-** კომორის ფრანკი.

კოსტა-რიკას რესპუბლიკა:ენა- ესპანური; **ვალუტა-** კოლონი.

კოტ-დივუარის რესპუბლიკა:ენა- ფრანგული; **ვალუტა-** ფრანკი.

კუბის რესპუბლიკა:ენა- ესპანური; **ვალუტა-** კუბური პესო.

ლ

ლაოსის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა:ენა- ლაოსური; **ვალუტა-** კიპი.

ლატვიის რესპუბლიკა:ენა- ლატვიური; **ვალუტა-** ლატი.

ლესოტოს სამეფო:ენა- სესუტო; **ვალუტა-** ლოტი.

ლიბანის რესპუბლიკა:ენა- არაბული; **ვალუტა-** ლიბანური ფუნტი.

ლიბერიის რესპუბლიკა :ენა- ინგლისური; **ვალუტა-** ლიბერიული დოლარი.

ლიბიის არაბთა სოციალისტური სახალხო ჯამაჰირია :ენა- არაბული; **ვალუტა-** ლიბიური დინარი.

ლიტვის რესპუბლიკა :ენა- ლიტვური; **ვალუტა-** ლიტი.

ლიხტენშტაინის სამთავრო :ენა- გერმანული; **ვალუტა-** შვეიცარული ფრანკი .

ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგო :ენა- ლუქსემბურგული; **ვალუტა-** ევრო.

მ

მავრიკის რესპუბლიკა:ენა- ინგლისური; **ვალუტა-** მავრიკიული რუპე.

მავრიტანიის ისლამური რესპუბლიკა:ენა- ფრანგული, არაბული; **ვალუტა-** უგია.

მადგასკარის რესპუბლიკა:ენა- მალაგაური; **ვალუტა-** მალაგაური ფრანკი.
მაკედონიის რესპუბლიკა:ენა- მაკედონიური; **ვალუტა-** მაკედონიური დინარი.
მალავის რესპუბლიკა:ენა- ინგლისური; **ვალუტა-** მალავის კვაჩა.
მალაიზია :ენა- მალაიური; **ვალუტა-** რინგგითი.
მალის რესპუბლიკა :ენა- ფრანგული; **ვალუტა-** ფრანკი.
მალდივის რესპუბლიკა:ენა- დივეხი; **ვალუტა-** მალდივიური რუფია.
მალტის რესპუბლიკა:ენა- მალტური; **ვალუტა-** მალტური ლირა.
მაროკოს სამეფო :ენა- არაბული; **ვალუტა-** დირხამი.
მარშალის კუნძულების რესპუბლიკა:ენა-მარშალური; **ვალუტა-** აშშ დოლარი.
მექსიკის შეერთებული შტატები:ენა- ესპანური; **ვალუტა-** მექსიკური პესო.
მიკრონეზიის ფედერაციული შტატები:ენა- ინგლისური; **ვალუტა-** აშშ დოლარი.
მოზამბიკის რესპუბლიკა:ენა- პორტუგალიური; **ვალუტა-** მეტიკალი.
მოლდავეთის რესპუბლიკა:ენა- მოლდოვეური; **ვალუტა-** ლეი.
მონაკოს სამთავრო :ენა- ფრანგული; **ვალუტა-** ევრო.
მონღოლეთის რესპუბლიკა :ენა- მონღოლური; **ვალუტა-** ტუგრიკი.
მიანმის კავშირი :ენა- ბირმული; **ვალუტა-** მიანმის კიატი.

6

ნამიბიის რესპუბლიკა :ენა- ინგლისური; **ვალუტა-** ნამიბიური დოლარი.
ნაურუს რესპუბლიკა :ენა- ნაურული; **ვალუტა-** ავსტრალიური დოლარი.
ნეპალის სამეფო:ენა- ნეპალური; **ვალუტა-** ნეპალური რუპია.
ნიგერიის რესპუბლიკა :ენა- ფრანგული; **ვალუტა-** ფრანკი.
ნიგერიის ფედერაციული რესპუბლიკა :ენა- ინგლისური; **ვალუტა-** ნიგერიული ნაირა.
ნიდერლანდების სამეფო :ენა- ნიდერლანდური; **ვალუტა-** ევრო.
ნიკარაგუას რესპუბლიკა :ენა- ესპანური; **ვალუტა-** კორდობა.

ნორვეგიის სამეფო :ენა- ნორვეგიული; ვალუტა- ნორვეგიული კრონა.

ო

ომანის სასულთნო:ენა- არაბული; ვალუტა- ომანის რიალი.

პ

პაკისტანის ისლამური რესპუბლიკა:ენა- ურდუ; ვალუტა- პაკისტანური რუპია.

პალაუს რესპუბლიკა:ენა- პალაური; ვალუტა- აშშ დოლარი.

პანამის რესპუბლიკა :ენა- ესპანური; ვალუტა- ბალბოა.

პაპუა-ახალი გვინეას დამოუკიდებელი სახელმწიფო :ენა- ინგლისური; ვალუტა- კინა.

პარაგვაის რესპუბლიკა :ენა- ესპანური; ვალუტა- პარაგვაის გუარანი.

პერუს რესპუბლიკა :ენა- ესპანური; ვალუტა- ნუევო სოლი.

პოლონეთის რესპუბლიკა:ენა- პოლონური; ვალუტა- ზლოტი.

პორტუგალიის რესპუბლიკა:ენა- პორტუგალიური; ვალუტა- ევრო.

რ

რუსეთის ფედერაცია :ენა- რუსული; ვალუტა- რუბლი.

რუანდას რესპუბლიკა :ენა- ფრანგული; ვალუტა- რუანდული ფრანკი.

რუმინეთი -:ენა- რუმინული; ვალუტა- რუმინული ლეი.

ს

საბერძნეთის რესპუბლიკა :ენა- ბერძნული; ვალუტა- ევრო.

სალვადორის რესპუბლიკა :ენა- ესპანური; ვალუტა- კოლონი.

სამოას დამოუკიდებელი სახელმწიფო კუნძულოვანი ჯუჯა სახელმწიფო:ენა- სამოური; ვალუტა- ტალა.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა (სარ) :ენა- აფრიკული; ვალუტა- რენდი.

სან-მარინოს რესპუბლიკა :ენა- იტალიური; ვალუტა- ევრო.

სან-ტომესა და პრინსიპის დემოკრატიული რესპუბლიკა
:ენა- პორტუგალიური; ვალუტა- დობრა.

საუდის არაბეთის სამეფო :ენა- არაბული; ვალუტა- საუდის რიალი.

საფრანგეთის რესპუბლიკა :ენა- ფრანგული; ვალუტა- ევრო.
შეიშელის კუნძულების რესპუბლიკა:ენა- ინგლისური; ვალუტა- შეიშელის რუპი.

სენეგალის რესპუბლიკა:ენა- ფრანგული; ვალუტა-.

სენტ-ვინსენტი და გრენადინები :ენა-; ვალუტა- ფრანკი.

სენტ-ლუსია :ენა- ინგლისური; ვალუტა- აღმოსავლეთ კარიბიული დოლარი.

სინგაპურის რესპუბლიკა:ენა- ჩინური; ვალუტა- სინგაპურის დოლარი.

სირიის არაბთა რესპუბლიკა :ენა- არაბული; ვალუტა- სირიული ფუნტი.

სლოვაკეთის რესპუბლიკა :ენა- სლოვაკური ; ვალუტა- სლოვაკური კრონა.

სლოვენიის რესპუბლიკა :ენა- სლოვენური; ვალუტა- სლოვენური ტოლარი.

სოლომონის კუნძულები :ენა- ინგლისური; ვალუტა- სოლომონის კუნძულების დოლარი.

სომალის დემოკრატიული რესპუბლიკა :ენა- სომალური; ვალუტა- სომალის შილინგი.

სომხეთის რესპუბლიკა :ენა- სომხური; ვალუტა- დრამი.

სუდანის რესპუბლიკა:ენა- არაბული; ვალუტა- სუდანის დინარი.

სიერა-ლეონეს რესპუბლიკა :ენა- ინგლისური; ვალუტა- ლეონე.

ტ

ტაჯიკეთის რესპუბლიკა :ენა- ტაჯიკური; ვალუტა- რუბლი.

ტაილანდის სამეფო :ენა- ტაისური; ვალუტა- ტაისური ბატი.

ტანზანიის გაერთიანებული რესპუბლიკა :ენა- სუახილი; ვალუტა- ტანზანური შილინგი.

ტოგოს რესპუბლიკა :ენა- ფრანგული; ვალუტა- ფრანკი.

ტრინიდადის და ტობაგოს რესპუბლიკა :ენა- ინგლისური; ვალუტა- ტრინიდადი და ტობაგოს დოლარი.

ტუნისის რესპუბლიკა - :ენა- არაბული; ვალუტა- დინარი.

უ

უგანდას რესპუბლიკა :ენა- ინგლისური; ვალუტა- უგანდას შილინგი.

უზბეკეთი :ენა- უზბეკური; ვალუტა- სუმი.

უკრაინა :ენა- უკრაინული; ვალუტა- გრივნა.

უნგრეთის რესპუბლიკა :ენა- უნგრული; ვალუტა- ფორინტი.

ურუგვაის აღმოსავლეთი რესპუბლიკა:ენა- ესპანური;

ვალუტა- ურუგვაის ახალი პესო.

ფ

ფიჯის რესპუბლიკა :ენა- ინგლისური; ვალუტა- ფიჯის დოლარი.

ფილიპინების რესპუბლიკა:ენა- ფილიპინური; ვალუტა- ფილიპინური პესო.

ფინეთის რესპუბლიკა:ენა- ფინური; ვალუტა- ევრო.

ქ

ქუვეითის სახელმწიფო:ენა- არაბული; ვალუტა- ქუვეიტის დინარი.

ყ

ყაზახეთის რესპუბლიკა :ენა- ყაზახური; ვალუტა- ტენგე.

ყირგიზეთის რესპუბლიკა :ენა- ყირგიზული; ვალუტა- ყირგიზული სომი.

შ

შვეიცარიის კონფედერაცია:ენა- ფრანგული; ვალუტა- შვეიცარული ფრანკი.

შვედეთის სამეფო:ენა- შვედური; ვალუტა- შვედური კრონა.

შრი-ლანკას დემოკრატიული სოციალისტური
რესპუბლიკა:ენა- სინგალური; **ვალუტა-** შრი-ლანკის რუპია.

ჩ

ჩადის რესპუბლიკა:ენა- ფრანგული; **ვალუტა-** ფრანკი.
ჩეხეთის რესპუბლიკა:ენა- ჩეხური; **ვალუტა-** კრონა.

ჩილეს რესპუბლიკა:ენა- ესპანური; **ვალუტა-** ჩილური პესო.
ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა:ენა- ჩინური; **ვალუტა-** იუანი.

ც

ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა (ცარ) :ენა- ფრანგული;
ვალუტა- ფრანკი.

ხ

ხორვატიის რესპუბლიკა:ენა- ხორვატული; **ვალუტა-** კუნა.

ჯ

ჯიბუტის რესპუბლიკა:ენა- ფრანგული; **ვალუტა-** ჯიბუტის
ფრანკი.

კ

კაიტის რესპუბლიკა:ენა- ფრანგული; **ვალუტა-** გურდი.
კონდურასის რესპუბლიკა:ენა- ესპანური; **ვალუტა-** ლემპირა.

რა არის ანთროპოლოგია?

ანთროპოლოგია, რომელიც ბერძნული სიტყვისაგან *Anthrōpos* – (ადამიანი) და *Logos* (გონება, ცოდნა) შედგება, ზოგადი განსაზღვრებით გულისხმობს მეცნიერებას ადამიანის შესახებ. ანთროპოლოგიური კვლევების ისტორია XIX საუკუნიდან იწყება, როდესაც იწყებს ჩამოყალიბებას ეთნოლოგიური მეთოდიკა და ჩნდება თეორიული სკოლები. დისციპლინის განვითარება სხვადასხვა ეტაპებს მოიცავს. იცვლებოდა როგორც მეთოდოლოგიურ-თეორიული მიდგომები, ასევე ტერმინოლოგია და კვლევის თემატიკა. დარგის განვითარების ადრეულ ეტაპზევე გამოიკვეთა განსხვავებული დისციპლინის დასახელებასთან დაკავშირებით. ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში და რუსეთში დამკვიდრდა ტერმინი ეთნოგრაფია/ ეთნოლოგია ხოლო ამერიკასა და დიდ ბრიტანეთში უპირატესობა ტერმინ ანთროპოლოგიას (კულტურულსა და სოციალურს) მიენიჭა. 1990-იანი წლებიდან მსოფლიოს სხვადასხვა სამეცნიერო წრეებში უფრო და უფრო მეტად იკიდებს ფეხს ტერმინი ანთროპოლოგია.

დასავლეთ ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში, ანთროპოლოგია მიიჩნევა მეცნიერებად, რომელიც ადამიანს შეისწავლის სოციალური, კულტურული და ფიზიკური განზომილებების მიხედვით, ხოლო კვლევის უმნიშვნელოვანეს ელემენტად ეთნოლოგიური მიდგომები წარმოგვიდგება. ფრანგული სკოლა ანთროპოლოგიას სოციოლოგიის ქვედარგად აღიარებს, ანგლოსაქსონური ტრადიციით, იგი რამოდენიმე დარგისაგან შემდგარი პოლიდისციპლი-

ნური მეცნიერება (ბიოლოგიური, სოციალური და კულტურული ანთროპოლოგია). განცალკევებით დგას ფილოსოფიური ანთროპოლოგია რომელიც არის არა მარტო ემპირიული მეცნიერება, ოფრო მეტად რელიგიურ-ფილოსოფიური გაანალიზება ადამიანის შესახებ. საბჭოთა მეცნიერებაში ანთროპოლოგია განიხილებოდა როგორც ბიოლოგიური მეცნიერება ადამიანის წარმოშობისა და ევოლუციის, ადამიანთა რასების შესახებ. იკვლევს ადამიანის ფიზიკური ტიპის ვარიაციებს დროსა და სივრცეში, ადამიანისა და მისი რასების წარმოშობის, ჩამოყალიბების და შემდგომი განვითარების შესწავლის მიზნით. პოსტსაბჭოთა პერიოდში გაფართოვდა მისი მნიშვნელობა.

ანთროპოლოგია არის მოძღვრება ანუ მეცნიერება ადამიანის შესახებ. გარდა იმისა, რომ ანთროპოლოგია მოიცავს ადამიანის განვითარებას როგორც გეოგრაფიული, ისე ისტორიული თვალსაზრისით, მას ახასიათებს, აგრეთვე, ადამიანის შესწავლისადმი ერთიანი, მრავალმხრივი მიდგომა. ანთროპოლოგები შეისწავლიან არა მხოლოდ განსხვავებული ტიპის ადამიანებს, არამედ მათი გამოცდილების სხვადასხვა ასპექტსაც. მაგალითად, ადამიანთა ჯგუფის აღწერისას ანთროპოლოგი ითვალისწინებს იმ ადგილის ისტორიას, სადაც ისინი ცხოვრობენ, ბუნებრივ პირობებს, ოჯახური ცხოვრების ორგანიზაციას, ენის ძირითად თვისებებს, დასახლების ტიპებს, პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემებს, რელიგიას, ხელოვნების სტილსა და ტანსაცმელს. წარსულში ცალკეული ანთროპოლოგები ცდილობდნენ სხვადასხვა საკითხის ერთდროულად განხილვას. დღეს კი, ისევე, როგორც მრავალ სხვა დისციპლინაში, იმდენად დიდი ინფორმაცია დაგროვდა, რომ ანთროპოლოგებში გაჩნდა

ტენდენცია ერთ ვიწრო თემაზე ან სფეროში იმუშაონ. ასე რომ, ერთმა ანთროპოლოგმა შეიძლება გამოიკვლიოს ზოგიერთი პრეისტორიული წინაპრის ფიზიკური ნიშნები, მეორემ – გარემოს გავლენა მოსახლეობის განვითარებაზე ხანგრძლივი დროის მანძილზე, მესამემ კი — ადამიანთა გარკვეული ჯგუფის წეს-ჩვეულებები. ამგვარი სპეციალიზაციის მიუხედავად, ანთროპოლოგია მაინც ერთიან ორიენტაციას ინარჩუნებს, რაც იმას ნიშნავს, რომ მრავალი განსხვავებული დარგის საშუალებით ერთობლივად შეისწავლის ადამიანის არსებობის სხვადასხვა ასპექტს წარსულსა და აწმყოში.

ანთროპოლოგიურ კვლევებად განიხილება ბიოლოგიური ანთროპოლოგიის, არქეოლოგიის, ლინგვისტიკის, ეთნოლოგიის, სოციოკულტურული ანთროპოლოგიისა და ფოლკლორისტიკის მიმართულებით წარმოებული კვლევები. დღეს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ზემოთ ჩამოთვლილ დარგთა მეთოდების გამოყენებით შეკრებილ მონაცემთა საფუძველზე, თანამედროვე სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემების გადაჭრას. ასეთ მიდგომას გამოყენებით ანთროპოლოგიას უწოდებენ. თუ ადრე ანთროპოლოგები ძირითადად დაკავებული იყვნენ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ცენტრებში. თანამედროვე ეტაპზე მათი დასაქმების არეალი გაიზარდა. პირობითად შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე სფერო, სადაც ისინი არიან დასაქმებულები: სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ადმინისტრაციული სექტორი, არასამთავრობო ორგანიზაციები და ტელეკომპანიები. დასახელებულ სტრუქტურებში ისინი მუშაობენ და არიან წარმატებული ხელმძღვანელები, მეცნიერები, პედაგოგები, ექსპერტები, კონსულტანტები, ჟურნა-

ლისტები, რეჟისორები და სხვა. ამ დარგის მიმართულებათა ჩამონათვალიც კი ხაზს უსვამს ამ დისციპლინის აქტუალობაზე: კულტურული, სოციალური, ეთნიკური, პოლიტიკური, იურიდიული, ეკონომიკური, რელიგიური, ფსიქოლოგიური, ფილოსოფიური, ვიზუალური, პედაგოგიური და ა.შ.

ანალოგიური მეცნიერება საქართველოში ძირითადად ორი სახელით — ეთნოგრაფიითა (ხალხის აღწერა) და ეთნოლოგიით (ხალხის შესწავლა) არის ცნობილი. დასავლური სპეციალური ლიტერატურის მიხედვით, ეს დარგები გაყოფილია, როგორც აღწერილობითი და თეორიული დისციპლინა და ორივე ისტორიისკენ, ხოლო სოციალური და კულტურული ანთროპოლოგია — სოციოლოგიისკენ იხრება.

ეთნოლოგიის სახელწოდება ორი ძველი ბერძნული სიტყვის შეერთების შედეგადაა მიღებული. პირველი მათგანი — „ეთნოს“ ხალხს აღნიშნავს, ხოლო მეორე — „ლოგოს“ კი — მოძღვრებას. ეთნოლოგიის ობიექტს წარმოადგენენ ეთნოსები — ხალხები და იგი შეისწავლის: ეთნოსების წარმოქმნას (ეთნოგენეზს); ეთნოსების ისტორიულ ევოლუციას (ეთნიკურ ისტორიას); ეთნოსების თანამედროვე ცხოვრებას; თვალმისაწვდომ მომავალში ეთნოსთა განვითარების შესაძლო გზებს.

თანამედროვე ეთნოლოგიის კონკრეტული კვლევითი გამოცდილებისა და სამეცნიერო მიმართულებებიდან გამომდინარე ეთნოლოგიის საგანს მიეკუთვნება შემდეგი პრობლემები: ხალხთა მატერიალური კულტურა; ხალხების ტრადიციული სამეურნეო ყოფა, მეურნეობისა და ეკონომიკის ზემოქმედება ეთნოსების განვითარებაზე; სხვადასხვა ხალხების სულიერი კულტურა, რიტუალები, რწმენენარმოდგენები; ტრადიციული საზოგადოებრივი სისტემები, ხალხების სოციალური და პოლიტიკური სტრუქტურები; სხვადასხვა ხალხებისათვის დამახასიათებელი აღზრდისა და

ქცევის სისტემები; ხალხების უზრუნველყოფის სისტემები; ეთნოსთა ფასეულობითი სისტემების შედარება; კულტურათშორისი კონტაქტების თავისებურებები; ხალხთა განსახლებები; ეთნოსებში მიმდინარე დემოგრაფიული პროცესები; ეთნიკური ცნობიერება და თვითშეგნება; ხალხების სახელწოდებები და თვითსახელწოდებები (ეთნონიმია) და ხალხთა ტერიტორიული დანაყოფების, ერთეულების აღმნიშვნელი ტერმინები; ენობრივი ქცევა და მისი ეთნოსებზე გავლენა; ეთნიკურ ინტერესებთან, ეთნოსთაშორის კავშირებთან და მათ შორის კონფლიქტურ ურთიერთობებთან დაკავშირებული პოლიტიკური საკითხები; ეთნიკური სისტემების დინამიკა.

ეთნოლოგიას, როგორც მეცნიერებას, კიდევ ერთი თავისებურება ახასიათებს. გარდა ეთნოლოგიისა, ის სხვადასხვა სახელწოდებებით არის ცნობილი. სულ ცოტა ხნის წინ ის საქართველოში ეთნოგრაფიის სახელწოდებას ატარებდა. დასავლეთში მას კულტურულ ანთროპოლოგიას, სოციალურ ანთროპოლოგიას უწოდებენ. ამავე დროს ის სხვადასხვა მიმართულებითაც განვითარდა. ზოგან აქცენტი მის საისტორიო მიმართულებაზე გამახვილდა, ზოგან — სოციოლოგიურ, ფილოსოფიურ და კულტუროლოგიურ მიმართულებებზე. ერთ შემთხვევაში თუ წინ ეთნოსების (ხალხების) კვლევამ წამოიწია, მეორე შემთხვევაში — მისთვის ამოსავალი ადამიანი და ადამიანთა ერთობა (სოციალუმი) იყო. ამდენად, ეთნოლოგიის კვლევის საგანი რთული და არაერთგვაროვანია.

რა არის კულტურის კვლევები?

XX საუკუნის 50-იანი წლებიდან ყალიბდება დარგი, რომლის სახელწოდებად მკვიდრდება კულტურის მეცნიერებები/კულტურის კვლევები. ჩვეულებრივ, ამ ტერმინს ხან კულტურული ანთროპოლოგიის სინონიმური, ხან კი უფრო ფართო მნიშვნელობით იყენებენ. კულტურის მეცნიერებათა ცალკე დარგად ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი მიუძღვის ამერიკული კულტურული ანთროპოლოგიის წარმომადგენელს ლესლი ელვინ უაიტს, რომელმაც, კოლეგებთან სერიოზულ კამათში, დაასაბუთა კულტურის მრავალმხრივი ფენომენის საგანგებო შესწავლის აუცილებლობა და დარგის სახელწოდებად “კულტუროლოგია” შემოგვთავაზა. თავად ტერმინის “კულტურის კვლევები/მეცნიერებები” შემოტანა რიჩარდ ჰოგარტის სახელს უკავშირდება. კულტურის მეცნიერებები თავს უყრის კულტურის ანთროპოლოგიის, მუზეუმთმცოდნეობის, ხელოვნების ისტორიის, სოციოლოგიის, ისტორიის, ფილოსოფიის, მედიის თეორიის, ლიტერატურათმცოდნეობის, პოლიტიკური ეკონომიკის და ზოგიერთი სხვა დარგის მონაცემებს სხვადასხვა საზოგადოების კულტურული ფენომენის შესასწავლად. იგი ცდილობს, გაარკვიოს კულტურის ფენომენის კავშირი იდეოლოგიის, ეთნიკურობის, ნაციონალიზმის, სოციალური კლასის, გენდერის და სხვა სფეროებში მიმდინარე პროცესებთან.

კულტურის მეცნიერებათა ინტერესის საგანია მნიშვნელობები და პრაქტიკა, რომელიც ყოველდღიურ ცხოვრებაში რეალიზდება. მაგალითად, დღეს კულტურის კვლევები/მეცნიერებები იკვლევს გლობალიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებს, დასავლეთის ჰეგემონიისადმი

წინააღმდეგობის ფორმებს და თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე სხვა პროცესებს. კულტურის კვლევათა მიზანია კულტურის გაგება მთელი თავისი სირთულითა და მრავალფეროვნებით, აგრეთვე სოციალური და პოლიტიკური კონტექსტის ანალიზი, რომელშიც კულტურა წარმოჩნდება. დღეს კულტურის კვლევების/მეცნიერებების ერთ-ერთ ყველაზე ავტორიტეტულ წარმომადგენლად მიჩნეული ბრიტანელი მეცნიერის სტიუარტ ჰოლის აზრით, ეს დარგი სათავეს იღებს 1950-იანი წლებიდან, როცა იწყება მარქსიზმისა და მისთვის დამახასიათებელი ევროპოცენტრიზმის რღვევა და საფუძველი ერყვება თეზისის იმის თაობაზე, რომ ეკონომიკური ბაზისი განმსაზღვრელია კულტურული სუპერსტრუქტურისათვის; კულტურის კვლევები/მეცნიერებები წარმოიშვა ახალი მემარცხენეების მარქსიზმთან დაპირისპირების ვითარებაში. კულტურის კვლევების ჩამოყალიბებაზე გავლენა იქონია რამდენიმე თეორიულმა მიმდინარეობამ, რომელთა ნაწილი კულტურის თეორიის ფარგლებს მიღმა წარმოიშვა, ესენი იყო ფემინიზმი, რასიზმი, გენდერი და ხელისუფლების საკითხი.

განაგრძო რა კულტურული ანთროპოლოგიის ტრადიცია, კულტურის კვლევები/მეცნიერებებიც ორი ძირითადი სკოლის — ბრიტანულისა და ამერიკულის — ფარგლებში განვითარდა. მათგან პირველი უფრო მეტად იყო აღბეჭდილი მემარცხენე პოლიტიკური შეხედულებების ნიშნით და ორიენტირებული იყო “კაპიტალისტური მასობრივი კულტურის” კრიტიკაზე. მათ შეითვისეს ფარნგფურტის სკოლის ზოგიერთი იდეა, დაკავშირებული “კულტურის ინდუსტრიის” (მასობრივი კულტურის) ცნებასთან. კულტურის კვლევების/მეცნიერებების ამერიკული ვერსია კი უფრო მეტად

დაინტერესებული იყო მასობრივი კულტურის აღქმის სუბიექტური მხარით, აუდიტორიის რეაქციით მასობრივ კულტურაზე. განსხვავება ამ ორი სკოლის მიდგომებს შორის XX საუკუნის ბოლოსათვის თანდათანობით გაფერმკრთალდა. მასობრივი კულტურის პასიურ მომხმარებელზე წარმოდგენას ჩაენაცვლა თვალსაზრისი, რომელიც ხაზს უსვამს ადამიანთა მიერ კულტურული ტექსტების სხვადასხვაგვარ ნაკითხვას, მიღებასა და ინტერპრეტაციას, რაც დამოკიდებულია მნიშვნელობაზე, რომელსაც მომხმარებელი ანიჭებს კულტურის პროდუქტს. კულტურის კვლევების/ მეცნიერებების წარმომადგენლებმა კულტურის მოხმარება მჭიდროდ დაუკავშირეს კულტურულ იდენტობას...

ზოგადად ანთროპოლოგიის, კულტურული ანთროპოლოგიისა და, კულტურის კვლევების/ მეცნიერებების მდგომარეობას ჩვენში, ეს ცალკე მსჯელობის საგანია. მოკლედ შეიძლება მხოლოდ ის ითქვას, რომ ჯერჯერობით ვერ მოხერხდა თავად დარგის აღიარებამდე მისვლაც კი. თითქმის 20 წელია გრძელდება კამათი იმის თაობაზე, რა სახელწოდება შეესაბამება კულტურის ფენომენის კვლევით დაკავებულ დარგს. საბჭოთა და პოსტსაბჭოთა სივრცეში უპირატესობა კულტუროლოგიას ენიჭება, მაგრამ, შინაარსობრივად მას ძალიან მცირე საერთო აქვს უაიტისეულ გაგებასთან. კულტუროლოგია ხან კულტურის ფილოსოფიასთან იგივდება, ხან კულტურის ისტორიასთან, და ეს კამათი ყრუთა დიალოგს ჰგავს. ინტერდისციპლინური კვლევისა და სწავლების საჭიროებას, საუკეთესო შემთხვევაში, მხოლოდ სიტყვით აღიარებენ; მეტად ძლიერია სწრაფვა დისციპლინათაშორისი ბარიერების შენარჩუნებისაკენ. სერიოზული ჩამორჩენაა სასწავლო ლიტერატურის

თვალსაზრისით. იშვიათად თუ ვუზიარებთ ერთმანეთს ინფორმაციას დასავლეთის თუ აღმოსავლეთის ქვეყნების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრებში მიმდინარე პროცესების, აგრეთვე სამეცნიერო ლიტერატურის შესახებ, რომელიც უზღვავი რაოდენობით გამოდის როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული გამოცემების სახით. ცუდად ვიცნობთ გამოცდილებას, რომელიც კულტურის კვლევების /მეცნიერებების კუთხით დაგროვდა ჩვენი რეგიონის მსგავს მრავალკულტურულ, მრავალკონფესიურ და მულტილინგვისტურ რეგიონებში (მაგალითად, ბალკანეთში). არ არსებობს სერიოზული დარგობრივი სამეცნიერო პერიოდული გამოცემა. ამ ფონზე, ჩვენი ჩამორჩენა სულ უფრო მეტად იზრდება.

მკვლევართა აზრით, უპირველესი ამოცანა მაინც დისციპლინათაშორისი ბარიერების დაძლევა და კულტურის ფენომენის შემსწავლელ მკვლევართა და ინსტიტუტთა ძალისხმევის გაერთიანებაა. ეს პრობლემა სხვა დარგების წინაშეც დგას, კულტურის კვლევები/ მეცნიერებები კი ამის გარეშე, უბრალოდ, ვერ იარსებებს.

ცნობითი აპარატი და ტერმინები

როგორც ყველა მეცნიერებას, ასევე, რეგიონმცოდნეობას, ანთროპოლოგიას და კულტურის მეცნიერებებს/ კულტურის კვლევებს გააჩნია თავისი ტერმინოლოგია-ცნებები, რომელიც განსაზღვრავს მის არსს, საზღვრებსა და ფუნქციებს, რაც ადვილად გასაგებ და დასამახსოვრებელს ხდის მის შინაარსს, რამეთუ, სიტყვის საშუალებით შედის აზრი ცნობიერებაში და სიტყვა თავის მხრივ ახდენს აზრის პროვოცირებას.

ა

აპა

არაბული წარმომავლობის სიტყვაა და ახლო აღმოსავლეთში აღნიშნავს მამაკაცის ტანსაცმელს. ესაა გრძელი მოსასხამი რომელიც დამზადებულია აქლემის მატყლისაგან, რომელსაც ხელებისათვის ნასვრეტები აქვს. იგი უმეტესად ბედუინების ჩაცმულობისათვის იყო დამახასიათებელი.

აპატი

კათოლიკური მამათა მონასტრის წინამძღვარი; კათოლიკეების სასულიერო პირთა საპატიო წოდებულება; მღვდელი.

აპორიგენი

ქვეყნის, ან რომელიმე ტერიტორიის მკვიდრი მცხოვრებნი. იხმარება გვიან მოსულ გადმოსახლებულთაგან განსასხვავებლად. ტერმინი „აპორიგენი“, ჩვეულებრივ, გამოიყენება აფრიკის, ამერიკის, ავსტრალიის, ე. ი. იმ ტერიტორიების მკვიდრი მოსახლეობის აღსანიშნავად, რომლებიც ევროპელებმა ახალ დროს აღმოაჩინეს. იგივე მნიშვნელობა აქვს „ავტოქტონს“.

აგაგიჟონი

ძველი ბერძნული ეპოსის "ილიადის" გმირი, მიკენეს მეფე, ბერძენთა ჯარების მთავარსარდალი ტროას ომში; ომიდან დაბრუნების შემდეგ იგი მოკლა თავისმა ცოლმა კლიტემნესტრამ.

აგნატები

ნათესავეები მამაკაცის ხაზით, რომლებსაც ყავდათ ერთი წინაპარი. ძველ რომში აგნატებად ითვლებოდნენ ოჯახში ქორწინების შემდეგად შესული და ნაშვილები ადამიანები.

აგრესია

სახელმწიფოს მიერ შეიარაღებული ძალების გამოყენება სხვა ქვეყნის სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის, ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, ანდა ძალის გამოყენება სხვა, გაეროს წესდების სანინაღმდეგო საშუალებით.

ადათი

არაბულად ადათი წეს-ჩვეულებას ნიშნავს. ადათი მუსლიმურ ქვეყნებში ჩვეულებითი (დაუნერელი) სამართალია. აქ მას განასხვავებენ ოფიციალური სამართლისაგან ანუ შარიათისაგან. ბევრ მუსლიმურ ხალხში ადათი წეს-ჩვეულებებისა და ტადიციების საფუძველია. ადათის ეთნოკულტურული როლი მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ ის ხელს უწყობს მთელი რიგი პატრიარქალური, ტომობრივი ურთიერთობების შენარჩუნებას. ყველა მუსლიმურ ხალხში ადათს გარკვეული თავისებურება გააჩნდა. ადათებით ცხოვრობდნენ ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები. აქ ის ადამიანთა და საზოგადოებათა ურთიერთობას აწესრიგებდა.

ადაპტაცია

რომელიმე ეთნიკური ჯგუფის (ერთობის) ახალ ეთნიკურ, ბუნებრივ და სოციალ-კულტურულ გარემოში შეგუების პროცესი. ფიზიკური ადაპტაციის მსვლელობაში ადამიანი ეგუება სხვაგვარ კლიმატს, ხოლო სოციალური ადაპტაციისას ის ეგუება სხვა კულტურის მოთხოვნებს. ეთნიკური ადაპტაციის ძირითად წესს წარმოადგენს ბინადრობის გარემოში ახალი ნორმებისა და ფასეულობების მიღება, რომელიც ყალიბდება ეთნოსთაშორის ურთიერთქმედების ფორმით. ჩვეულებრივ ეთნიკურ ადაპტაციას ხანგრძლივი დრო სჭირდება, რამდენადაც ადამიანი თანდათანობით ეგუება სხვა ხალხის წეს-ჩვეულებებს, ტრადიციებს, ცხოვრების წესს. ეთნიკური ადაპტაციის პროცესებს სწავლობს ეთნიკური ეკოლოგია (ეთნოეკოლოგია). ადაპტაციის საკითხები კარგად ჰქონდათ გათვითცნობიერებული ქართველ მთიელებს, რომლებიც დაბლობში გადმოსახლდებოდნენ. არც ერთი მთიელი უშუალოდ ბარში არასდროს არ გადასახლდებოდა, რადგან მთის ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოდან ფაქტობრივად შეუძლებელი იყო ბარის ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოში გადასახლება; მთიელს კლიმატის გამო ადაპტაცია უჭირდა. მიგრირებული მთიელი უფრო კარგად მთისწინეთში გადასახლებისას გრძნობდა თავს, ადვილად ეგუებოდა ახალ გარემო პირობებს.

ადაპტაცია სოციალური

სოციალური გარემოს მატერიალურ პირობებთან, ნორმებთან და ღირებულებებთან ინდივიდის ან ინდივიდთა ჯგუფის აქტიური შეგუების მუდმივი პროცესი; ამ პროცესის შედეგი. სოციალური გარემოს კომპონენტთა ურთიერთშეთანადება დამოკიდებულია ინდივიდის ან ინდივიდთა ჯგუფის მიზნებსა და ღირებულებით ორიენტირებულებზე, სოციალურ გარემოში მათი მიღწევის შესაძლებლობაზე. სოცია-

ლური ადაპტაციის მნიშვნელოვანი ასპექტია ინდივიდის მიერ სოციალური როლის მიღება. ამის გამო სოციალურ ადაპტაციაში შედის პიროვნების სოციალიზაციის ძირითად სოციალურ-ფსიქოლოგიურ მექანიზმთა ჯგუფში.

ადვენტიზტი

ამერიკაში, 1833 წელს უბრალო ფერმერის, უილიამ მილერის მიერ დაარსებული რელიგიური მიმდინარეობა (პროტესტანტული), რომელიც ქადაგებდა სამყაროს უახლოეს ხანში დაღუპვასა და იესო ქრისტეს ათასწლოვან მეუფებას. ადვენტიტების ყველაზე მრავალრიცხოვან ფრთას შეადგენს მეშვიდე დღის ადვენტიტები, რომელიც დააარსეს ელენე და ჯონ უაიტებმა 1846 წელს. მის მთავარ დოქტრინას შეადგენს: 1. მითითება შაბათის უქმობის შესახებ; 2. ე.წ. სამი ამბავი იოანეს გამოცხადების მე-14 თავიდან. I - ამბავი განკითხვის დღის მოახლოების შესახებ; II - ამბავი ბიბლიური წინასწარმეტყველების შესახებ ბაბილონის (რომის) დამხობის თაობაზე; III - ადვენტიტებს ევალებათ “ღვთის მცნებებისა და ქრისტეს რწმენის” ქადაგება; 3. მითითება ადამიანის სულის მოკვდავობის შესახებ; 4. მითითება ე.წ. “სანიტარული რეფორმის” შესახებ – ზოგიერთი საკვები პროდუქტის აკრძალვა. ადვენტიტების მიმდევრებს არ სწამთ ბიბლიის ღვთივშტაგონებულობა.

ადივანი

პირველმოსახლეები, დარეგისტრირებული ტომები, ინდოეთის მცირერიცხოვანი ხალხები, რომლებაც შემოინახა არქაული კულტური პირველყოფილი წყობის მახასიათებლები.

ავტოსტერეოტიპები

რომელიმე ეთნოსის წარმომადგენელთა მყარი აზრები, დასკვნები მოცემული ეთნიკური ერთობის ყველაზე დამახასიათებელი თვისებების შესახებ.

ავტოქტონები

ქვეყნისა და რომელიმე ადგილის თავდაპირველი, ძველისძველი მოსახლეობა. ტერმინი „ავტოქტონი“ ჩვეულებრივ გამოიყენება ადგილობრივ მცირერიცხოვან ხალხებთან მიმართებაში, რომლებსაც ცხოვრების ტრადიციული ნიშნები ახასიათებთ. „ავტოქტონი“ „აბორიგენის“ სინონიმური ცნებაა. თანამედროვე გაგებით ტერმინს გამოიყენებენ აგრეთვე იმ ხალხების აღსანიშნავად, რომლებიც სახელმწიფო საზღვრებით არიან გაყოფილი, მაგრამ თავის ისტორიულ ტერიტორიაზე შენარჩუნებული აქვთ თვითმყოფადობა. ამ თვალსაზრისით შეიძლება ვთქვათ, რომ თანამედროვე თურქეთის სახელმწიფოს ტერიტორიაზე — ქოროხის აუზში მკვიდრი ქართველები ამ ტერიტორიის ავტოქტონი მოსახლეობაა. იგივე ტერმინი გამოიყენება რუსეთის ფედერაციის ჩრდილოეთში, ციმბირსა და შორეული აღმოსავლეთის მკვიდრი მცირერიცხოვანი ხალხების აღსანიშნავად. აქ ასეთი 26 ხალხი ბინადრობს. საერთოდ რუსეთში 60-ზე მეტი ავტოქტონი ხალხი ცხოვრობს.

ათალიკობა

ტერმინს საფუძვლად უდევს თურქული სიტყვა „ათალიყი“, რაც მამის შემცვლელს აღნიშნავს. ათალიკობა ესაა წეს-ჩვეულება, რომელიც არსებობდა თურქული მოდგმის ხალხებში, კელტებში, არაბებში და კავკასიის ზოგიერთ ხალხში, რომლის დროსაც ხდებოდა ზედაფენის წარმომადგენელთა მიერ გარკვეული დროით აღსაზრდელად შვილების ვასალებისადმი გადაცემა. საქართველოში იგივე ჩეუ-

ლება გაძიძავეების სახელით იყო ცნობილი. ბავშვის აღსაზრდელად გადაცემის წეს-ჩვეულება სხვა ოჯახებთან ხელოვნური დანათესავების ერთ-ერთი სახე იყო. ამავე დროს დაბალი ფენის წარმომადგენელი ათალიკები (ძიძები) ზედაფენაში ერთგვარ მფარველსაც იძენდნენ.

აიმაკი

თურქულ და მონღოლურ ხალხებში გვაროვნული თუ ტომობრივი დაჯგუფები, ქვეყანა, ხალხი, ადმინისტრაციული გაერთიანება.

აირანი

აირანი სასიამოვნო, გამაგრილებელი და ამავე დროს, სასარგებლო სასმელია, რომელიც რძემჟავა პროდუქტის ბაზაზე მზადდება და ძირითადად, აზიის ხალხებშია გავრცელებული.

აკულტურაცია

სხვადასხვა ეთნოსების კულტურების ურთიერთგავლენის, ურთიერთშეღწევის პროცესი; რომელიმე კულტურის მიერ სხვა კულტურის აღქმა, რის შედეგადაც მიმდინარეობს მისი ცვლილება.

ალიანსი

ეს არის ფორმალური შეთანხმება ორ ან მეტ სახელმწიფოს შორის, რომელიც უსაფრთხოების სფეროში საერთო ინტერესების შესრულებას ისახავს მიზნად. ალიანსები შეიძლება იყოს საიდუმლო ან ღია, ორმხრივი ან მრავალმხრივი. ალიანსების შექმნის მიზეზებია: 1) პასუხი გარეშე საფრთხეზე; 2) იდეოლოგიური სოლიდარობა; 3) გარეშე სახელმწიფოს დახმარება; 4) უცხო სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოში „შეღწევა“, ანუ მის საშინაო პოლი-

ტიკურ სისტემაზე ზეგავლენის მოპოვება. მსოფლიო ისტორიის განმავლობაში სხვადასხვა სახელმწიფოთა მიერ მათი ეროვნული უსაფრთხოებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის განმტკიცების მიზნით მრავალი ალიანსი თუ კოალიცია იქნა შექმნილი. მსგავსი ტიპის კავშირები იქმნებოდა იმ შემთხვევაში, როდესაც ქვეყნების ინტერესები ერთმანეთს ემთხვეოდა და როცა მათ წინაშე საერთო საფრთხე არსებობდა. სხვადასხვა ალიანსებისა თუ კოალიციების შექმნით კავშირში შემავალი სახელმწიფოები ერთად აწინასწორებდნენ მეტოქის რეალურად თუ სუბიექტურად აღთქმულ ძლიერებას. კავშირის წევრები მიიჩნევდნენ, რომ პოტენციური აგრესორი საკმაოდ ძლიერი კავშირის წინააღმდეგ ბრძოლას მოერიდებოდა. კაცობრიობის ისტორიაში ასეთი ტიპის კავშირების მრავალი მაგალითი არსებობს. მაგალითად ანტიკურ საბერძნეთში ძველი წელთაღრიცხვით 280-146 წლებში არსებობდა „აქეელთა კავშირი“, რომელიც ძველი ბერძნული ქალაქ-სახელმწიფოების „ანტიმაკედონიურ ფედერაციას“ წარმოადგენდა და რომლის მიზანსაც შესაბამისად ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ბერძნული სახელმწიფოს-მაკედონიის დანარჩენ ბერძნულ სახელმწიფოებზე შესაძლო პოლიტიკური და სამხედრო გავლენის შეკავებას ისახავდა მიზნად. ალიანსებისა და კოალიციების მაგალითები შუა საუკუნის განმავლობაშიც მრავლად მოიპოვება. ავილთ თუნდაც მე-17 საუკუნეში, კერძოდ 1618-1648 წლებში გამართული ოცდაათწლიანი ომის შემთხვევა, როდესაც იმ პერიოდის ევროპაში ერთ-ერთ უძლიერესი სახელმწიფოს, საფრანგეთის, აგრეთვე ამ უკანასკნელის მოკავშირეების მოსალოდნელი სამხედრო ექსპანსიის შეჩერების მიზნით ჩამოყალიბებულ იქნა „ჰაბსბურგთა ბლოკი“, რომელშიც შედიოდნენ ესპანელი და ავსტრიელი ჰაბსბურგები, კათოლიკე გერმანელი მთავრები, რომლებსაც მხარს თავის მხრივ რომის პაპი და რეჩ პოსპოლი-

ტა (პოლონეთი) უმაგრებდა. იგივე შეიძლება ითქვას 1701-1714 წლებში გამართულ ომზე „ესპანეთის მემკვიდრეობისათვის“, სადაც ფრანგულ-ესპანური კოალიციის წინააღმდეგ დიდი ბრიტანეთის, ჰოლანდიის, ავსტრიისა და პრუსიის კავშირი მოგვევლინა. ასევე, კაცობრიობის ისტორიაში ცნობილია ნაპოლეონის საფრანგეთის წინააღმდეგ მიმართული კოალიცია ავსტრიის, პრუსიისა და რუსეთის შემადგენლობით. უახლეს ისტორიაში რა თქმა უნდა ცნობილია პირველი მსოფლიო ომის წინ გერმანიის წინააღმდეგ შექმნილი „ანტანტის“ (შეიქმნა 1904-1907 წლებში, შედიოდნენ ინგლისი, საფრანგეთი და რუსეთი) და „სამთა კავშირის“ (შეიქმნა 1882 წელს და მასში შედიოდნენ გერმანია, ავსტრია-უნგრეთი და იტალია) სამხედრო-პოლიტიკური ბლოკები. მსოფლიო ისტორიაში უდიდესი კოალიცია მეორე მსოფლიო ომის დროს იქნა დაფუძნებული, რომელიც ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ იქნა ჩამოყალიბებული. მეორე მსოფლიო ომის უკანასკნელ სტადიაზე „ანტიჰიტლერულ კოალიციაში“ 50 სახელმწიფოზე მეტი იყო განევრიანებული. თუმცა, ყველაზე უფრო ჩამოყალიბებული სახე კავშირებმა უკვე მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მიიღო, როდესაც მოსალოდნელი საბჭოთა აგრესიისგან და ევროპაში კომუნისტური იდეოლოგიის გავრცელების საფრთხისგან თავის დასაცავად შეიქმნა ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია - ნატო ერთის მხრივ, და მეორეს მხრივ კომუნისტური იდეოლოგიების მოსაზრებით „დასავლური იმპერიალიზმისაგან“ თავდაცვის მიზნით საბჭოთა ბლოკში შემავალი სახელმწიფოების ინიციატივით – ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია დაფუძნდა...

ალილუია

დიდება ღვთისა ყველაფრისათვის, ღვთის სადიდებელი შეძახილი, სამგზის წარმოითქმის, როგორც ყოვლადწმინდა სამების თითოეული პირისადმი მიმართული სადიდებელი.

აზიზ

დამამტკიცებელი, დასკვნითი სიტყვა, რომლის მნიშვნელობაა ჭეშმარიტად, დაე იყოს ასე. წარმოთქვამენ ღოცვის, საგალობლის, ქადაგების ბოლოს, საზეიმო ფიცის ან აღთქმის დადების დროს.

ანაკონდას სტრატეგია

ატლანტიზმის გეოპოლიტიკური ხაზი, რომელიც გულისხმობს ევრაზიის მაქსიმალურად მეტი სანაპირო ტერიტორიის გაკონტროლებას მისი გეოპოლიტიკური ექსპანსიის შესაჩერებლად. მე-19 საუკუნის დასასრულსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში ამერიკელმა გეოპოლიტიკოსებმა მეჭვნმა აშშ-ს საზღვაო ძალების ოფიცერი, მას ეკუთვნის საინტერესო მოსაზრება, რომ ვაჭრობა პოლიტიკის მთავარ ინსტრუმენტს წარმოადგენს, რაც კარგი გასაღებია თავისუფალი ვაჭრობის მომხრე ქვეყნების პოლიტიკის სწორად გასაგებად და მაკინდერმა (განათლებით გეოგრაფმა) დაამუშავეს გეოპოლიტიკური თეორიები, რომლის მიხედვითაც მსოფლიოზე ბატონობის მოსაპოვებლად აუცილებელია ევრაზიის კონტინენტის სანაპირო ზონებზე კონტროლის განხორციელება, რათა ხელი შეეშალოს რუსეთის ოკეანეში გასვლას და საზღვაო სივრცე მთლიანად აშშ-ს დარჩეს. ამ გეგმას „ანაკონდას“ სახელი ეწოდა, რადგანაც გულისხმობდა რუსეთის გარშემო აშშ-ს მოკავშირე ქვეყნების რკალის შემორტყმას და თანდათან შევიწროებას. შემდეგში მას შეკავების დოქტრინა (იგულისხმება რუსეთის შეკავება) დაარქვეს.

ანარქია

ცალკეული სუბიექტების მიერ ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობით გამოწვეული უნესრიგობა და მასობრივი არეულობა. ანარქიის წყარო ქვეყანაში შეიძლება გახდეს რევოლუცია ან სახელმწიფო გადატრიალება. ნარქია საერთაშორისო ურთიერთობებში უნივერსალური მთავრობის, ცენტრალური ხელისუფლების არარსებობაა. ანარქიის პრობლემა საერთაშორისო ურთიერთობებში მჭიდროდ უკავშირდება წესრიგს, თანამშრომლობას, უსაფრთხოების დილემას, კოლექტიური უსაფრთხოების საკითხებს. ანარქია საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთი ძირითადი ცნებაა, რომელიც საერთაშორისო სისტემის სოციალურ-პოლიტიკურ ხასიათზე, მის ზოგად მდგომარეობაზე მიგვანიშნებს. ნარქის ლოგიკის მიხედვით, სახელმწიფოები რაციონალური მოქმედი პირები არიან, რომლებიც ეროვნული ინტერესების მიხედვით მოქმედებენ და მათი ურთიერთქმედების მთავარი გამოვლინებები თანამშრომლობა და კონფლიქტია.

ანექსია

სხვა სახელმწიფოს ტერიტორიის ან მისი ნაწილის მითვისება ძალით ან მისი გამოყენების მუქარით.

ანთროპოცენტრიზმი

მიდგომა ადამიანის გვარისადმი, როგორც ყველაზე მნიშვნელოვნისადმი სამყაროში; ფილოსოფიური შეხედულება, რომლის მიხედვითაც ადამიანი წარმოადგენს სამყაროს ცენტრს, მისი ყოველი მოვლენის აზრსა და საბოლოო მიზანს. ანთროპოცენტრული შეხედულებები ჰქონდათ პროტაგორას, სოკრატეს, შუა საუკუნეების სქოლასტიკური ფილოსოფიის წარმომადგენლებს.

ანიმიზმი

პირველყოფილი საზოგადოებების სულიერი ცხოვრებისათვის დამახასიათებელი რწმენა, როცა გარესამყაროს ყველა მოვლენას საკუთარი სული აქვს; ტეილორის თანახმად, რელიგიურობის საწყისი ფორმაა და გულისხმობს გარკვეული ძალაუფლების მქონე სულების რთული სისტემის არსებობას; პიაჟეს თანახმად, ადრეული ასაკის ბავშვის ფსიქიკისთვის დამახასიათებელი თავისებურება, უსულო საგნები მიიჩნის ცოცხალ არსებებად; ზოგადად, რწმენა, რომლის თანახმად ყოველგვარ საგანს, ცოცხალს თუ არა-ცოცხალს, სულიერს თუ უსულოს, აქვს სული ან ფიზიკური ფორმის გარეშე სულიერი არსებობის სხვა ფორმა.

ანტისემიტიზმი

რასობრივი შოვინიზმის, ეროვნული და რელიგიური შეუწყნარებლობის ერთ-ერთი უკიდურესი ფორმა. გამოიხატება ებრაელი ეროვნების წარმომადგენელთა მიმართ სიძულვილითა და მტრული დამოკიდებულებით. ტერმინი „ანტისემიტიზმი“ შემოიღეს გერმანელმა მეცნიერმა ვილჰელმ მარმა და ფრანგმა სოციოლოგმა ერნსტ რენანმა XIX –ის 70–იან წლებში, მაგრამ თვითონ მოვლენა საუკუნეებს ითვლის – თავს იჩენს იმ დროიდან, რაც ებრაელთა დიასპორა (ძვ. წ. IV ს–დან) არსებობს. ანტისემიტიზმი სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულად გამოიხატებოდა, კერძოდ, უფლებათა შეზღუდვიდან და რელიგიურ-ფსიქოლოგიური შეუწყნარებლობიდან დაწყებული, იძულებითი გასახელებით, დარბევითა და ფიზიკური მოსპობით (გენოციდით) დამთავრებული. და ებრაელთა გენოციდი ოფიციალური სახელმწიფო პოლიტიკის რანგში იქნა აყვანილი ნაცისტურ გერმანიაში, სადაც „ბიოლოგიური არასრულფასოვნებისა“ და „პარაზიტი ერის“ საბაზით 6 მილიონი ებრაელი იქნა განადგურებული. ნაცისტური გერმანიის

დამარცხებამ და ებრაელთა დევნის საერთაშორისო დაგ-
მობამ ანტისემიტიზმს მძიმე დარტყმა მიაყენა. იუზედავად
ამისა, იგი საბოლოოდ არ არის აღმოფხვრილი და კვლავაც
იჩენს ხოლმე თავს ცალკეული რეციდივების სახით. აერომ
და ევროპის საბჭომ მიიღეს სპეციალური რეზოლუციები
რასიზმის, ქსენოფობიის, ანტისემიტიზმისა და მსგავს მოვ-
ლენათა წინააღმდეგ საბრძოლველად. ევროპის საბჭოს
სისტემაში ეს ფუნქცია ეკისრება რასიზმისა და შეუწყნა-
რებლობის წინააღმდეგ მიმართულ ევროპულ კომისიას.

აპართეიდი

მკაცრი რასობრივი დისკრიმინაციისა და სეგრეგაციის პოლიტიკა
ფერადკანიანი მოსახლეობის მიმართ, რომელსაც ახორცი-
ელებდა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა 1980 წლამდე.

არაპულ სახელმწიფოთა ლიგა

რეგიონალური საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც შეიქმნა
1945 კაიროს კონცეფციაზე. 1950 წელს ლიგის წევრებმა
წესდების დამატებით ხელი მოაწერეს თავდაცვისა და ეკო-
ნომიკური თანამშრომლობის ერთობლივ ხელშეკრულებას,
ხოლო 1965 წელს–სოლიდარობის პაქტს, რომელიც თა-
ვისი ფორმით საერთაშორისო ხელშეკრულებაა. ორგანი-
ზაციის მიზნებია: ლიგის წევრ სახელმწიფოთა საგარეო და
საშინაო პოლიტიკის კოორდინაცია, სუვერენიტეტის დაც-
ვა და ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობა,
უთანხმოებათა მშვიდობიანი მოგვარება, კოლონიური და-
მოკიდებულებისა და ნეოკოლონიალიზმისაგან არაბეთის
ქვეყნების სრული განთავისუფლებისათვის ერთობლივი
ბრძოლა, მჭიდრო თანამშრომლობა ეკონომიკის, მეცნიე-
რების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვისა და სხვა
დარგებში, ლიგის წევრ სახელმწიფოთა შორის მჭიდრო
ურთიერთობის უზრუნველყოფა და სხვ. ლიგის უმაღლესი

ორგანოა ლიგის საბჭო, რომელშიც შედიან ყველა წვერი ქვეყნის წარმომადგენლები. საბჭოს სესიები ტარდება წელიწადში ორჯერ. სესიებს შორის ლიგის ხელმძღვანელობას ახორციელებს გენერალური სამდევნო, რომელთანაც არსებობს პოლიტიკური, ეკონომიკური, ინფორმაციის, პალესტინის საქმეების, ნავთობის საკითხებისა და სხვა დეპარტამენტები. სამდივნოს სათავეში უდგას გენერალური მდივანი, რომელსაც 5 წლის ვადით ირჩევენ. სამდივნოში ფინქციონირებს: ა) ეკონომიკურ საკითხთა საბჭო; ბ) თავდაცვის გაერთიანებული საბჭო; გ) მუდმივი სამხედრო კომისია. ლიგის შემადგენლობაში შედის, აგრეთვე, ინსტიტუტები და სპეციალიზირებული ორგანიზაციები (მათ შორის: არაბეთის შრომის ორგანიზაცია, აარბეთის ეკონომიკური ერთობის საბჭო, არაბეთის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ფონდი, არაბეთის სავალუტო ფონდი), რომლებსაც იგი ფინანსურ დახმარებას უწევს. იგის შტაბ-ბინა განლაგებულია ქ. აიროში, ოფიციალური ენაა არაბული.

არბიტრაჟი (საერთაშორისო)

სამედიატორო სასამართლო ისეთ დავათა გადასაწყვეტად, რომლებშიც მხარეებად გვევლინებიან სახელმწიფოები. ის შესაძლოა იყოს მუდმივმოქმედიც და ერთჯერადიც. უმრავლეს შემთხვევაში იგი კონკრეტული სადავო საკითხის გადასაწყვეტად იქმნება. არბიტრაჟის შემადგენლობაში შედიან მოდავე მხარეების წარმომადგენლები და განსაკუთრებული შეთანხმების საფუძველზე დანიშნული კიდევ ერთი არბიტრი ე. წ. სუპერარბიტრი.

არბიტრირება

ეს არის კონფლიქტში ჩაბმული მხარეების ურთიერთმორიგების მეთოდი, რომლის დროსაც არ მისდევენ ფორმალურ პროცედურებს ან წესებს. მისი ნაკლი ის არის, რომ არბიტრირება უფრო მოდავე მხარეებს შორის მშვიდობის მიღწევას ემსახურება, ვიდრე სამართლიანობის დაცვას. არბიტრირებას ძირითადად სავაჭრო-სამეურნეო და საერთაშორისო ურთიერთობებში წარმოშობილი სადავო საკითხების მოსაგვარებლად მიმართავენ.

არქატივი

ეთნიკური მიკუთვნებულობის, ენისა და კულტურული ტრადიციების მიუხედავად ყველა ადამიანისათვის საერთო გაუთვითცნობიერბელი წარმოდგენების ბაზური სქემა.

ასიმილაცია

ასიმილაცია არის ორი კულტურის ურთიერთქმედების პროცესი, რომლის შედეგად ერთ-ერთი მათგანი კარგავს საკუთარ იდენტურობას და შთაინთქმება მეორის მიერ. ასიმილაციის პროცესი შეიძლება მიმდინარეობდეს როგორც ბუნებრივი, ასევე ძალადობრივი გზით. ცნება „ასიმილაცია“ XIX საუკუნის ბოლოდან დამკვიდრდა ამერიკულ კულტურულ ანთროპოლოგიაში, თავდაპირველად ტერმინ „ამერიკანიზაციის“ სინონიმური მნიშვნელობით. მისი პირველი განსაზღვრება რ. პარკსა და ე. ბერჯესს ეკუთვნით: „ასიმილაცია ურთიერთშელწევისა და შერევის პროცესია, რომლის განმავლობაში ინდივიდები ან ჯგუფები იძენენ სხვა ინდივიდების ისტორიულ მეხსიერებას და, იზიარებენ რა მათ გამოცდილებას, ჩართული აღმოჩნდებიან საერთო კულტურულ ცხოვრებაში“. XX საუკუნის შუა წლებამდე ეს ტერმინი გამოიყენებოდა ამერიკის შეერთებული შტატების დომინირებად კულტურაში ინდიელთა ტომების ინკორპორაციის მნიშვნელობით. ამერიკული საზოგადო-

ება განიხილებოდა უზარმაზარ „შემოქმედებით ლაბორატორიად“, სადაც სხვადასხვა კულტურული ტრადიცია ერთმანეთს ერევა და „გადაიდნობა“ სინთეზურ მთლიანობად. XX საუკუნის მეორე ნახევარში ჯ. ვან დერ ზანდენმა განასხვავა ცალმხრივი ასიმილაცია, როცა უმცირესობის კულტურა მთლიანად გამოიდევნება დომინირებადი კულტურის მიერ, და კულტურათა შერევა, რომლის დროსაც დაქვემდებარებული და გაბატონებული ჯგუფების ელემენტები ერთმანეთს ერევა, ქმნის მდგრად კომბინაციებს და საფუძველს უყრის ახალ კულტურას.

- მ. გორდონმა დაამკვიდრა ასიმილაციის ხარისხობრივი განხილვის ტრადიცია. დღეს მიჩნეულია, რომ სრული ასიმილაციის შემთხვევები ძალიან იშვიათია; ჩვეულებრივ, ადგილი აქვს უმცირესობის კულტურის ამა თუ იმ ხარისხით ტრანსფორმაციას დომინირებადი ეთნიკური ჯგუფის კულტურის ზეგავლენით. ამასთან, ხშირად უმცირესობის კულტურის უკუზეგავლენაც ფრიად ძლიერია. ტერმინი ასიმილაცია ხშირად გამოიყენება სხვა მნიშვნელობით და აღნიშნავს დომინირებადი ნაციონალური ჯგუფის განსაკუთრებულ პოლიტიკას ეთნიკური უმცირესობების მიმართ. ეს პოლიტიკა მიმართულია ამ უმცირესობათა ტრადიციული კულტურის დათრგუნვისაკენ და ისეთი სოციალური გარემოს შექმნისაკენ, რომლის პირობებში დომინირებადი ჯგუფის ინსტიტუციურ სტრუქტურებში მონაწილეობისათვის უმცირესობის წარმომადგენელი იძულებული იქნება, მიიღოს დომინირებული საზოგადოების კულტურული ნიმუშები. დღეს მკვლევართა უმრავლესობა გარკვეულ სიფრთხილეს იჩენს ტერმინ „ასიმილაციის“ მიმართ, მისი პოლიტიკური შეფერილობის გამო.

აფრიკული კავშირი

რეგიონალური საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც დაარსდა 1963 წელს და აერთიანებს აფრიკის 49 სახელმწიფოს. ორგანიზაციის მიზანია:ზრუნვა აფრიკის სახელმწიფოთა და სოლიდარობის განტმიცებისათვის, მათ შორის თანამშრომლობის განვითარება და კოორდინაცია, ღონისძიებათა გაერთიანება აფრიკის ხალხთა საარსებო პირობების გაუმჯობესებისათვის, სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობის, სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობის დაცვა, კოლონიალიზმისა და ნეოკოლონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება გაეროს წესდებისა და ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის საფუძველზე. ორგანიზაციის მთავარი ორგანოა სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების ასამბლეა, რომელსაც წელიწადში ერთხელ იწვევენ. ასამბლეის გადანყვეტილებათა და რეზოლუციათა შესრულების საქმეს განაგებს ორგანიზაციის მინისტრთა საბჭო. იგი შედგება საგარეო საქმეთა და სხვა მინისტრებისაგან, რომლებიც შესაბამის სახელმწიფოთა მთავრობების მიერ უფლებამოსილი არიან, მონაწილეობა მიიღონ ორგანიზაციის საქმიანობაში აფრიკული კავშირის ორგანოებია აგრეთვე: პანაფრიკული პარლამენტი, ეკონომიკურ და სოციალურ საკითხთა კომისია, ტექნიკური კომიტეტები. ყველა ორგანოს ორგანიზაციულ აღმასრულებელი საქმიანობის მომსახურება აკისრია მუდმივმოქმედ გენერალურ სამდივნოს. ორგანიზაციის ფარგლებში მუშაობს შუამავლობისა და არბიტრაჟის კომისია. გარდა ამისა, არსებობს მრავალი სპეციალიზირებული ორგანო – ეკონომიკურ და სოციალურ საკითხთა კომისია, განათლებისა და კულტურის საკითხთა კომისია, თავდაცვის საკითხთა კომისია და სხვ.

ასალი მსოფლიო წესრიგი

პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის (უფროსის) მიერ ჩამოყალიბებული საერთაშორისო ურთიერთობათა ხედვის სისტემა, რომელიც მოქმედების კონკრეტულ გეგმას არ ისახავდა და მხოლოდ რიტორიკის დონეზე დარჩა.

ბაპტისტები

მე-17 საუკუნეში დაარსებული პროტესტანტული რელიგიური მიმართულება, შეიქმნა ანგლიკანების მიერ დევნილი მორწმუნეების მიერ, რომლებსაც ჰოლანდიაში მოუხდათ გაქცევა, სადაც 1611 წელს გამოსცეს თავიანთი დოქტრინის ამსახველი დებულება. რწმენის ერთადერთ საწყისად მიაჩნიათ ბიბლია, უარყოფენ წმინდანებს, ხატებს, ჯვარცმას და ქრისტიანული საიდუმლოებების უმეტეს ნაწილს, აგრეთვე, ბავშვების მონათვლას. თვლიან, რომ მონათვლა შეიძლება მხოლოდ მოზრდილ ასაკში, რომელიც მხოლოდ ამის შემდეგ ირიცხება ეკლესიაში. სწამთ რწმენით ცხოვნების პრინციპი.

ბელადი

ტომსა და ტომთა კავშირში არჩევითი უმაღლესი პირი. ტომში ბელადის ძირითად ფუნქციას წარმოადგენდა სამეურნეო საქმიანობის ხელმძღვანელობა, გვარებს შორის საკამათო საკითხების გადაწყვეტა, სხვა ტომებთან ურთიერთობისას ტომის ინტერესების დაცვა, ტომის სამხედრო ძალების ხელმძღვანელობა. ბელადობის ინსტიტუტი სოციალ-ეკონომიკური ორგანიზაციისა და ხელისუფლების ორგანიზაციის ფორმა იყო საზოგადოების სოციალურად დიფერენციაციის ეპოქაში. ხშირად ამ ტერმინით აღნიშნავენ მხოლოდ აღნიშნული დროის საზოგადოების წინაპოლიტიკურ (პოტესტარულ) ორგანიზაციას.

ბიბლია

სულიწმიდის მიერ წინასწარმეტყველებისა და მოციქულების მეშვეობით დაწერილი წმინდა წერილი, რომელიც იქმნებოდა ჩვ. წ. აღ-მდე მე-13 საუკუნიდან მე-2 საუკუნემდე. შედგება

2 ნაწილისგან: ძველი აღთქმა - ქრისტეს შობამდე დანერ-
ლი წიგნები. ახალი აღთქმა - ქრისტეს შობის შემდგომ და-
ნერილი წიგნები.

ბიბლია

ინგლისურად აღნიშნავს დიდ ადამიანს. მსოფლიოს ეთნოლო-
გიურ ლიტერატურაში ტერმინი აღნიშნავს მამაკაცს, რო-
მელიც დიდი ავტორიტეტითა და გავლენით სარგებლობდა
თავის თემში და წარმოადგენდა ფაქტობრივ წინამძღოლს.

ბილინგვიზმი

ორენოვნება, რომელიც ადამიანის მიერ ორი ან მეტი ენის ფლო-
ბასა და გამოყენებას აღნიშნავს. ბილინგვები თითქმის
ყველა ხალხში არსებობენ. ხშირად მთელი რიგი ხალხები
მშობლიურ ენასთან ერთად მეორე ენასაც იყენებენ.
ბილინგვიზმით განსაკუთრებით მცირერიცხოვანი ხალხე-
ბი ხასიათდებიან. მაგალითად შეიძლება პამირისპირეთის
ხალხები დასახელდეს, რომლებიც ფართოდ იყენებენ ტა-
ჯიკურ ენასაც. ბილინგვიზმი დამახასიათებელია იმ
ეთნოსებისთვისაც, რომლებიც ასიმილაციას განიცდიან,
აგრეთვე პოლიეთნიკური სახელმწიფოების მოსახლეობი-
სათვის, რომლებშიც ეთნიკური უმცირესობები იძულებუ-
ლნი არიან შეისწავლონ სახელმწიფო, ოფიციალური ენა.
ბილინგვიზმი ახასიათებს აგრეთვე სასაზღვრო ზოლში
მკვიდრ მოსახლეობას. თანამედროვე პირობებში ბილინ-
გვიზმი დამახასიათებელი ხდება მოსახლეობის დიდი ნაწი-
ლისათვის — მშობლიურ ენასთან ერთად უფრო მეტი ნაწი-
ლი ფლობს ინგლისურ ენას.

ბიპოლარულობა

იგივე საერთაშორისო ურთიერთობების ბიპოლარული სისტემა, რომელიც შეიქმნა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. მას სხვაგვარად იალტა-პოტსდამიის სისტემასაც უწოდებენ. ბიპოლარული სისტემა გულისხმობს ძალთა გარკვეულ განაწილებას პოლუსებს შორის, მაგრამ იგი არ წერმოადგენს ძალთა წონასწორობის სისტემას. ამ პერიოდში საერთაშორისო სისტემის სტრუქტურაში ორი აშკარა პოლუსი - ამერიკის შეერთებული შტატები და საბჭოთა კავშირი იყო გამოკვეთილი. თითოეულ მათგანს ჰყავდა მთელი ჯგუფი სატელიტი სახელმწიფოებისა, რომლებიც პოლიტიკურად, ეკონომიკურად და იდეოლოგიურად ამ ორ ზესახელმწიფოზე იყვნენ დამოკიდებულნი. აღნიშნული ორი ბლოკის ურთიერთდაპირისპირება განსაზღვრავდა კიდეც სისტემის ხასიათს.

ბლოკადა

ომის ან საერთაშორისო კონფლიქტის მიმდინარეობისას, რაიმე მოთხოვნის შესრულების იძულებისთვის გამიზნული გარე სამყაროდან რომელიმე სახელმწიფოს იზოლაციისკენ მიმართული ღონისძიებათა (სამხედრო, ეკონომიკური) სისტემა. იგი შეიძლება მშვიდობიან დროსაც განხორციელდეს, მაგრამ ამ შემთხვევაში საერთაშორისო სამართლით მისი განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ გაეროს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებით. მშვიდობიან დროს ცალკე სახელმწიფოს ინდივიდუალური ბლოკადის განხორციელების უფლება არა აქვს.

ბრაჰმანიზმი

ვედიზმის საფუძველზე ჩრდილოეთ ინდოეთში აღმოცენებული ერთ-ერთი უძველესი რელიგია, რომელმაც შეცვალა ვედიზმი. ცალკეულ ღვთაებათა კულტი, მსხვერპლშენიშვნის, მრავალრიცხოვანი ნეს-ჩვეულებების, რეგლამენტებისა და ეტიკეტის ურთულესი რიტუალით.

ბუდიზმი

ერთ-ერთი მსოფლიო რელიგია. მის შემქმნელად ითვლება სიდჰარტა გაუტამა, რომელმაც შემდეგში მიიღო ბუდას სახელი. ბუდიზმი წარმოიშვა ძვ. წ. VI ს-ში ნეპალში, ხოლო შემდეგ ფართოდ გავრცელდა და მიიღო რამდენიმე ფორმა. ბუდიზმის მოძღვრებით, სიცოცხლე ყველა თავისი გამოვლინებით, ბოროტებაა, რასაც მხოლოდ ტანჯვა მოაქვს. ტანჯვის მიზეზია ადამიანის ყველა გრძნობა, სურვილი, ვნება, მარადიული გარდასახვა. ხსნის გზა, ბუდას თანახმად, არის განდგომა, თვითღმარებლობა და მედიტაცია, რომელთა საშუალებითაც მიიღწევა ნირვანა ანუ სრული სულიერი სრულყოფა, სულიერი სიმშვიდე. ასეთი თავისებურებებით ბუდიზმის ორიენტაცია ხშირად იყო „მიღმა სამყაროსეული“ (ვებერი). იგი გულისხმობდა უარის თქმას ვნებებზე, ქონებაზე, ცოლ-შვილზე, ქადაგებდა განდევილობასა და თავის თავში ჩაკეტვას. იმავე დროს ბუდიზმი იყო პოლიტიკური რელიგიაც. როგორც „მსამე სამყაროს“ ქვეყნების საპროტესტო მოძრაობა და სხვ.

ბაერო

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია შეიქმნა 1945 წელს. წვერი თითოეული სახელმწიფო, განურჩევლად სიდიდისა, ეკონომიკური თუ სამხედრო ძლიერებისა, ერთი ხმის მფლობელია. გამონაკლისია უშიშროების საბჭოს ხუთი მუდმივი წვერი: აშშ-ს, დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთს, ჩინეთსა და რუსეთის ფედერაციას მსოფლიო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვისას შეუძლიათ ვეტოს უფლების გამოყენება. გაეროს წესდება განსაზღვრავს ორგანიზაციის მანდატს, მისი წევრების უფლებებსა და მოვალეობებს, ორგანიზაციის სტრუქტურას და პროცედურას. წესდება უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო ხელშეკრულებაა, რომელიც ახდენს თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების ისეთი უმნიშვნელოვანესი პრინციპების კოდიფიკაციას, როგორებიცაა ერთა თანასწორობა და საერთაშორისო სისტემაში შეიარაღებულ ძალთა გამოუყენებლობა. წესდების ხელმოწერით სახელმწიფო აღიარებს საკუთარ ვალდებულებებს და პასუხისმგებლობას იღებს ამ აქტით დაკისრებული უფლებების განხორციელებაზე. გაეროს მიზანია: დაიცვას საერთაშორისო შვიდობა და უსაფრთხოება; ხალხთა თვითგამორკვევისა და თანასწორობის პრინციპის გათვალისწინებით განავითაროს მეგობრული ურთიერთობები ერთა შორის; გააღრმავოს საერთაშორისო თანამშრომლობა ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და ჰუმანიტარული სახის საერთაშორისო პრობლემების გადასაწყვეტად, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა განვითარების მიზნით; გახდეს საერთაშორისო ცენტრი ამ მიზნების შესთანხმებლად და განსახორციელებლად. დასახული ამოცა-

ნების განხორციელებისას ორგანიზაციისა და მისი თითოეული წევრისთვის ძირითადია შემდეგი პრინციპები: ორგანიზაციის წევრთა სუვერენული თანასწორობა; ვალდებულებების კეთილსინდისიერი შესრულება; საერთაშორისო მშვიდობის, უსაფრთხოებისა და სამართლიანობის დასაცავად საერთაშორისო დავების მშვიდობიანი გზით მოწესრიგება; საშინაო საქმეებში ჩაურევლობა; საერთაშორისო ურთიერთობებში ძალით მუქარისგან თავის შეკავება; გაეროსთვის წესდებით გათვალისწინებული მიზნების განხორციელებაში დახმარება და თავის შეკავება იმ სახელმწიფოთა მხარდაჭერისგან, რომელთა წინააღმდეგაც გაერო, წესდებიდანვე გამომდინარე, პრევენციული ხასიათის იძულებით ღონისძიებებს ახორციელებს. გ.ს. ოფიციალური ენებია: ინგლისური, ფრანგული, რუსული, ჩინური და ესპანური. მოგვიანებით დამატა არაბული ენა, როგორც გენერალური ასამბლეის, უშიშროების საბჭოსა და ეკონომიკური და სოციალური საბჭოს ოფიციალური ენა. გაეროს ექვსი ძირითადი ორგანოსგან შედგება. ამასთან, იგი მოიცავს 15 სპეციალიზებულ სააგენტოს, რამდენიმე პროგრამასა და ორგანიზაციას. მისი ძირითადი ორგანოებია: გენერალური ასამბლეა, უშიშროების საბჭო, ეკონომიკური და სოციალური საბჭო, საერთაშორისო სასამართლო, სამეურვეო საბჭო და სამდივნო, რომელსაც ხელმძღვანელობს გენერალური მდივანი. შტაბბინა მდებარეობს აშშ-ში, ნიუიორკში.

გავლენის სფეროები

გავლენის სფეროებად დაყოფა საერთაშორისო პოლიტიკის ჩვეულებრივი პრაქტიკაა. ეს არის რეგიონები, რომელზეც სხვა სახელმწიფოს კონტროლის პრეტენზია აქვს. მათ ხშირად კონტროლის ან პასუხისმგებლობის სფეროსაც უწოდებენ.

ბაზია

მნიშვნელობა დაკავშირებულია ქორწინებასთან, შობასთან, წარმოშობასთან.

ბანიარაღება

ეს არის პროცესი რომლის მიზანია საყოველთაო და სრული განიარაღება, რაც გულისხმობს მსოფლიოს ყველა სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების დაშლას, სამხედრო წარმოებათა გაუქმებას, ყველა სახეობის იარაღის წარმოების შეწყვეტასა და არსებულის განადგურებას. ანუ სახელმწიფოების ძალისხმევა გამაღებული შეიარაღების შესაჩერებლად, საბრძოლო საშუალებათა შეზღუდვისა და ლიკვიდაციის მიზნით. პროცესის მასშტაბების მიხედვით იგი შეიძლება იყოს რეგიონული და გლობალური, სუბიექტთა მიხედვით - ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი. ის შეიძლება იყოს ნაწილობრივი ან სრული, ეხებოდეს იარაღის ცალკეულ სახეობებს ან მთელ შეიარაღებას და ა.შ.

გეოეკონომიკა

გეოეკონომიკის კონცეფციის ავტორი ჟ. ატალი მიიჩნევს, რომ პოსტბიპოლარულ პერიოდში გეოპოლიტიკა გეოეკონომიკით შეიცვალა და იგი საერთაშორისო სისტემის მთავარი მოდელია. გეოეკონომიკა განისაზღვრება როგორც გეოპოლიტიკის განსაკუთრებული ვერსია, რომელიც პრიორიტეტულად მიიჩნევს არა გეოგრაფიულ, კულტურულ, ეთნიკურ და ა.შ. ფაქტორებს, არამედ სივრცესთან დაკავშირებულ წმინდა ეკონომიკურ რეალობებს.

გეოპოლიტიკა

ტერმინი „გეოპოლიტიკა“ პირველად იხმარა შვედმა მეცნიერმა რუდოლფ ჩელენმა XXს-ის დასაწყისში. იგი აცხადებდა, რომ გერმანიისათვის აუცილებელია მისი შესაფერისი სასიცოცხლო სივრცის შექმნა, რაც მეზობელი პატარა-პატარა და სუსტი ერების ხარჯზე უნდა მოხდეს. გეოპოლიტიკა არის მეცნიერება, რომელიც შეისწავლის სახელმწიფოს გეოპოლიტიკაში – გეოგრაფიული ფაქტორის როლს და მის გავლენას ქვეყნის ეროვნული ინტერესების ჩამოყალიბებაზე. გეოპოლიტიკის, როგორც საგარეო პოლიტიკურ პრაქტიკის, მთავარი მიზანია სახელმწიფოს გეოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება, ე.ი. გეოპოლიტიკის მთავარი მიზანი - ეს არის ნებისმიერი ქვეყნის გეოსტრატეგიის შემუშავება. გეოპოლიტიკური მიდგომის სინთეზური შესწავლა გულისხმობს ნებისმიერი ქვეყნის ან რეგიონის გეოგრაფიულ, სოციალ-პოლიტიკურ, სამხედრო, დემოგრაფიულ, ეკონომიკურ და ქვეყნის სხვა სიძლიერის განმსაზღვრელ ფაქტორთა კომბინირებულ შესწავლას და შეფასებას. ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობის შეფასებისას უდიდესი ყურადღება ექცევა როგორც გეოგრაფიულ ფაქტორს, ასევე ეკონომიკურ და სტრატეგიულ პოზიციებს, ქვეყნის წარსულს, მის მეზობელთან ამ ქვეყნის ნებისმიერ ურთიერთობას, მეზობელ ქვეყნებსა და რეგიონში არსებულ პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ვითარებას. ნებისმიერი ქვეყნის გეოპოლიტიკური სიმძლავრეების ძირითადი კრიტერიუმებია: ტერიტორიის ზედაპირი, საზღვრების ბუნება, ზღვაზე გასასვლელი, მოსახლეობის რაოდენობა, ბუნებრივი რესურსები, ფინანსური სიძლიერე, ეკონომიკისა და ტექნიკის განვითარების დონე, ეთნიკური ერთგვაროვნება, სოციალური ინტეგრაციის დონე, პოლიტიკური სტაბილურობა, ეროვნული სული.

ბენდარი

ბიოლოგიიდან და ფიზიოლოგიიდან ამ ტერმინმა ისეთ მეცნიერებებში გადაინაცვლა, როგორიცაა სოციოლოგია, პოლიტოლოგია, ეთნოგრაფია, კულტუროლოგია. ენდერი, როგორც სქესის სოციალური მახასიათებელი, წარმოადგენს მამაკაცისა და ქალის თანასწორობის თანამედროვე იდეოლოგიას. სოციალური სქესი ეს არის სოციალური კონსტრუქცია, რომელიც გამოხატავს საზოგადოების მიერ დადგენილ თუ გამომუშავებულ, ფუნქციურ, ქცევით, მენტალურ თუ ემოციურ განსხვავებულობას ქალსა და მამაკაცს შორის. მეცნიერებმა დიდი ხანია დაადასტურეს, რომ სტერეოტიპი წმინდა მამაკაცურ (მასკულინურ) და ქალურ (ფემინურ) აზროვნებასა და ქცევაზე. ის სტერეოტიპები, რაც „ქალურისა“ და „მამაკაცურის“ გარშემო იყრის თავს. გულისხმობს მკვეთრ მახასიათებელ ჩარჩოებს სქესის ფუნქციური დატვირთვისთვის. ამავე დროს, ეს სტერეოტიპები მოქმედებს „აქ და ამაჟამად“, ანუ დამახასიათებელია კონკრეტული საზოგადოების არსებობის ფორმისათვის და ორი სქესის ურთიერთმიმართებას განაპირობებს. სწორედ სოციალურ-კულტურული ნორმები (ეროვნება, ყოფითი სამართალი, ტრადიცია, რელიგია, ტაბუ) განსაზღვრავენ ქალისა და მამაკაცის პროფესიას, ქცევის მოდელს, ჩაცმას, ფსიქოლოგიურ მახასიათებლებს და არა ბიოლოგიური სქესი. შესაბამისად, სოციალური ქალისა და მამაკაცისგან ითხოვს უკვე დამკვიდრებული ფუნქციების შესრულებას, რაც ბიოლოგიური სქესის გენდერულ პარამეტრს ქმნის. ინგლისელის ენ ოუკლის მიერ დამკვიდრებული ტერმინი „გენდერი“ თანამედროვე დასავლურ სოციოლოგიაში გამოხატავს არა ინდივიდუალურ იდენტიფიკაციას, არამედ ქალურობისა და მამაკაცურობის იდეალებს. პატრიარქალურ საზოგადოებაში არსებობს ე.წ. გენდერული ასიმეტრია, როდესაც „მამაკაცური“ პრივილეგირებულ-დომინირებულ პოზიციაზეა, ხოლო „ქალური“ ითვლება არამონივნად, დაქვემდებარებულად, პირველზე დამოკიდებულად. მგვარი ღირებულებათა სისტემა ბადებს საუკუნეობით გამყარებულ წარმოდგენებს, ცრურწმენებს,

კულტურულ შეფასებებს – გენდერულ სტერეოტიპებს, რომლებიც ფაქტობრივად, რეფორმას ვერ თუ არ განიცდის და მცირედტრანსფორმირებული სახით გადადიან თაობიდან თაობაში. სოციალური როლები შეიძლება შეიცვალოს, მაგრამ გენდერული უთანასწორობა კვლავ სიცოცხლისუნარიანია, რადგანაც გლობალიზაციის, მოდერნიზაციის პროცესში ხდება დისკრიმინაციის ფორმების „გაკულტურება“, რაც კიდევ უფრო უწყობს ხელს საზოგადოების იერარქიულობის გაღრმავებას. გენდერული ნორმები განაპირობებს მამაკაცისა და ქალის ქცევის წესებს დაბადებიდან გარდაცვალებამდე. ეს კი თავისთავად განისაზღვრება მამისა და დედის ფუნქციური დაყოფით, სექსში ქალისა და მამაკაცის ხაზით, აღზრდის სისტემებით, განათლებით, კულტურით, რელიგიური დოგმებით, პოლიტიკა-ეკონომიკით. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მას-კულტურას, მასმედიას, როგორც სტერეოტიპიზაციის საშუალებას. ენდერი ინტერდისციპლინური მეცნიერებაა, რომელიც მოიცავს ფსიქოლოგიას, სოციოლოგიას, ანთროპოლოგიას, ისტორიოგრაფიას, გეოგრაფიას, კულტუროლოგიას, პოლიტოლოგიას. საკანონმდებლო აქტებისა თუ საზოგადოებრივი პროცესების გენდერული ექსპერტიზა საშუალებას იძლევა მოხდეს ინდივიდისა თუ სოციუმის ცნობიერებში დემოკრატიულობის, ჰუმანურობის ხარისხის დადგენა. სქესის სოციალური კატეგორია. ალსა და კაცს შორის სოციალური ურთიერთობების ორგანიზებული მოდელი, რომელიც ახასიათებს არა მარტო მათ პიროვნებათშორის ურთიერთობებს, არამედ განსაზღვრავს მათ სოციალურ ურთიერთობებს ძირითად საზოგადოებრივ ინსტიტუტებში, მაგ. სოციალურ კლასებში, მსხვილი ორგანიზაციების იერარქიაში, დასაქმების სტრუქტურის ფორმირებისას და სხვ. გენდერი როგორც პროცესი და მოვლენა გულისხმობს სქესობრივი განსხვავების ნიადაგზე მამაკაცის მხრიდან ქალის ყოველგვარი ჩაგვრის ლიკვიდაციას. ფაქტობრივად ტერმინი ასახავს სოციალურ-ეკონომიკურ ფონზე ქალთა და კაცთა ურთიერთობის

ფენომენს და შესაბამისად მსოფლიოში დამკვიდრდა როგორც გარკვეული დირექტიული მიმართულება ქალთა უფლებების დაცვის სფეროში. მისი მიზანია ადამიანის სექსიზმისაგან დაცვა, რაც სქესობრივ დისკრიმინაციას - ერთი სქესის მეორეზე ბატონობას ნიშნავს.

გენდერული ადაპტაცია

მოცემულ სინამდვილეში მამაკაცისა და ქალის არსებული ხატებისადმი, გენდერული სტერეოტიპებისადმი შეგუების პროცესი. გენდერული ადაპტაცია მოიცავს იმ ბიო-ფსიქო-სოციალურ ფაქტორებს, რომელიც ისტორიულად ყალიბდება და ფუნქციონირებს, როგორც მორალურ-გენდერული ჩარჩოები. ამ დროს ვითარდება ის უნარ-ჩვევები, რომელიც მიღებულია ნორმად, წესად. გენდერული კონფლიქტი, სექსუალობა, სიყვარული, ბიოლოგიურისა და ფსიქოლოგიურის ურთიერთმიმართება სქესის როლური ადაპტაციის საფუძველია და განისაზღვრება იმით, თუ რამდენად ადეკვატურად ხდება ინდივიდის მიერ რეალობის აღქმა. გენდერული ადაპტაციის დარღვევა ხშირად ფსიქოსომატური დარღვევების, ნევროზის, კრიმინალური ქმედების საფუძველი ხდება.

გენეალოგია

ისტორიის დამხმარე დისციპლინა, რომელიც შეისწავლის გვარების ისტორიას და ადგენს საგვარეულო ნუსხებს; გვარის, ტომის ისტორია; საგვარეულო ნუსხა; ბიოლ. ცხოველთა ან მცენარეთა გვარების წარმოშობა.

ბანჯისი

უცხოენოვანი რთული სიტყვების მეორე შემადგენელი ნაწილი - აღნიშნავს გვარის გაგრძელებას, ჩამომავლობას, განვითარებას.

ბატო

ეს ცნება გამოიყენება ქალაქების იმ უბნების (რაიონების) აღსანიშნავად, რომლებიც გამოირჩევა ძალზე ღარიბი დასახლებებით, მომსახურების ობიექტების ძალზე მცირე რიცხვითა და აფრიკულ-ამერიკული წარმოშობის ადამიანების ჭარბი კონცენტრაციით. თავდაპირველად ეს ტერმინი გამოიყენებოდა ევროპის ქალაქების იმ უბნების მიმართ, რომლებიც დასახლებული იყო ებრაელებით, რომლებიც გამოცალკევებული იყვნენ ქალაქის დანარჩენი მოსახლეობისაგან.

ბჰარი

სისხლით მონათესავეთა ჯგუფი, რომლებიც თავიანთ წარმომავლობას ანგარიშობენ საერთო წინაპრისაგან. თავისი სახელწოდება გვარმა მიიღო საერთო წინაპრის სახელისაგან. ვარისათვის დამახასიათებელი იყო ეკზოგამიურობა. გვარს არ შეეძლო იზოლირებულად არსებობა, ის გაერთიანებული იყო ტომში. გვარისათვის დამახასიათებელი იყო მიწაზე კერძო საკუთრება, კოლექტიური ურთიერთობები, ნათესავეები კი ერთმანეთთან დაკავშირებულნი იყვნენ მჭიდრო ურთიერთდახმარებითა და ურთიერთდაცვით. საზოგადოების განვითარების შემდგომ ეტაპზე — სოციალური დიფერენციაციისას გვარები დაიშალნენ ანდა გაერთიანებანი დარჩნენ და მთელი რიგი ფუნქციები დაკარგეს და ისინი ე. წ. გვიანდელ გვარებად იქცნენ, გვიანდელი გვარები კი გვარსახელებში (ფამილიებში) გადაიზარდნენ. შწორედ ამ თვალსაზრისით მოხდა თავდაპირველი გვარების გვარსახელებში გადაზრდა საქართველოში, ჩინეთში და კელტური მოდგმის ხალხებში.

გვაროვნული საზოგადოება

გვაროვნული თემისა და გვარის ურთიერთქმედებით აღმოცენებული საზოგადოება. ამ პერიოდში თავის უმაღლეს სტრუქტურულ დასრულებულობას აღწევს პირველყოფილი თემური ურთიერთობანი. საწარმოო ურთიერთობათა საფუძველს წარმოადგენდა საერთო საკუთრება წარმოების საშუალებებზე, რომლის ფარგლებშიც არსებობდა პირადი საკუთრება იარაღზე, საოჯახო ნივთებზე, ტანსაცმელსა და ა.შ. ის პირველყოფილი ურთიერთობები, რომლებიც არსებობდა კაცობრიობის ტექნიკური განვითარების საწყის საფეხურებზე, საკუთრების კოლექტიური ფორმების, რელიგიურ-მაგიური წარმოდგენების პირობებში, თანდათან გამოიღვენა ახალი სოციალური ურთიერთობებით (ან მოხდა მათთან ნაწილობრივი ადაპტირება) შრომის იარაღების, მეურნეობის ფორმების სრულყოფის, ოჯახურ-საქორწინო და სხვ. ურთიერთობების ევოლუციის შედეგად.

გლობალიზაცია

სახელმწიფო საზღვრების მნიშვნელობის შემცირების პროცესი, რომელიც მსოფლიო მასშტაბით მიმდინარეობს და საზოგადოებებისა და ქვეყნების ურთიერთდამოკიდებულების ზრდას გამოხატავს. გლობალიზაციის თეორია ამტკიცებს, თანამედროვე მსოფლიოში სახელმწიფოების მნიშვნელობა საერთაშორისო ურთიერთობებში თანდათანობით კლებულობს სხვა საერთაშორისო ფაქტორების სასარგებლოდ. გლობალიზაცია ოთხი პარალელური პროცესისაგან შედგება: ინტერნაციონალიზაცია (სახელმწიფოებს შორის ურთიერთდამოკიდებულების ზრდა), ლიბერალიზაცია (სახელმწიფოს როლის შემცირება), ვესტერნიზაცია (მთელს მსოფლიოში დასავლური ფასეულობებისა და კულტურის გავრცელება და აღიარება) და დეტერიტორია-

ლიზაცია (სახელმწიფო საზღვრების მნიშვნელობის კლება. გლობალიზაცია ერთობლივად მიმდინარეობს პოლიტიკის, ეკონომიკის, სოციალურ და კულტურის სფეროებში. პოლიტიკაში გლობალიზაცია გამოიხატება საერთაშორისო ორგანიზაციების როლის ზრდით, საერთაშორისო პოლიტიკის ახალი, გლობალური პრობლემების გაჩენითა და მათი ერთობლივი გადაწყვეტით (გარემოს დაცვა, საერთაშორისო მშვიდობა და უსაფრთხოება). ეკონომიკური კუთხის გლობალიზაციის ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი საერთაშორისო ფინანსების განვითარება და თითოეული ქვეყნის მოქალაქეებზე საერთაშორისო კერძო კაპიტალის გავლენის ზრდაა. სოციალური კუთხით, გლობალიზაცია დიდ გავლენას ახდენს საზოგადოებების (განსაკუთრებით, ტრადიციული საზოგადოებების) ტრანსფორმაციაზე. კულტურის თვალსაზრისით, გლობალიზაციის თეორეტიკოსები აღნიშნავენ მსოფლიოში კულტურული ერთგვარობის ზრდას, საერთო პოპულარული მასობრივი კულტურის ჩასახვასა და განვითარებას.

დაბა

დადგენილი წესით რეგისტრირებული, არანაკლებ 3000 მოსახლისაგან შემდგარი დასახლება, რომელსაც აქვს სამრეწველო საწარმოები, კომუნალური მეურნეობა, სამკურნალო და სოციალურ-კულტურულ დაწესებულებათა ქსელი, რითაც იგი ასრულებს ადგილობრივი ეკონომიკურ-კულტურული ცენტრის ფუნქციებს და ამასთან, არ აქვს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისათვის საკმარისი მიწის სავარგულები. დაბის კატეგორიას შეიძლება მიეკუთვნოს დასახლება, რომლის მოსახლეობის რიცხვი 3000-ზე ნაკლებია, თუ იგი არის რაიონის ადმინისტრაციული ცენტრი ან აქვს შემდგომი ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის ზრდის უახლოესი პერსპექტივა.

დაბალი პოლიტიკა

ის მოიცავს ქვეყნის საგარეო პოლიტიკის იმ საკითხებს, რომლებიც ეროვნული ინტერესების მნიშვნელოვან პრობლემას არ წარმოადგენს და რომლის განხორციელება ბიუროკრატიის პრეროგატივაა.

დაზვერვა

ეს ტერმინი განიმარტება, როგორც ინფორმაციის მოპოვების და ანალიზის პროცესი. ის წარმოადგენს სახელმწიფოს საქმიანობის ერთ-ერთ სფეროს, რომელიც საერთაშორისო პოლიტიკის სხვა მოქმედი პირების შესაძლებლობებისა და განზრახვების შესახებ ინფორმაციის შეგროვებას ითვალისწინებს. დაზვერვა შეიძლება იყოს ღია (მასმედიისა და დიპლომატიური წყაროების გამოყენებით) ან ფარული, სტრატეგიული ან არასტრატეგიული. დაზვერვის მთავარი მიზანია მონაცემების შეგროვება, გაანალიზება და შეფა-

სება სახელმწიფოს ორგანოების მიერ გადანყვეტილებების მიღების გასაადვილებლად. დაზვერვის უკავშირდება კონტრდაზვერვა (სხვათა მიერ ინფორმაციის შეგროვებისათვის ხელის შეშლა), გაცურება (დეზინფორმაციის გავრცელება) და ფარული ქმედებები (ძირგამომთხრელი საქმიანობა). აზვერვის შემადგენელი ნაწილებია ტექნიკური დაზვერვა და ადამიანური დაზვერვა (ჯაშუშობა).

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა

მთავრობათაშორისი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც შეიქმნა 1991 რუსეთის ფედერაციის, ბელორუსისა და უკრაინის მიერ ქ. მინსკში (ბელორუსი) ხელმოწერილი შეთანხმების საფუძველზე. იმავე წლის 21 დეკემბერს ალმაათაში ხელმოწერილ იქნა ოქმი, რომლითაც სომხეთი, ყაზახეთი, მოლდოვა, ტაჯიკეთი, თურქმენეთი და უზბეკეთი შეუერთდნენ ბელოვეჟის შეთანხმებას; მიღებულ იქნა, აგრეთვე, ალმაათის დეკლარაცია, რომელშიც ხაზგასმულია, რომ „დსთ არ არის არც სახელმწიფო, არც ზესახელმწიფოებრივი წარმონაქმნი“ და რომ იგი ეყრდნობა საერთაშორისო სამართლის პრინციპებს; რომ დსთ არც საერთაშორისო ორგანიზაციაა, იგი სუვერენულ სახელმწიფოთა კავშირია, რომლის ორგანოებს მაკოორდინირებელი ფუნქციები აქვთ და მათი გადანყვეტილება სავალდებულოა მხოლოდ იმ მონაწილისათვის, რომელიც ეთანხმება მას. დსთ-ის მიზანია: პოლიტიკის, ეკონომიკის, ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის, მეცნიერებისა და განათლების, კულტურის, ვაჭრობისა და სხვა დარგებში, სახელმწიფოებსა და ხალხთა შორის თანასწორი და ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობა, ინფორმაციის ურთიერთგაცვლის ხელშეწყობა, ურთიერთვალდებულების კეთილსინდისიერი და განუხრელად შესრულება. ორგანიზაციის ძირითადი ორგანოებია: სახელმწიფოთა მეთაურების საბჭო, მთავრობათა მეთაურების საბჭო, საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭო, სახელმწიფოთაშორისი ეკონომიკური კომიტეტი, სასაზღვრო

ჯარების სარდლების საბჭო, აღმასრულებელი სამდივნო, ეკონომიკური სასამართლო, საპარლამენტაშორისო ასამბლეა. დსთ-ის სახელმწიფოთაშორისი ორგანოების ოფიციალური ადგილსამყოფელია ქ. მინსკი.

დე ფაქტო დე იურა

გვიჩვენებს პოლიტიკური სუბიექტის ლეგალურ ან არა ლეგალურ მდგომარეობას.

დეკოლონიზაცია

პროცესი გულისხმობს დასავლეთის წამყვანი სახელმწიფოების მიერ წარსულში დაპყრობილი ტერიტორიებისა და ხალხების კონტროლის დასრულებას.

დესტაბილიზაცია

სახელმწიფოს მიერ სამხედრო, დიპლომატიური, ეკონომიკური და სოციალური ხერხებით განხორციელებული საგარეო პოლიტიკური მოქმედება სხვა ქვეყნის წინააღმდეგ, რომლის მიზანია სამიზნე ქვეყნის პოლიტიკური სისტემის, ძირითადად კი საგარეო პოლიტიკის საფუძვლიანი ცვლილება.

დიასპორა

სამშობლოს ფარგლებს გარეთ მცხოვრები მოსახლეობის, ეთნიკური ჯგუფის მნიშვნელოვანი ნაწილი.

დიდი სახელმწიფოები

ხშირად მათ ზესახელმწიფოებსაც უწოდებენ, რომელთა პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალი სხვა სახელმწიფოების ანალოგიურ პოტენციალს ბევრად აღემატება და დიდი და მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენენ მსოფლიო პოლიტიკაზე.

დიპლომატია

მასში ხშირად მოიაზრებენ ზოგადად საერთაშორისო ურთიერთობებსაც. რეალურად კი ეს არის სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი ინსტრუმენტი, რომელიც საერთაშორისო არენაზე სახელმწიფოს მიზნების შესრულებას ემსახურება. მისი მთავარი ფუნქცია სახელმწიფოებს შორის არსებული წინააღმდეგობრივი ინტერესების დაახლოება.

დომინოს თეორია

განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენებოდა ეს ტერმინი ცივი ომის პერიოდში, როცა სოციალიზმის გავრცელების შედეგად ბევრი სახელმწიფო ექცეოდა საბჭოთა კავშირის გავლენის ქვეშ. ეს არის ერთიმეორის მიყოლებით ნაქცეული დომინოს ქვებისა და სახელმწიფოების მეტაფორული ანალოგია.

დოქტრინა

პოლიტიკაში ეს არის სახელმძღვანელო თეორიული, სამეცნიერო, ფილოსოფიური ან პოლიტიკური პრინციპების ერთობლიობა, რომელიც გამოხატავს სახელმწიფოს ოფიციალურ ხედვებს და ასახულია ქვეყნის პოლიტიკური მიზნები და ამოცანები, მოკავშირეები და საფრთხეები, დასახული ამოცანების გადაწყვეტის გზები.

დუსოპორაპი

სულისათვის მეგრძოლნი პროტესტანტული მიმართულება, ჩამოყალიბდა მე-18 საუკუნის II ნახევარში რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე. ძირითადი დოქტრინაა კაცობრიობის ისტორიაში სულიერსა (აბელის მიმდევრებს) და ხორციელს (კაენის მიმდევრებს) შორის მიმდინარე ბრძოლის არსებობა. კაენის მიმდევრებს მიაკუთვნებენ ხელისუფლებას, უსამართლო მსაჯულებს, მდიდრებს. დუხოზორებს საკუთარი თავი მიაჩნიათ ჭეშმარიტ და რჩეულ ხალხად, რომელმაც უნდა შექმნას ღვთის სამართლით გამსჭვალული ძმობა. ისინი უარყოფენ ბიბლიას, მართლმადიდებელ ღვთისმსახურებას, საიდუმლოებებს, მღვდლებს და მონაზვნებს, აქვთ სპეციალური საგალობლები, რომელთაც ასრულებენ საგანგებო კრებაზე. ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობისა და სამხედრო სამსახურიდან თავის არიდების გამო 1841 წელს დუხოზორები რუსეთიდან (ტავრიის გუბერნიიდან) გადაასახლეს საქართველოს ტერიტორიაზე, ახალქალაქის მაზრაში. მე-19 საუკუნის ბოლოს დუხოზორების დიდი ნაწილი გადასახლდა კანადაში.

ევროკავშირი

სახელმწიფოთაშორისი გაერთიანება, რომელიც შეიქმნა 1992 წელს ევროპის თანამეგობრობის ბაზაზე. ევროკავშირში შედის 28 წევრი სახელმწიფო; ევროკავშირის მიზნები და ამოცანებია: ევროპის ხალხთა მჭიდრო კავშირის ჩამოყალიბება, მათი ეკონომიკური და სოციალური პროგრესი და ინტეგრაცია; საერთაშორისო ურთიერთობის სფეროში ერთიანი საგარეო და თავდაცვითი პოლიტიკის განხორციელება; იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სფეროში თანამშრომლობის განვითარება; საერთო მონაპოვართა შენარჩუნება და გამრავლება. ევროკავშირის ძირითადი ორგანოებია: ევროპის საბჭო, ევროპის პარლამენტი, ევროპის კავშირის საბჭო, ევროპის კომისია, ევროპის სასამართლო.

ევროპოცენტრიზმი

გულისხმობს, რომ ევროპა თავისი კულტურით, ფასეულობებითა და ღირებულებებითი წარმოადგენს მსოფლიოს ცენტრს.

ეთიკა

პოლიტიკაში ეთიკა არის პოლიტიკურ მეცნიერებათა შემადგენელი ნაწილი, რომელიც ცდილობს განსაზღვროს პოლიტიკური ქცევის მორალური მხარე. შესაბამისად პოლიტიკური ეთიკისთვის განმსაზღვრელი მნიშვნელობა ენიჭება ქცევის შედეგებს.

ეთნიკური კონფლიქტი

დაპირისპირება სახელმწიფოს ხელისუფლებისა და მის ტერიტორიაზე მცხოვრებ ეროვნულ თუ ეთნიკურ, ენობრივ ჯგუფს შორის იგი ხშირად პროვოცირებულია ჯგუფის სათავეში მდგარი პოლიტიკური ელიტის მიერ, რომელსაც

მორალურ, პოლიტიკურ და სამხედრო დახმარებასაც კი უნევენ მეზობელი ქვეყნების ოფიციალური თუ არაოფიციალური ძალები, რაც მიზნად ისახავს სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის ხელყოფას. ასეთი სახის ეთნიკური კონფლიქტს რომელსაც სეპარატისტები ნათლავენ უფრო მრავალრიცხოვან ეთნიკურ ერთობასა და პატარა ეთნიკურ ჯგუფს შორის დაპირისპირებად, სინამდვილეში ეთნოპოლიტიკურ ხასიათს ატარებს, რადგან მისი ძირითადი მხარეებია სახელმწიფოს ცენტრალური ხელისუფლება და სეპარატისტული ძალები. ეთნიკური კონფლიქტი ხშირად გადაიზრდება არასაერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტებში რომლის დროს ეთნიკური წმენდა აღინიშნება. ეთნიკური კონფლიქტი რომელიც წარმოიშობა სახელმწიფოს აგრესიული, შეუწყნარებელი, დისკრიმინაციული პოლიტიკით სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობის მწვავე რააკციას იწვევს. ამ ტიპის კონფლიქტების სიმრავლით ხასიათდება აფრიკის რეგიონი. ეთნიკური კონფლიქტი წარმოიშობა მეზობლად მცხოვრებ ეთნიკურ ჯგუფებს შორის, რომლებიც ტრადიციული შეუწყნარებლობით გამოირჩევიან და დაუნდობელი ხოცვა-ჟლეტით ცდილობენ პრობლემის გადაწყვეტას, რასაც მილიონობით, ასეულობით ადამიანი ემსხვერპლება (მაგ., აფრიკის ქვეყნები). ეთნიკური კონფლიქტი რომელიც წარმოიშობა ორ ან რამდენიმე ეთნიკურ ჯგუფს შორის, ყოფით ნიადაგზე წარმოშობილი დაპირისპირება (მინის ნაკვეთების გაყოფა, ტყის გამოყენება და ა.შ.). როგორც წესი, ასეთი ეთნიკური კონფლიქტი ხანგრძლივი არ არის და სახელმწიფოს მიერ მიღებული ზომების ეფექტურობაზეა დამოკიდებული.

ეთნიკური ნაციონალიზმი

ნაციონალიზმის ერთ-ერთი ძირითადი სახეობა, რომელიც ძირითად ღირებულებად აღიარებს ერს. ამ უკანასკნელს ის განსაზღვრავს, როგორც საერთო წინაპრებისა და საერთო წარმოშობის ადამიანთა ერთობას. ხშირად ის შოვინიზმისა და ნაციზმის სახით ვლინდება.

ეთნიკური წმენდა

სუბიექტების ქმედება, რომელიც მიზნად ისახავს ამა თუ იმ გეოგრაფიული რეგიონიდან განდევნოს სხვა ჯგუფების სამოქალაქო მოსახლეობა ძალადობისა და ტერორის მეთოდების გამოყენებით. ეთნიკური წმენდის პრაქტიკა გენოციდის სახეს იღებს.

ეთნოპოლიტიკა

სახელმწიფოს მიერ წარმოებული პოლიტიკა საკუთარ ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნოსების მიმართ. ეთნიკურად სტერილური არც ერთი სახელმწიფო არ არის. ყოველ ეროვნულ სახელმწიფოში, დომინანტური ერის გარდა, როგორც წესი, არსებობენ ეთნიკური უმცირესობები. სახელმწიფოთა დამოკიდებულება ეთნიკური უმცირესობების მიმართ განსხვავებულია ეპოქებისა და თავად სახელმწიფოების სპეციფიკის მიხედვით. რასწორად წარმართული ეთნოპოლიტიკა შეიძლება იქცეს ეთნოკონფლიქტების და, მაშასადამე, თავად სახელმწიფოსათვის არაერთი მწვავე პრობლემის წყაროდ.

ეთნოსი

ტერმინი ეთნოსი სამეცნიერო ლიტერატურაში მეცხრამეტე საუკუნეში ჩნდება. ეთნოსი რამდენიმეგვარად განიმარტება: ეთნოსი არის ადამიანთა ჯგუფი, რომელიც ლაპარაკობს ერთ ენაზე, აღიარებს ერთიან წარმომავლობას, ხასიათდება ერთიანი ცხოვრების წესითა და ჩვეულებებით, რითაც გამოირჩევა სხვა ეთნოსებისაგან (ს. შიროკოგოროვი).

ეთნოსი ბიოლოგიური ერთეულია — პოპულაციაა, ბიოფიზიკური რეალობაა, რომელიც მოქცეულია სოციალურ გარსში (ლ. გუმილიევი). ეთნოსი სოციალური მოვლენაა. იგი მჭიდროდაა დაკავშირებული განსაზღვრულ ბიოლოგიურ პოპულაციასთან, მაგრამ ცხოვრობს სოციალური, საზოგადოებრივი კანონებით. ეთნოსი სოციალურ-კულტურული მოვლენაა. ეს არის განსაზღვრულ ტერიტორიაზე ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე ისტორიულად ჩამოყალიბებული ერთობა, რომელსაც აქვს თავისი ენა, კულტურა, ფსიქიკა, ერთიანი თვითშეგნება და სხვა ეთნოსებისაგან განსხვავებულობის შეგრძნება (ი. ბრომლეი). ეთნოსის პარალელურად, გამოიყენება ტერმინი ეთნიკურობა. იგი აღნიშნავს ეთნიკური ჯგუფის კულტურულ ნიშან-თვისებებსა და მახასიათებლებს ანუ ეთნიკურობა არის კულტურული განსხვავებულობისა და თავისებურებების აღმნიშვნელი სოციალური ორგანიზაციის ფორმა. ეთნოლოგიურ ლიტერატურაში არსებობს ეთნოსისა და ეთნიკურობის კვლევის რამდენიმე მიმართულება: 1. ბუნებრივი მიმართულება — ამ დროს ეთნოსს განიხილავენ, როგორც პირველად წარმონაქმნს, მომდინარეს საერთო წინაპრებისგან. ამას სხვაგვარად სოციობიოლოგიურ მიმართულებასაც უწოდებენ.

ევოლუციურ-ისტორიული მიმართულება — ეთნოსი უფრო მეტად სოციალური ხასიათის წარმონაქმნია, ვიდრე ბიოლოგიური. ამ მიმართულების თანახმად, ეთნოსი არის

ისტორიულად ჩამოყალიბებული სოციალური ჯგუფი, რომელიც შეკავშირებულია საერთო ტერიტორიით, ენითა და კულტურით. სოციალური ჯგუფის — ეთნოსის წარმოქმნა და განვითარება განიხილება ისტორიულ ჭრილში.

მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლებიდან დასავლურ ეთნოლოგიაში გამოიკვეთა ეთნოსისა და ეთნიკურობის კვლევა ინსტრუმენტალიზმის თეორიით. ამ მიდგომით ეთნოსი და ეთნიკურობა მიჩნეულია ისეთ საკვლევ პრობლემად, რომელსაც პოლიტიკოსები იყენებენ როგორც ინსტრუმენტს თავიანთი პრაგმატული მიზნების მისაღწევად. ინსტრუმენტალისტთა აზრით, ეთნიკურობა განიხილება პოლიტიკური ელიტის მიერ მასების მობილიზაციისათვის შექმნილ იდეოლოგიად, რასაც ისინი იყენებენ ხელისუფლებისათვის ბრძოლაში. ინსტრუმენტალიზმის პარალელურად, არსებობს ეთნოსისა და ეთნიკურობის საკვლევი პრობლემის სხვაგვარი გააზრებაც. კვლევის ამ მიმართულებას კონსტრუქტიულს უწოდებენ. კონსტრუქტიული მიმართულების თანახმად, ეთნიკურობის ჩამოყალიბებელ მთავარ კრიტერიუმად ითვლება არა პოლიტიკური ელიტა, არამედ ეთნიკური საზღვარი. ეთნიკურ საზღვარს თავად იქმნის ყოველი ეთნოსი და ეთნიკური საზღვარი არის ის მთავარი ფაქტორი, რომელიც ამა თუ იმ მიმართულებით წარმართავს ეთნოსის სოციალურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებას. ეთნოსის განვითარებისათვის აუცილებელ პირობად ითვლება ეთნიკური ტერიტორია — ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ ადამიანთა ჯგუფი თანდათანობით ყალიბდება ეთნოსად და აქ ხდება მისი ეთნიკური თვითშეგნებისა და იდენტურობის შეგრძნების ფორმირება. ასევე, დიდი მნიშვნელობა ეთნიკური კულტურის მდგრადობისათვის ენიჭება ეთნიკურ ენას. ენა ეთნიკური მიკუთვნებულობის მთავარი ნიშანია. ეთნოსის ჩამოყალიბებისათვის აუცილებელია სპეციფიკური მატერიალური და კულტურული მახასიათებლები, რომელთათ-

ვისაც განსაკუთრებით ნიშნეულია ტრადიციულობა და მდგრადობა. ასეთი მახასიათებლები არის: რელიგია, რიტუალები, ქცევის ნორმები, მატერიალური კულტურის ძეგლები (საცხოვრებელი, თავდაცვითი და სამეურნეო ნაგებობები; ტანსაცმელი; საკვები...) და სხვა.

ეთნოცენტრიზმი

საკუთარი ეთნიკური ჯგუფისთვის უპირატესობის მინიჭება. ტერმინი 1906 წელს შემოიტანა უ. სამნერმა. თანამედროვე მეცნიერები მას განმარტავენ, როგორც ადამიანებისთვის დამახასიათებელ თვისებას, აღიქვას და შეაფასოს ცხოვრებისეული მოვლენების საკუთარი კულტურის ტრადიციებისა და ღირებულებების თვალთახედვით. ეთნოცენტრიზმის ძირითადი მაჩვენებლებია (ბრუერი და კემპბელი, 1976): 1) საკუთარი კულტურის ელემენტების აღქმა როგორც „ბუნებრივისა“ და „სწორის“, ხოლო სხვა კულტურისა – როგორც „არაბუნებრივისა“ და „არასწორისა“; 2) საკუთარი კულტურის ადათ-წესების განხილვა უნივერსალურად; 3) საკუთარი კულტურის ნორმების, რწლებისა და ღირებულებების შეფასება უდავო ჭეშმარიტებად; 4) წარმოდგენა, რომ ადამიანისთვის ბუნებრივია თავისი ჯგუფისთვის უპირატესობის მინიჭება, სიამაყე მისით თანამშრომლობა თავისი ჯგუფის წევრებთან, მათი დახმარება და უნდობლობა (მტრობაც კი) სხვა ჯგუფის წევრების მიმართ. მკვლევარებს შორის ეთნოცენტრიზმის მიმართ დამოკიდებულებაში ერთსულოვნება არ არის: ზოგი მას ნეგატიურ მოვლენად მიიჩნევს, ზოგიც – პოზიტიურად. თუმცა ეთნოცენტრიზმი ხშირად ქმნის დაბრკოლებას ჯგუფთა შორის ურთიერთქმედებაში, იმავდროულად იგი ჯგუფისთვის სასარგებლო ფუნქციებსაც ასრულებს: მხარს უმაგრებს ჯგუფის დადებით იდენტობას და მთლიანობა-სპეციფიკუ-

რობას. ამასთან, ეთნოცენტრიზში სხვა ჯგუფებისადმი მტრობას იმთავითვე არ გულისხმობს – იგი შეიძლება ერწყმოდეს მომთმენობასაც ჯგუფთა შორის განსხვავების მიმართ. ასეთ ეთნოცენტრიზს, როცა არაკრიტიკული მიმართება არ განიცდობა საკუთარი ჯგუფის ყველა თვისებასა თუ სასიცოცხლო სფეროზე და ცდილობენ უცხო კულტურის გაგებასა და ობიექტურ შეფასებას, უწოდებენ კეთილგანწყობილ ან მოქნილ ეთნოცენტრიზს.

ეთნოციდი

ხალხის კულტურის განადგურებაა და არა ადამიანთა ფიზიკური განადგურება, თუმცა ამ ტერმინს ზოგჯერ გენოციდის ნაცვლადაც იყენებენ.

ეთნიკური ცნობიერება

ეთნიკური ცნობიერება ყალიბდება ეთნიკური კულტურითა და ტრადიციებით. ყოველ ეთნოსს მისთვის მახასიათებელი კულტურა, ტრადიცია და თვითშეგნება გააჩნია, რასაც თან ერთვის ზოგადსაკაცობრიო მონაპოვარიც და ამ კრებითი სახით ყალიბდება ეთნოსის თვითშეგნება, მისი ეთნიკური ცნობიერება. პიროვნების სოციალიზაციისას დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ტრადიციულ გარემოს, რომელშიც ადამიანი პიროვნებად ყალიბდება. ტრადიციების სტრუქტურა და მოქმედების მექანიზმი ადამიანს უყალიბებს თავის ტრადიციულ კულტურასთან იდენტობის შეგრძნებას, ბიძგს აძლევს ეთნიკური ცნობიერების ჩამოყალიბებას. ტრადიციულ-კულტურული მემკვიდრეობითობა, როგორც საერთოდ ისტორიული პროცესების დამახასიათებელი თვისება, ეთნიკური ცნობიერების ერთ-ერთი მასაზრდოებელი ნაყროა. ეთნიკური კულტურისა და ეთნიკური ცნობიერების ერთ-ერთი ნიშანი ეთნოსის საკუთარი სახელი — ეთნონიმიცაა.

ეთნონიმი ეთნოსის ეთნიკური თვითშეგნების, ეთნიკური ცნობიერების, სხვებისაგან განსხვავებულობის გამოხატულებაა.

ეკლესია

1. ძველ საბერძნეთში სახალხო კრების ყველაზე უფრო გავრცელებული სახელწოდება. დემოკრატიულ პოლისებში (მაგ. ათენში, ძვ.წ. V ს.) სახელმწიფოს უმაღლესი ორგანო იყო. მას ჰქონდა სრული საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ძალაუფლება, ირჩევდა თანამდებობის პირებს და ახორციელებდა მათზე მუდმივ კონტროლს.
2. რელიგიური ორგანიზაცია, სარწმუნოებისა და კულტის ერთიანობაზე დამყარებული ამა თუ იმ რელიგიის მიმდევართა გაერთიანება, ადგილი, სადაც სრულდება რელიგიური რიტუალები. მისი ძირითადი განმასხვავებელი ნიშნებია: მეტ-ნაკლებად დამუშავებული დოგმატური და საკულტო სისტემა, იერარქიული ხასიათი და მმართველობის ცენტრალიზაცია, მორწმუნეთა დაყოფა კულტის პროფესიულ მსახურებად (სამღვდელოება) და რიგით მორწმუნე ერისკაცებად (მრევლი). ზოგადსაკაცობრიო პრობლემების გამწვავებასთან დაკავშირებით სულ უფრო მეტად იზრდება ეკლესიის როლი როგორც ცალკეული ქვეყნების შიგნით, ისე საერთაშორისო მასშტაბით.

ეკუმენიზმი

მოძრაობა, რომლის მიზანიცაა რელიგიური კონფესიების გაერთიანება. ქრისტიანულ ეკუმენიზმს საფუძველი ჩაეყარა 1910 წელს ედინბურგში გამართულ მსოფლიო მისიონერულ კონფერენციაზე. ეკუმენიზმი სულ ცოტა, სამ მიმართულებას ითვალისწინებს:

1. ქრისტიანული კონფესიების გაერთიანებას;

2. არაქრისტიანული რელიგიების ინტეგრაციულ პროცესებს;
 3. ქრისტიანული ეკონომისტური ორგანიზაციების არაქრისტიანულ ორგანიზაციებთან შეთანხმებულ მოქმედებებს.
- უკანასკნელთა შორის გამოირჩევა ბუდისტების მსოფლიო საძმო, მსოფლიო ისლამური კონგრესი, ალ-ახზარესთან (ქაიროში) არსებული ისლამური კვლევების ცენტრი და სხვა. ქრისტიანობაში ეკუმენისტური პროცესების კოორდინატორია მსოფლიო საეკლესიო საბჭო, რომელიც 1948 წელს შეიქმნა. მასში გაერთიანებულია პროტესტანტული, მართლმადიდებლური, სომხურ-ბერძნული და სხვ. კონფესიების უმრავლესობა

ემიგრანტი

პირი, რომელიც ტოვებს თავისი მოქალაქეობის ან მუდმივი საცხოვრებელი ადგილის ქვეყანას და საცხოვრებლად მიემგზავრება სხვა სახელმწიფოში (გაეროს 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (27-ე მუხ.). 1966 წლის საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ (მე-12 მუხ., მე-2 პუნქ.) აღიარებს „ყოველი ადამიანის უფლებას, დატოვოს ნებისმიერი ქვეყანა, მათ შორის საკუთარიც“ (ე. ი. ემიგრაციის უფლებას). ეს უფლება კანონის საფუძველზე შეიძლება შეიზღუდოს იმისათვის, რომ დაცულ იქნეს სახელმწიფო საიდუმლოება და უსაფრთხოება, საზოგადოებრივი წესრიგი, მოსახლეობის ჯანმრთელობა და ზნეობა ან სხვა უფლებები და თავისუფლებები. შაბჭოთა კავშირის მიერ ამ უფლების დარღვევა წლების განმავლობაში ძაბავდა ურთიერთობას დასავლეთის ქვეყნებთან, განსაკუთრებით ებრაელთა ემიგრაციასთან დაკავშირებით.

ემიგრაცია

პოლიტიკური, ეკონომიკური ან პირადი მიზეზებით უცხო ქვეყანაში მცირე ხნით ან მუდმივად საცხოვრებლად წასვლა. ოლიტიკური მიზეზებით ე., როგორც წესი, რეპრესული რეჟიმის თანმხლები მოვლენაა, როდესაც რეპრესიის შიში ან გაბატონებული რეჟიმისათვის ლოიალობის გამოცხადების აუცილებლობა მოქალაქეებს აიძულებს უცხო ქვეყანას შეაფარონ თავი. რაც შეეხება ემიგრაციას ეკონომიკური მიზეზებით, იგი საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებისათვისაა დამახასიათებელი. აპიტალიზმის ეპოქაში, მას შემდეგ რაც სამუშაო ძალამ საქონლის სახე შეიძინა, კაპიტალის სხვა ფორმების მსგავსად, მუშახელი ერთი ქვეყნიდან მეორეში შედარებით თავისუფლად გადაადგილდება.

ერი-სახელმწიფო

საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი ფაქტორი. ახალ პერიოდში ერი-სახელმწიფოს ჩამოყალიბება შესაძლებელი გახდა, როცა ეთნოკულტურული ერთობები ერებად ჩამოყალიბდნენ და ერთიან პოლიტიკურ ერთობად ყოფნის აუცილებლობა გააცნობიერეს. ერი-სახელმწიფოს მნიშვნელობისათვის განმსაზღვრელი აზრი აქვს ორი ტერმინის, ერისა და სახელმწიფოს შეკავშირებას და სახელმწიფოს საფუძვლად და შემაკავშირებელ ერთობად ერი წარმოჩინდა.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა

დაპყრობილი და კოლონიზებული ხალხების ბრძოლა, მიაღწიონ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას და კულტურულ იდენტიფიკაციას.

ეროვნულ თვითგამორკვევა

ეს არის ხალხის უფლება, თვითონ განსაზღვროს საკუთარი ბედი ანუ ჰქონდეს უფლება ან მისწრაფება, თვითონ მართოს საკუთარი თავი და განსაზღვროს იმ ტერიტორიის პოლიტიკური და სამართლებრივი სტატუსი, რომელიც უკავია.

ეროვნულ ინტერესები

სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი განმსაზღვრელი კონცეფცია, რომელსაც საფუძვლად ეროვნული უსაფრთხოებისა და გადარჩენის პრინციპები უდევს.

ეროვნული უსაფრთხოება

სახელმწიფოს დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის, პოლიტიკური ინსტიტუტებისა და კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნების უზრუნველყოფა. ეროვნულ უსაფრთხოება მოიცავს: სამხედრო, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, საზოგადოებრივ, ინფორმაციულ, გარემოს დაცვისა და არასამხედრო კომპონენტებს. ეროვნული უსაფრთხოება გამოხატავს სახელმწიფო პოლიტიკის მნიშვნელოვან მიმარ-თულებებს და პრინციპებს. იგი არის მთავარი საფუძველი ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის სფეროში კონკრეტული პროგრამების და საორგანიზაციო დოკუმენტების შემუშავებისათვის.

პროვნილი უსაფრთხოების დოქტრინა

პოლიტიკის ძირითადი კანონი, რომელიც ხაზს უსვამს სახელმწიფოს ტერიტორიულ და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას. ეროვნულ უსაფრთხოებას აბსოლუტური პრიორიტეტი აქვს პოლიტიკის სხვა საკითხებთან შედარებით

პროვნილი უშიშროება

სახელმწიფოს უსაფრთხოების სტრატეგიის შესახებ ოფიციალურად მიღებული შეხედულებების ერთობლიობა იმ მიზნით რომ არსებული რესურსების და შესაძლებლობის გათვალისწინებით უზრუნველყოს პიროვნების, საზოგადოების და სახელმწიფოს უსაფრთხოება პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, სამხედრო, ტექნოლოგიური, ეკოლოგიური, საინფორმაციო და სხვა სახის საგარეო და საშინაო საფრთხეებისაგან.

პროვნილი უმცირესობანი

სახელმწიფოში მცხოვრებ მოქალაქეთა ჯგუფი, რომლებიც რიცხობრივად მცირეა ძირითად მოსახლეობასთან შედარებით, და განსხვავდება მისგან თავისი ენით, რელიგიით, ეთნიკური კუთვნილებით. ეს სტატუსი ჩამოყალიბდა საერთაშორისო ორგანიზაციების ორგანოთა და ექსპერტთა მუშაობის შედეგად. ეროვნულ უმცირესობათა წინამორბედებად გვევლინება „რელიგიური უმცირესობა.“ ფეოდალურ სამყაროში, რომელიც არ იცნობდა ერის ცნებას, სახელმწიფოები ცდილობდნენ სხვა ქვეყანაში მცხოვრებ ერთმორწმუნეთა დაცვას ამ ქვეყანაში გაბატონებული მათთვის უცხო რელიგიისაგან, რისთვისაც ასეთ ქვეყნებთან დებდნენ სათანადო შეთანხმებას. XVII ს-დან მოყოლებული, ხშირდება ევროპული სახელმწიფოების პრაქტიკაში ამ სახის ხელშეკრულებანი როგორც ერთმანეთს შორის (მაგ.: ვესტფალიისა და ინსბრუკის 1648 წლის ხელშეკრულებანი, ვენის 1815 წლის კონგრესის აქტები და სხვ.), ასევე აღმოსავლეთის ქვეყნებთან (რუსეთ-

თურქეთის 1774 წლის ხელშეკრულება და ა. შ.). XX ს-დან რელიგიურ უმცირესობათა დაცვა იცვლება „ეროვნულ უმცირესობათა“ ინტერესების უზრუნველყოფით. დიდმა სახელმწიფოებმა დაქსაქსეს პატარა ერები ევროპის გულში საზღვრების ხელოვნურად გატარების მეშვეობით. ჩნობილია, რომ ვერსალის სისტემამ (1919) ავსტრია-უნგრეთის ადგილას შექმნა რამდენიმე სახელმწიფო, რომელთა მოსახლეობის უდიდეს ნაწილს „ეროვნული უმცირესობანი“ შეადგენდნენ. პოლონეთთან, ჩეხოსლოვაკიასთან, იუგოსლავიასთან, უნგრეთთან, ბულგარეთთან, რუმინეთთან, საბერძნეთთან და თურქეთთან დადებულ ხელშეკრულებებში ინგლისმა და საფრანგეთმა შეიტანეს სპეციალური პუნქტები „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“, მაგრამ შემდგომ ამ უმცირესობათა ჩივილებსა და მოთხოვნებს არავინ ყურადღებას აღარ აქცევდა; ასეთსავე პოზიციაზე იყო ერთა ლიგა, რომელსაც უშუალოდ ეკისრებოდა ეროვნულ უმცირესობათა ინტერესების დაცვა. გაერო უარყოფს ეროვნულ უმცირესობათა უფლებას – უშუალოდ მიმართონ მას პეტიციით, მაგრამ, ამასთან ერთად, აძლიერებს მოთხოვნებს თვით სახელმწიფოების მიმართ ადამიანისა და ერების ღირსებისა და თავისუფლების ხელშეუხებლობის დარგში. წინააღმდეგ შემთხვევაში, დამნაშავე სახელმწიფოს მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნას იძულება. საკითხის დასმის უფლება აქვს გაეროს წევრ ყველა სახელმწიფოს და ამ ორგანიზაციის გენერალურ მდივანს. გაეროს წესდება არ ხმარობს ტერმინს – „ეროვნული უმცირესობა“ მაგრამ ქმნის მათი დაცვის რეალურ გარანტიებს. საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ აღიარებს იმ ინდივიდთა უფლებებს, რომლებიც ეთნიკურ, რელიგიურ და ენობრივ ჯგუფებს მიეკუთვნებიან,“ შექმნა ფართო ავტონომია. შემდგომ დადგინდა, რომ ამ ჯგუფებს არ შეიძლება ჰქონდეთ იმ სახელმწიფოდან გამოყოფის პრეტენზია, რომელშიც ისინი ცხოვრობენ, ანუ მათზე არ ვრცელდება ხალხთა თვითგამორკვევის უფლება. ძოგადად ამ ჯგუფთა ყველა კატეგორია „ეროვნულ უმცირესობათა“ ტერმინში ერთიანდება, მიუხე-

დავად იმისა, რომ ასეთი ჯგუფი სხვა სახელმწიფოში მცხოვრები ხალხის მცირედი ნაწილია (მაგ.: რუმინეთში - უნგრელები, საქართველოში - სომხები, აზერბაიჯანელები, რუსები, ბერძნები და სხვ., ესტონეთში - რუსები), თუ უმცირესობაში მყოფი ძირძველი მოსახლეობაა. თავისთავად ცხადია, მათ არ გააჩნიათ გამოყოფის უფლება იმ სახელმწიფოს თანხმობის გარეშე, რომელშიც ისინი ცხოვრობა. დასრულებული სახით ეუ-თა სტატუსი ჩამოყალიბდა გაეროს 1992 წლის „დეკლარაციაში იმ პირთა უფლებების შესახებ, რომლებიც ეროვნულ თუ ეთნიკურ, რელიგიურ თუ ენობრივ უმცირესობებს მიეკუთვნებიან. - დეკლარაციის მიხედვით, მათ უნდა მიეცეთ უფლება, თავისუფლად ეზიარონ თავიანთ კულტურას, რელიგიას, გამოიყენონ თავიანთი ენა საჯარო და პირად ცხოვრებაში, აქტიურად მიიღონ მონაწილეობა ქვეყნის კულტურულ, რელიგიურ, საზოგადოებრივ, ეკონომიკურ თუ სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში, სახელმწიფოს ცენტრალური თუ ადგილობრივი ორგანოების იმ გადაწყვეტილებათა მიღებაში, რომლებიც ეხება უმცირესობის ბედს; იმ რეგიონში, სადაც ისინი ცხოვრობენ, უმცირესობათა წევრები უფლებამოსილნი არიან, ურთიერთობა დაამყარონ ამავე ჯგუფის სხვა წევრებთან ან სხვა უმცირესობებთან, ამ უმცირესობის მონათესავე პირებთან, რომლებიც საზღვარგარეთ ცხოვრობენ (1-ლი - მე-3 მუხ.). საჭიროებისამებრ, სახელმწიფოები იებენ ზომებს, რათა კანონის წინაშე სრული თანასწორობის საფუძველზე უზრუნველყონ უმცირესობათა ყოველი წარმომადგენლისათვის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა რელიზაცია; უქმნიან მათ ხელსაყრელ პირობებს, რათა საშუალება მისცენ, გამოამჟღავნონ თავიანთი თავისებურებანი, განავითარონ თავიანთი კულტურა, ენა, რელიგია, ტრადიციები და ჩვეულებანი, თუ მათი კონკრეტული საქმიანობა არ ეწინააღმდეგება ქვეყნის ეროვნულ კანონმდებლობასა და საერთაშორისო სამართალს; აღნიშნულ პირებს, შეძლებისდაგვარად, საშუალება მისცენ, შეისწავლონ თავიანთი მშობლიური ენა და მიიღონ განათლება ამ ენაზე; აქტიურად ჩააბან უმცირესობანი ქვეყნის ეკონომიკური პროგრესისა და გა-

ნვითარების პროცესში. თავის მხრივ, ამ უმცირესობებმა სათანადო ანგარიში უნდა გაუწიონ იმას, რომ აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა, რომელიც „ენინაალმდეგება გაეროს მიზნებსა და პრინციპებს, მათ შორის სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის, ტრადიციული მთლიანობისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის პრინციპებს“ (მე-8 მუხ., მე-4 პუნქ.). ეროვნულ უმცირესობათა საკითხი მწვავედ იდგას სსრ კავშირის დაშლის პროცესში, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც სსრ კავშირის 1990 წლის აპრილის კანონით ავტონომიურ რესპუბლიკებსა და და სხვა ავტონომიებს უფლება მიეცათ, თვითონვე გადაეწყვიტათ თავიანთი ბედი და გამოყოფოდნენ იმ რესპუბლიკას, რომელიც სსრ კავშირიდან გამოსვლას დააპირებდა. პირველ რიგში ეს შეეხო საქართველოს, აზერბაიჯანსა და მოლდოვას, სადაც ეწყობოდა ე.წ. ეთნიკური კონფლიქტები, რომლებიც რუსეთის რეაქციული წრეების მიერ იყო ინსპირირებული და მათი უშუალო დახმარებით სარგებლობდა. ეს წრეები ცდილობდნენ, შიგნიდან აეფეთქებინათ დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ყოფილი „მოკავშირე რესპუბლიკები“, მაგრამ ამას დაბრკოლებას უქმნიდა და უქმნის სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობა, რომელიც უარყოფს ნებისმიერი ეროვნული უმცირესობის წადილს, ცალმხრივად გამოეყოს სახელმწიფოს. ეუ-ის პრობლემას დიდი ყურადღებას აქცევს „ევროპული ჩარჩო კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“ (ძალაში შევიდა 1.II.1998) და ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ 1992 წელს დამტკიცებული „რეგიონული თუ უმცირესობათა ენების ქართია. - მხარეები იღებენ ვალდებულებას, უზრუნველყონ ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი ჯგუფების წევრთა კულტურული, რელიგიური, ენობრივი და ადამ-ჩვეულებების დაცვა და ხელის შეწყობა მათი განვითარებისათვის, არ დაუშვან მათი დისკრიმინაცია საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების არც ერთ სფეროში. ძირითადად ეს აქტები ეფუძნებიან ზემოაღნიშნულ საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს, მაგრამ,

ამავე დროს, ბევრ ახალ უფლებას აღნუსხავენ, რაც მიუღებელია ზოგიერთი სახელმწიფოსთვის. ამიტომ ზოგიერთი ევროპული ქვეყანა დღემდე არ მონაწილეობს ჩარჩო კონვენციაში, რადგანაც არ ცნობს თავის ტერიტორიაზე ასეთი უმცირესობების არსებობას (მაგ., საფრანგეთი). საქართველო 2005 წლის დასაწყისისთვის არ იყო ამ დოკუმენტის სახელმწიფოთა შორის, თუმცა აღიარებს ეუ-თა არსებობას საქართველოს ტერიტორიაზე. ევროპის საბჭოს ფარგლებში მოქმედებს ეროვნულ უმცირესობათა მდგომარეობის მეთვალყურე კომისარი და მონიტორინგის მწარმოებელ ექსპერტთა საკონსულტაციო კომიტეტი, რომელიც განიხილავს სახელმწიფოების მიერ წარდგენილ მოხსენებას (დაიწყო მუშაობა 1998 წლიდან).

ექსტრაშეიშვითი

ერთგულება უკიდურეს შეხედულებებზე და პოლიტიკური პრობლემების უკიდურესი გზებითა და საშუალებებით გადაჭრისაკენ მიდრეკილება. პოლიტიკაში ის გულისხმობს დასახული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად ყველაზე რადიკალური საშუალებების - ძალადობის, ტერორის გამოყენებას. ქსტრემიზმის ძირითადი წყაროა პოლიტიკური და სოციალური სტრუქტურების დეფორმაცია, არასწორი ნაციონალური და ეკონომიკური პოლიტიკა.

ვენის სისტემა

იგივე ევროპული კონცერტის სისტემა. საერთაშორისო ურთიერთობების სისტემა, რომელიც ევროპაში ჩამოყალიბდა ნაპოლეონის ომების დასრულების შემდეგ. ვენაში შეკრებილმა ევროპულმა სახელმწიფოებამ იმსჯელეს ომის შემდგომი ევროპის მოწყობის შესახებ და მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილებები, რომელიც ვენის კონგრესის გადაწყვეტილებების სახელწოდებითაა ცნობილი.

პერსალ-ვაშინგტონის სისტემა

საერთაშორისო ურთიერთობების სისტემა რომელიც მოქმედებდა მე-20 ს-ის 20-30-იან წლებში. მის შექმნას საფუძვლად დაედო პარიზის და ვაშინგტონის კონფერენციები, რომლებმაც განსაზღვრეს ომისშემდგომი სიტუაციის მონესრიგება მსოფლიოში.

ვატო

იგივე აკრძალვა. საერთაშორისო ასპარეზზე ვეტოს უფლება აქვთ გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრებს (აშშ-ს, რუსეთს, დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთსა და ჩინეთს).

ვიზიტი

ამა თუ იმ სახელმწიფოს მეთაურის, მთავრობის ან დიპლომატიური წარმომადგენლის სტუმრობა მეორე ქვეყნის ოფიციალურ პირთან, სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან საქმიან წევრებთან. ტერმინი ასევე გამოიყენება ერთი ქვეყნის სამხედრო-საზღვაო ესკადრის მეორე ქვეყნის პორტში შესვლის აღსანიშნავად, როდესაც ამგვარი სტუმრობას ორ ქვეყანას შორის მეგობრული ურთიერთობების მანიფესტაცია უდევს საფუძვლად.

ზავი

ძალადობრივი კონფლიქტის დროებითი შეწყვეტა.

ზნე-ჩვეულებები

ვებერის თანახმად, ერთგვაროვანი და განმეორებადი მოქმედებები, რომლებიც ორიენტირებულია განსაზღვრულ წესებზე, ნორმებსა და მაქსიმებზე, როგორც მოქმედების მეტნაკლებად სტაბილურ მნიშვნელობებზე. ზნე-ჩვეულების ფარგლებში მოქმედების ერთგვაროვნება აიხსნება მხოლოდ ჩვევებით. ადათი ისეთი ზნე-ჩვეულებაცაა, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში გამომუშავდება და განპირობებულია საერთო ინტერესებით, რასაც ვებერი ინტერესთა კონსტელაციას უწოდებს. ადათები არ არის „მნიშვნელადი“. ეს ნიშნავს, რომ ისინი არაეისგან „მოითხოვენ“ მათ დაცვას. უფრო ზუსტად: ადათები ისეთ ნორმებს შეიცავს, რომლებიც სრულდება ვალდებულების შეგრძნების გარეშე (მაგალითად, საზოგადოებაში მიღებულია ისაუზმო გარკვეული წესების დაცვით, თუმცა, არავინ არის ვალდებული ამ წესებს მისდიოს). ამრიგად, ზნე-ჩვეულებებსა და ადათებს არა აქვს ფორმალურ-ინსტრუქციური ხასიათი და არ ექვემდებარება ადმინისტრაციულ რეგულირებას. სოციალური მოქმედების კლასიფიკაციაში, ისინი თავსდება ტრადიციული მოქმედების ფარგლებში, რომელიც იმყოფება გასაზრისიანებული მოქმედების ზღვარზე, ანუ, რაციონალური გაგების ფარგლებს სცილდება.

თავდაუსხველობის პაქტი

ორ ან მეტ სახელმწიფოს შორის შეთანხმება, რომელიც გარკვეული პერიოდის განმავლობაში ერთიმეორის წინააღმდეგ მტრულ საბრძოლო მოქმედებებზე უარის თქმას ითვალისწინებს.

თვითგამოცხევა

საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი საყოველთაოდ აღიარებული პრინციპი, რომელიც ყოველ ხალხს, ეთნოს ანიჭებს უფლებას დამოუკიდებლად და თავისუფლად განსაზღვროს თავისი ბედი, მათ შორის თავისი სახელმწიფოებრივი არსებობის ფორმა.

იდენტურობა, იდენტიფიკაცია, თვითიდენტიფიკაცია

იდენტურობა არის ადამიანის ფსიქოლოგიური წარმოდგენა საკუთარ “მე”-ზე, როგორც სუბიექტურად აღქმულ მთლიანობასა და ინდივიდუალურობაზე, რომლის მეშვეობით პიროვნება საკუთარ თავს აიგივებს გარკვეულ ტიპოლოგიურ კატეგორიასთან (სახელმწიფო, სოციალური სტატუსი, კულტურა, ეროვნება, ასაკი, სქესი, პროფესია და ა.შ.). სოციალურ მეცნიერებებში გამოყოფენ სოციალურ იდენტურობას, კულტურულ იდენტურობას, ეთნიკურ იდენტურობას, ჯგუფურ იდენტურობას. იდენტურობის მექანიზმი გადამწყვეტ როლს თამაშობს სოციალური სტრუქტურისა და კულტურული ტრადიციების შენარჩუნების, გადაცემის პროცესში. თავად პროცესის, დინამიკის აღსანიშნავად გამოიყენება ტერმინი “იდენტიფიკაცია”, რომელიც ხმარებაში პირველად ხმარებაში ფსიქოანალიზის ფუძემდებელმა ზიგმუნდ ფროიდმა შემოიღო. მისი სკოლა იდენტიფიკაციას “მე”-ს თვითგანვითარების მთავარ, ცენტრალურ მექანიზმად მოიაზრებს. დღეისათვის სოციოლოგები და სოციალური ფსიქოლოგიის მკვლევარები “იდენტიფიკაციაში” გულისხმობენ ინდივიდის სოციალიზაციას, სოციალური როლების მიღებასა და ადაპტაციას, სოციოკულტურული მოდელების ათვისების პროცესს.

იდენტურობის სუბიექტური განცდა — თვითიდენტიფიკაცია — ყალიბდება ადამიანის ინდივიდუალური განვითარების კვალდაკვალ და სოციალიზაციის, საზოგადოებაში პიროვნების ინტეგრაციის შედეგს წარმოადგენს. ინდივიდის მიერ სოციოკულტურული ნიმუშების, ნორმების, ღირებულებების ათვისება და გაზიარება, საკუთარი თავის, ადგილის მიკუთვნება არ არის ერთგვაროვანი პროცესი და ხასიათდება გარკვეული ცვლილებებითაც. გამოყოფენ

იდენტურობის დაკარგვის, შელახვის შესაძლებლობას, რომელიც ძირითადად ინდივიდის ასაკობრივი, ფსიქოლოგიური კრიზისის ან სოციოკულტურული გარემოს მკვეთრად შეცვლის შემთხვევაში რეალიზდება. მაშასადამე, იდენტურობის დაკარგვა თანამდევია ისეთი მოვლენებისა, როგორიცაა გაუცხოება, დეპერსონალიზაცია, ანომია, პიროვნული დეზორიენტაცია, სოციალური იზოლირება, გაორება (მარგინალიზაცია), ფსიქოლოგიური პათოლოგია. სოციოკულტურული ცვლილებების დროს იდენტურობის კრიზისმა შეიძლება ფართო, საყოველთაო მასშტაბები მიიღოს, თუმცა მას ზოგჯერ დადებით შედეგებამდეც მივყავართ (როგორიცაა ცვლილებებისადმი ადაპტაცია, სტრუქტურული ცვლილებები და სხვ.).

ამგვარად, სამეცნიერო ლიტერატურაში გამოყენებული სამი ტერმინი — იდენტურობა, იდენტიფიკაცია, თვითიდენტიფიკაცია — ერთი და იგივე შინაარსისაა და ერთმანეთისაგან განსხვავდება აქცენტებით: 1. იდენტურობა აღნიშნავს უკვე ფაქტის სახით არსებულ რეალობას, იდენტიფიკაცია კი პროცესია, რომლის შედეგი ამ რეალობის განსაზღვრაა; 2. იდენტიფიკაცია და თვითიდენტიფიკაცია ერთი და იგივე პროცესის ობიექტური და სუბიექტური ასახვაა. კულტურული იდენტურობა არის ამა თუ იმ ისტორიული ერთობის წევრ ინდივიდთა (თვით) გააზრება ამ ერთობის კულტურის წევრად. ეთნიკური იდენტიფიკაცია საკუთარ ეთნიკურ გარემოსთან ინდივიდის გაიგივების პროცესია, რომელიც მას ამ ეთნოსის ქცევის ნორმებისა და კულტურული ფასეულობების ათვისების შესაძლებლობას აძლევს. ცივილიზაციური იდენტურობა არის ამა თუ იმ კულტურის მატარებელთა (თვით)გააზრება რომელიმე ცივილიზაციური ერთობის წევრად

იმიგრანტი

უცხოელი, რომელიც შემოდის სახელმწიფოში იქ სამუდამოდ ან დროებით დასახლებისათვის და უარს ამბობს თავისი ქვეყნის მოქალაქეობაზე ან იქ მუდმივად ცხოვრებაზე. იმიგრანტი შეიძლება იყოს კანონიერი ან არაკანონიერი.

იმპერია

სახელმწიფო, რომლის ხელისუფლება ვრცელდება მმართველი ძალისგან კულტურულად ან ეთნიკურად განსხვავებულ, როგორც წესი დაპყრობილ, ტერიტორიებზე და მოსახლეობებზე. სხვა, უფრო ფორმალური განმარტებით იმპერია არის მონარქია, რომლის მონარქი ატარებს იმპერატორის ტიტულს. იმპერიისთვის, როგორც სახელმწიფოებრივი ფორმისათვის დამახასიათებელია მონარქის მმართველობის მბრძანებლური ხასიათი, მეტროპოლიის, ცენტრის, გაბატონებული ერის პრივილეგირებული მდგომარეობა კოლონიებთან, პროვინციებთან, სხვა ეროვნების წარმომადგენლებთან შედარებით, რომელთაც ხშირად უარს უცხადებენ თვითგამორკვევისა და თვითმმართველობის უფლებაზე; მკაცრი და უკიდურესი ცენტრალიზაცია, იმპერიის იდეოლოგიის ოფიციალური ქადაგება, რომელიც შოვინიზმს, ნაციონალიზმსა და სხვ. ემყარება. იმპერიის ყველაზე უფრო ფართო გაგება გამოიყენებოდა რომის, ინგლისის, საფრანგეთის, რუსეთისა და სხვ. კოლონიალური სახელმწიფოების აღსანიშნავად.

იმპერიალიზმი

სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც მდგომარეობს სხვა სახელმწიფოების და ხალხების დაპყრობის, მათი საკუთარი გავლენის ქვეშ მოთავსების მცდელობაში, საკუთარი ინტერესების შესაბამისად. იმპერიალისტური პოლიტიკა შეიძლება ხორციელდებოდეს პირდაპირ – ძალისმიერი მეთო-

დების გამოყენებით, ან ირიბად – ეკონომიკური და პოლიტიკური ხერხების გამოყენებით ეს არის ჰეგემონური სახელმწიფოს დაქვემდებარებულ ქვეყნებთან ან ხალხებთან ურთიერთობების სისტემა. იმპერიალისტური პოლიტიკის მიზანი ჰეგემონი სახელმწიფოს საზღვრებს მიღმა ძალაუფლების გავრცელება და მჭიდროდ დაკავშირებული პოლიტიკური და ადმინისტრაციული ერთეულის შექმნაა.

ინტეგრაცია

სახელმწიფოთა გაერთიანების პროცესი პოლიტიკური თანამეგობრობის შექმნის მიზნით. ის ნებაყოფლობითი პროცესია და კონსენსუსს ემყარება. მას ახასიათებს ისეთი გადაწყვეტილების მიმღები სტრუქტურებისა და პოლიტიკური პროცესების არსებობა, რომლებიც თავიანთი ხასიათით უფრო ზეეროვნულია, ვიდრე სახელმწიფოთაშორის. ინტეგრაციის პროცესის წარმატებისათვის აუცილებელია უსაფრთხოების, თანამეგობრობისა და ეკონომიკური ურთიერთ დამოკიდებულების არსებობა. ტრადიციული (ევროპული) სქემით ინტეგრაციის საფეხურებია საბაჟო კავშირის, საერთო ბაზრის, საერთო პოლიტიკური სტრუქტურებისა და იდენტიურობის შექმნა. ინტეგრაცია, როგორც წესი, რეგიონალიზმის საფუძველზე ვითარდება. დღევანდელ მსოფლიოში რეგიონული ინტეგრაციის ყველაზე წარმატებული მაგალითი ევროპის კავშირია.

ინტერპენაცია

ერთი ან რამდენიმე სახელმწიფოს ძალადობრივი ჩარევა რომელიმე ქვეყნის საშინაო საქმეებში (ტერიტორიის დასაპყრობად, რეჟიმის შესაცვლელად, რევოლუციური ან ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩასახშობად და სხვ.). განასხვავებენ შეიარაღებულ, ეკონომიკურ, დიპლომატიურ ინტერვენციის, რომელთაგან ყველაზე საშიში

ფორმაა შეიარაღებული, ანუ სამხედრო ინტერვენცია - იგი აგრესიის აქტს წარმოადგენს და სამხედრო დანაშაულად ითვლება.

ინდუიზმი

ინდოეთში ყველაზე გავრცელებული რელიგია, ბრაჰმანიზმის გადამუშავებული სახე, ერთ-ერთი უძველესია დიდ რელიგიებს შორის. ჩაისახა ძვ. წ. VI-IV სს-ში ბუდიზმთან და ჯაიმიზმთან ბრძოლაში. გაფორმდა კასტებად დაყოფასთან ერთად. ვედიზმისა და ბრაჰმანიზმის ელემენტების გარდა შეინარჩუნა ბევრი რამ წარმართულიდან. არის პოლითეისტური რელიგია მრავალი ღმერთითა და სხვადასხვა კულტით. ამოირჩევა ადამიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის სხვადასხვა მხარესთან კავშირის მრავალგვარობით. ინდუიზმში განსაკუთრებით ძლიერია საზოგადოებრივ-ყოფითი ტრადიციების მოთხოვნები. უკიდურესად შეუწყნარებელია მრავალგვარ შეზღუდვათა და აკრძალვათა დარღვევის მიმართ, რომლებიც საზოგადოებრივი, ოჯახური და პირადი ცხოვრების სფეროებს განეკუთვნება, აგრეთვე სხვადასხვაგვარი ჯგუფების, კასტებისა და ქვეკასტების მიმართაც, რომელთა შორის ზღუდეები ამჟამად ურყევია. ინდუიზმის ძირითადი მიმდინარეობებია: ვიშნუიზმი, შივაიზმი და შაქტიზმი.

ინკულტურაცია და სოციალიზაცია

ტერმინით ინკულტურაცია აღინიშნება კულტურაში ინდივიდის ჩართვის პროცესი, მოცემული კულტურისათვის დამახასიათებელი ქცევის ნორმებისა და ნიმუშების ათვისება. ტერმინი შემოტანილ იქნა მ. ჰერსკოვიცის მიერ 1948 წელს გამოქვეყნებულ მის ერთ-ერთ ნაშრომში. თითქმის იმავდროულად, კ. კლაკჰონმა შემოიტანა აზრობრივად ანალოგიური ტერმინი “კულტურალიზაცია”.

იმ დროისათვის არსებული ტერმინი “სოციალიზაცია” ნაკლებად მოიცავდა კულტურის კოგნიტიური ასპექტების (განათლება, რწმენა, ფასეულობები) შეთვისების პროცესს. 16-ლისური სოციალური ანთროპოლოგიისაგან განსხვავებით, ამერიკული კულტურული ანთროპოლოგია კვლევის ცენტრში კულტურას აყენებდა და არა “საზოგადოებას”, შესაბამისად, ტერმინი “ინკულტურაცია” მისთვის უფრო ორგანული იყო. ამასთანავე, ამ ტერმინს ჰქონდა იგივე აზრი, რაც ცნებას “სოციალიზაცია”; მათი მკაფიო და ზუსტი გაყოფა ვერ ხერხდებოდა. ინკულტურაცია აღნიშნავდა როგორც კულტურაში ჩართვის პროცესს, აგრეთვე ამ პროცესის შედეგს. ინკულტურაცია, ვიწრო გაგებით, ნიშნავს ბავშვის მიერ კულტურის ნორმებისა და ღირებულებების შეთვისებას; ფართო გაგებით კი განიმარტება როგორც პროცესი, რომელიც მიმდინარეობს შეუზღუდავი პერიოდის განმავლობაში, ადრეულიდან ზრდასრული ასაკით დამთავრებული.

მოცემული ტერმინი შეიძლება გამოყენებულ იქნას იმიგრანტებთან მიმართებაში, რომლებიც ახალ კულტურულ პირობებთან ადაპტირდებიან, მისი გამოყენება შეიძლება აგრეთვე კულტურული კონტაქტისა და კულტურული ცვლილების კვლევისას.

ცნება “ინკულტურაციამ” ვერ ჰპოვა ფართო გავრცელება და გამოყენება, გამონაკლისია ამერიკული ანთროპოლოგიური ტრადიცია. მას აკრიტიკებენ ბუნდოვანი მნიშვნელობის გამო. გარდა ამისა, ტერმინი “სოციალიზაცია” უფრო ფართოდ იყო გავრცელებული და იგივე მნიშვნელობით გამოიყენებოდა; ტერმინ “ინკულტურაციის” წარმოშობა დაკავშირებული იყო საზოგადოებისა და კულტურის ურთიერთდაპირისპირების მცდელობასთან.

ისლამი

მსოფლიო რელიგიებიდან სიდიდით მეორე, რომელიც მომდინარეობს წინასწარმეტყველი მუჰამედის მოძღვრებიდან. ჩაისახა VII ს-ის დასაწყისში არაბეთში, როცა პატრიარქალურ-თემური წყობა შეიცვალა კლასობრივი სახელმწიფოს შექმნით. IX-X სს-ში ისლამი უკვე წარმოადგენდა რთულ სისტემას დახვეწილი ფილოსოფიურ-რელიგიური (ქალამი) და სამართლებრივი (შარიათი) საფუძვლებით. ისლამის ძირითადი პრინციპები თავმოყრილია ყურანში და შეიცავს 7 დოგმას: რწმენა ერთიანი ღმერთისა (ალაჰისა) და ანგელოზებისა, ყველა საღვთო წიგნისა, ალაჰის ყველა წარმოგზავნილისა, ქვეყნის აღსასრულისა, განგებისა და მკვდრეთით აღდგომისა. ყველაფერი, რაც მოხდა და მოხდება, ალაჰის ნებაა. მთელი ისლამი ხუთ მცნებას, „რწმენის სვეტს“ წარმოთქვამს: ფორმულა „არა არს ღმერთი ალაჰის კიდეგან, ხოლო მუჰამედი წინასწარმეტყველია მისი“, ყოველდღე ხუთგზის ლოცვა; ურაზა: რამაზანის თვეში მარხვის დაცვა; აუცილებელია ქველმოქმედება (ზაქიათი); მექაში მოლოცვა (ჰაჯი). ისლამის დღესასწაულებია: ყურბან-ბაირამი, ურაზა-ბაირამი, მავლუდი და სხვა. ორწმუნეთათვის სავალდებულოა აგრეთვე ბრძოლა სარწმუნოებისათვის, საღვთო ომი - ჯიჰადი ან ჰაზაფათი. მუსლიმანთა ძირითადი საკულტო ნაგებობებია მეჩეთი (ღმერთის თაყვანისცემის ადგილი), მინარეთი, მედრესე (სკოლა) და მაზარი (მავზოლეუმი). ქრისტიანობის მსგავსად ისლამი დაიწყო პოლიტიკურ და თეოლოგიურ მიმდინარეობებად, ძირითადად სუნიტურ - უფრო ლიბერალურ და შიიტიურ - უფრო ავტორიტარულ ფორმებად.

იუდაიზმი

მსოფლიო მონოთეისტური რელიგიებიდან ერთ-ერთი, ებრაელი ხალხის რელიგია, რომლის მთავარი პრინციპებია ერთიანი ღმერთის - იაჰვეს - რწმენა, მესიის (ციური მხსნელის) მოლოდინი, ძველი აღთქმისა და თალმუდის აღიარება წმინდა წიგნებად. აღმოცენდა პოლითეისტური კულტურებიდან ძველებრელთა მომთაბარე ტომებში. ძვ.წ. XIII ს-დან დაპყრობილ პალესტინაში თანდათან ჩამოყალიბდა იაჰვეს კულტი, რამაც საერთო სახელმძღვანელო რელიგიის სახე მიიღო (ძვ.წ. X ს-დან). ამ დროისათვის იქმნება ძველი აღთქმის კანონიკური ტექსტი, რომლის ბირთვს წარმოადგენს თორა - 5 წიგნი (რომლის ავტორობასაც მოსეს მიაწერენ). იუდაიზმის ძირითადი დოგმატებია: მონოთეიზმი - იაჰვეს აღიარება ერთადერთ ღმერთად; იაჰვეს და ებრაელთა შორის დადებული აღთქმის რწმენა; ისრაელის ძეთა მიჩნევა ღმერთის რჩეულ ერად. ებრაელებმა შეიცნეს თავი ისეთ ყოვლისშემძლე ღმერთის „რჩეულ ხალხად“, რომელიც თავის ხალხსაც კი სჯის ზნეობრივი მანკიერების გამო. რავალი წლის შემდეგ, იუდაიზმი გადაიქცა თვითმყოფად რელიგიად მიუხედავად იმ ფაქტორისა, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ არსებობდა ებრაელთა სახელმწიფო.

კასტა

ადამიანთა ჩაკეტილი ჯგუფი, რომლებიც დაკავშირებული არიან პროფესიული მემკვიდრეობითი ერთობით, სპეციფიური ტრადიციებით, ნორმებით, ცხოვრების სტილითა და ყოფაქცევით. სამართალი, მოვალეობა და პროფესია კასტაში მემკვიდრეობით გადაეცემა; ქორწინება, როგორც წესი, მხოლოდ ამ ჯგუფის შიგნით ხდება. ასტობრივი სისტემა წარმოადგენს სოციალური სტრატეფიკაციის ფორმას, რომლის დროსაც კასტა განლაგებულია იერარქიული რიგით და გამოყოფილი არიან ერთმანეთისაგან რიტუალური სინშინდის წესებით.

კლანი

ადამიანთა ჯგუფი, რომლებიც თავიანთ წარმომავლობას სავარაუდო საერთო წინაპრისაგან ანგარიშობენ, რომელთანაც გენეალოგიური კავშირი არავის არ ახსოვდა. კლანის წევრები საერთო წინაპრის სახელს ატარებდნენ. კლანი ფაქტობრივად იგივე გვარია.

კროსკულტურული კვლევა

იგივეა რაც კროსკულტურული ანალიზი ან კიდევ შედარებითი სოციალურ-მეცნიერული კვლევა. სოციალურ-კულტურულ კვლევაში გაანალიზებულია განსხვავებული კულტურისა და, შესაბამისად, საზოგადოების სტრუქტურები და ასევე სოციოლოგიური კვლევის მონაცემები. ეს მონაცემები შეიძლება იყოს პოლიტიკური, კულტურული და სოციალური ხასიათის. მსგავსი კვლევით დაკავებულია სოციოლოგიის ერთ-ერთი დარგი, რომელსაც შედარებითი სოციოლოგია ეწოდება.

კულტი

ზებუნებრივის რწმენასთან დაკავშირებული მოქმედებების, წეს-ჩვეულებების, რიტუალების ერთობლიობა. კულტი ნებისმიერი რელიგიის ერთ-ერთ აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს, რაც გამოიხატება განსაკუთრებულ მაგიურ წესებში, მღვდელთმსახურთა და მორწმუნეთა მოქმედებაში ზებუნებრივ ძალებზე სასურველი მოქმედების მოსახდენად. სხვა მნიშვნელობით კულტი წარმოადგენს რაიმე საგნის, სიმბოლოს, ნიშნის, ბუნების ძალის თაყვანისცემასა და პატივისცემას.

კულტურა

წარმოდგება ლათინური ზმნიდან ‘ცოლო’, რაც (ნიადაგის) მოვლას, დამუშავებას, ზრუნვას ნიშნავს. კულტურის ცნების განსაზღვრებაში არ არსებობს ერთსულოვნება. შაკმარისია ითქვას, რომ დღეისთვის ოთხასამდე დეფინიციას ითვლიან. თუმცა შეიძლება გამოიყოს კულტურის ცნების განსაზღვრების სამი ძირითადი ელემენტი: 1. კულტურა ისაა, რაც გადაეცემა. ის სოციალური მემკვიდრეობა, ანუ სოციალური ტრადიციაა. ამ ნიშნით კულტურა განსხვავდება სოციალური სისტემისაგან, რამდენადაც კულტურა შეიძლება ვრცელდებოდეს ერთი სოციალური სისტემიდან მეორეზე; 2. კულტურა ისაა, რასაც სწავლობენ. კულტურა არაა ადამიანის გენეტური ბუნების გამოვლენა, ის სოციალიზაციის პროცესში შექმნილი ნორმების ერთობლიობაა; 3. კულტურა საყოველთაოდ მიღებულია, ანუ ის საზოგადოებისათვის საერთო ნორმებისა და ღირებულებების სისტემაა. ამრიგად, კულტურა ერთი მხრივ, სოციალური ურთიერთქმედების პროდუქტია, ხოლო, მეორე მხრივ, ამ ურთიერთქმედებათა სახეების დეტერმინანტი. გუდენაუ გამოყოფს კულტურის შემადგენელ ოთხ

ელემენტს: 1. ენობრივი ფენომენები (ცნებები, კონცეპტები), რომლებიც ადამიანის (ჯგუფის) გამოცდილების რელევანტურია, რამდენადაც ამ გამოცდილების მოწესრიგებასა და ორგანიზებას ახდენს; 2. ცნებებს შორის მიზეზ-შედეგობრივი და ფუნქციონალური კავშირების გამომხატველი ურთიერთობები; 3. ღირებულებები, რომლებიც დაკავშირებულია მიზნებთან, რისი მიღწევისკენაც საზოგადოება მიისწრაფვის; 4. წესები და ნორმები, რომლებიც არეგულირებს ადამიანთა ქცევის ღირებულებებთან შესაბამისობის თვალსაზრისით. წესებთან დაკავშირებულია სანქციები, რომლებიც ითვალისწინებს დასჯას ან წახალისებას ნორმების დარღვევის ან შესრულების შემთხვევაში.

კულტურული დიფუზია

ინოვაციის გავრცელება მისი აღმოცენება-წარმოშობის ადგილიდან მეზობელ რეგიონებში კულტურათა შორის კავშირ-ურთიერთობების მეშვეობით; სოციალურ ანთროპოლოგიაში, ეთნოგრაფიაში, კულტუროლოგიაში, სოციოლოგიაში სესხებისა და კულტურის გავრცელების პროცესებს ერთ ცენტრიდან სხვებში (დაპყრობის, ვაჭრობის, კოლონიზაციისა თუ მიგრაციის გზით) საზოგადოებრივი განვითარების საფუძვლად მიიჩნევენ.

კულტურული რელატივიზმი

თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც, კულტურა შეიძლება გაგებულ იქნეს მხოლოდ მისი საკუთარი ღირებულებებისა და ნორმების მისივე კონტექსტში ანალიზის საფუძველზე. არ არსებობს ე.წ. „სანიმუშო“ კულტურა, ან უნივერსალური ღირებულებები, რომელთა საფუძველზეც გაიზომება ამა თუ იმ კულტურის ვარგისიანობა. შეუძლებელია სხვადასხვა კულტურისთვის დამახასიათებელი ინდივიდუალობის

„თარგმნა“ ისეთი ტერმინებით, რომლებიც მისაღები იქნება ყველგან და ყველასთვის. ამ თვალსაზრისის თანახმად, შეუძლებელია კულტურათა შეფასება, როგორც „უფრო მაღალის“ ან „უფრო პროგრესულის“, კულტურები უბრალოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან, ყველა მათგანი უნიკალური და შეუცვლელი ღირებულების მქონეა.

კულტურული უნივერსალია

ცხოვრების წესის ყოველგვარი გამოვლინება (ღირებულებები, ქცევის წესები, სტანდარტები და ა.შ.), რომელიც ყველა ადამიანურ კულტურას ახასიათებს.

კულტურული ფემინიზმი

ფემინისტური თეორია, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მამაკაცებისა და ქალების განსხვავებას და ხაზს უსვამს ქალის ღირსებებს. რადიკალური ფემინიზმის ამ მიმართულების თანახმად, ქალებს თავიანთი ისტორიული გამოცდილებიდან გამომდინარე, აქვთ მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი თვისებები: მზრუნველობა, სიმშვიდე, თანაგრძნობა, ემოციურობა, ბუნებრიობა, დათმობა. ულტურული ფემინიზმი შორსაა პოლიტიკისაგან და მისი მიზანია ცხოვრების განსაკუთრებული სტილის გამომუშავება, რომელიც შეცვლის არსებულ პატრიარქალურ-კულტურულ სინამდვილეს.

მაზია

1. იმ წეს-ჩვეულებათა ზოგადი აღნიშვნა, რომლის საფუძველია ბუნების საგნებზე, ცხოველებსა და ადამიანებზე ზებუნებრივი ძალებით ზემოქმედების რწმენა.
2. შედეგის მისაღწევად რიტუალიზებული საშუალებებით ზებუნებრივი და სულიერი ძალების ამოქმედება. მაგია დაკავშირებულია მითებსა და მითოლოგიასთან. ინგლისელი რელიგიათმცოდნის ფრეზერის თანახმად, მაგია ეყრდნობა პრინციპს "მსგავსი შეიქმს მსგავსს", აგრეთვე შეხების კანონზე დაფუძნებულ ჯადოქრობის წესებს (მტრის დაზიანება ან მოკვდინება მისი გამოსახულებისათვის ზიანის მიყენებით). სოციოლოგები და სოციალური ფსიქოლოგები მოქმედებას მაგიურად მიიჩნევენ მაშინ, როცა: ა) ამგვარი მოქმედების შემსრულებელს სწამს, რომ მოვლენის მიზეზი ზებუნებრივი ძალებია; ბ) მოქმედება არ წარმოადგენს ორგანიზებული რელიგიური წეს-ჩვეულების ნაწილს (ამ კრიტერიუმის გამოყენებას ეთნოცენტრისტული ტენდენციები განსაზღვრავს). ფუნქციონალისტთა თვალსაზრისით, მაგიას, იმ შემთხვევებში მიმართავენ, როცა სასურველი მიზნის მისაღწევად რეალური ეფექტური საშუალებები აღარ არსებობს, შესაბამისად, მაგიის სოციალური ფუნქციაა შფოთის შემცირება და რთულ სიტუაციებში აქტიური ქმედების მოთხოვნილების რეალიზაცია. მან ასევე შეიძლება შეასრულოს კათარზისის ფუნქციაც. ფართოესი გაგებით, მაგიას არა მარტო ე.წ. პრიმიტიული საზოგადოებებისთვისაა დამახასიათებელი, არამედ თანამედროვე საზოგადოებათა ცხოვრების ნაწილსაც წარმოადგენს (სხვადასხვა ფსევდომეცნიერების რწმენა, ცრურწმენები და მისთ.).

მატერიალური კულტურა

ცნება, რომელიც გაჩნდა კულტურის მატერიალურად და სულიერად დაყოფის შედეგად. ტერმინი აღნიშნავს ყოველგვარ მატერიალურ საგანს, აგრეთვე, გამოგონებებსა და ცვლილებებს ტექნოლოგიის განვითარებაში. ატერიალური კულტურის ცნებით ხშირად უპირისპირდებიან სულიერი კულტურის ცნებას, მაგრამ ამგვარ დაპირისპირებას შედარებითი ხასიათი აქვს, რამდენადაც კულტურის ნებისმიერი ფენომენი სემიოტიკური ქმნილებაა. მატერიალური კულტურის საგნები ადამიანთა ცხოვრებაში ორმაგ როლს ასრულებს: ერთი მხრივ, ისინი პრაქტიკული მიზნების მიღწევის, მეორე მხრივ კი სოციალურად მნიშვნელოვანი ინფორმაციის გადაცემისა და შენახვის საშუალებებია. მეცნიერებაში მიჩნეულია, რომ მხოლოდ მეორე ფუნქციის მეშვეობით იქცევიან ისინი კულტურის ფენომენებად.

მენტალობა

ინდივიდისა და სოციალური ჯგუფის ფსიქოლოგიური, ქცევითი განწყობილებების ერთობლიობა, რაც გამოიხატება მათ განსაკუთრებულ მსოფლშეგრძნებაში, მსოფლალქმაში, გონების აღნაგობაში, აზროვნების წესში, ცხოვრების ხასიათში და ა. შ. სხვადასხვა მეცნიერებაში ტერმინი „მენტალობა“ გამოიყენება ხალხთა ნაციონალური თავისებურებებისა და მათი კულტურების დახასიათებისათვის. ენტალობა გამოვლინდება იდეის იერარქიზებული სისტემის, შეხედულებების, სამყაროს შესახებ წარმოდგენების, შეფასებების, გემოვნებების, კულტურული კანონების, აზრების გამოხატვის საშუალებების სახით, რომლებიც ეთნიკური ტრადიციების არსებით ნაწილს წარმოადგენენ. ენტალობა ფორმირდება ეთნოგენეზის მსვლელობაში ტრადიციების გავლენით, ცხოვრებისა და ეთნიკური კონტაქტების დროს.

მიგრანტი

პირი, რომელიც ნებაყოფლობით ტოვებს თავის ქვეყანას უკეთესი ცხოვრების საძიებლად. მიგრანტი ლტოლვილისაგან განსხვავებით, სარგებლობს საკუთარი ქვეყნის დაცვით.

მიგრაცია

ცალკეული პირების, ან ჯგუფების მიერ საცხოვრებელი ადგილის შეცვლა გადასახლების მიზეზებისა და მიზნების მიუხედავად. მიგრაციის მიზეზები შეიძლება იყოს როგორც ეკოლოგიური კატასტროფები თუ პოლიტიკური მოტივები, ისე უკეთესი ეკონომიკური პერსპექტივები, ან პოლიტიკური დაცულობა გადასახლების ადგილას. შაზღვრის გადამკვეთთა მცირე ნაწილს თავშესაფრის საძიებლები შეადგენენ. ესეც მიგრაციის ერთ-ერთი სახეა.

მითი

თქმულება, გადმოცემა, რომელშიც გადმოცემულია ძველი ხალხების წარმოდგენები სამყაროს, ბუნების მოვლენების, ღვთაებების (ღმერთების) და ლეგენდარული გმირების შესახებ; წარმოიქმნა ყველა ხალხში განვითარების ადრეულ სტადიაში ბუნების მოვლენების ახსნის მიზნით.

მონოგამია

ქორწინების ნორმა, რომლის თანახმად, ნებადართულია ერთადერთი საქორწინო პარტნიორის ყოლა. შეიძლება გულისხმობდეს გამეორებითი ქორწინების აკრძალვას, ასეთ პირობებში მიმართავენ ტერმინებს - „სერიული მონოგამია“ ან სერიული პოლიგამია“. ტერმინის გამოყენებისას კონოტაცია გულისხმობს წყვილში სექსუალური ერთგულების ორმხრივ შენარჩუნებას.

ნათესაური ურთიერთობები

წარმომავლობასა და სოციალურ კავშირებზე დამყარებული ურთიერთობები ადამიანთა შორის, რელგულირებული ადათ-წესებითა და უფლება-მოვალეობებით. ნათესაურ ურთიერთობას აერთიანებს ადამიანებს სისხლით ან საქორწინო ნათესაობით, რაც განამტკიცებს (მხარს უჭერს) ასეთი კავშირით შექმნილ ჯგუფებს. ე. წ. მარტივ საზოგადოებებში მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი სტატუსი სწორედ ნათესაობის საფუძველზე განისაზღვრება, ამიტომ ანთროპოლოგები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ნათესაობის სტრუქტურასა და ნომენკლატურას. ნათესაური ურთიერთობის თავისებურება განსაზღვრულია კონკრეტულ ტერიტორიაზე ადამიანთა შორის ურთიერთობების სპეციფიკური სტრუქტურით, აგრეთვე სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკის სფეროსთან მიმართების თავისებურებით. ნათესაური ურთიერთობის ტერმინოლოგიური ანალიზი ავლენს კულტურულ მრავალფეროვნებას. ძირითადად შეისწავლიან სამ სფეროს: წარმომავლობა-მემკვიდრეობას, ქორწინების ფორმებს (თანაცხოვრების თავისებურებებს) სექსუალობის რეგულირებას ინცესტის ტაბუირებით. ნაშრომთა დიდი ნაწილი ეხება წამომავლობისა და ქორწინების საკითხებს. მერდოკის თვალსაზრით, ნათესაურ ურთიერთობათა შორის ოჯახი საზოგადოების უნივერსალური მახასიათებელია. ნათესაური ურთიერთობის ფორმალიზაციის დონე, აღიარების მნიშვნელობა და გამოყენება იცვლება დროშიცა და სხვადასხვა საზოგადოებაშიც. მაგალითად, ნათესაურ ურთიერთობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დიდ ბრიტანეთში საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს პოლიტიკის, აგრეთვე განათ-

ლების აუცილებლობის გამოცხადებამდე. დღეს ბევრი მეცნიერი აღნიშნავს ნათესაურ ურთიერთობის როლის დაქვეითებას, თუმცა მრავალი ადამიანისთვის იგი კვლავ რჩება ცხოვრებაში მხარდაჭერის უმნიშვნელოვანეს ნაყოფს (მაგ., კარიერის შესაქმნელად, სამსახურში დასაწინაურებლად). კულტურათა უახლოესი ემპირიული კვლევის მონაცემებით, თანამედროვე კოლექტივისტური კულტურების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თავისებურებაა ძლიერი ორიენტაცია პირველად სოციალურ ჯგუფებზე, პირველ რიგში, ოჯახსა და ნათესაურ ჯგუფებზე, სწორედ ამიტომ ოჯახური როლები და ნორმები განსაზღვრავს ადამიანის ღირებულებებსა და მისი ცხოვრების წესსაც. ოჯახური ურთიერთობები განსაკუთრებული ღირებულებაა. კოლექტივისტი თავის თავს უფრო მეტად განიცდის ნათესაურ ურთიერთობებზე მიჯაჭვულად და ამ ურთიერთობებით განსაზღვრულად, ვიდრე ინდივიდუალისტი. ადამიანის თვითშეფასება მეტადაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ აფასებენ მას ოჯახი და ნათესავები. კოლექტივისტისთვის სპეციფიკურ, სხვა ადამიანებზე დამოკიდებულად ყოფნის ფუნდამენტურ ორიენტაციას აღწერენ ტერმინით „მიჯაჭვულობის ორიენტაცია“.

ნაციონალიზმი

პოლიტიკური პრინციპი, რომელიც პოლიტიკურის და ნაციონალურის ერთ მთლიანობას ამტკიცებს. ეს პოლიტიკური იდეალია, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოებრიობა თითოეული ერის პოლიტიკური ორგანიზაციის ოპტიმალური ფორმაა. ნაციონალიზმი უნდა განვასხვავოთ პოლიტიკური, ან კულტურული ავტონომიის მოთხოვნისაგან. ნაციონალისტური პროგრამები ასიმილაციის (ხშირად ძალადობრივის) გზით ნაციონალურ ერთგვაროვნებისაკენ მოუწოდებენ, ზოგ შემთხვევებში კი – სხვა ეროვნების ადამიანთა დეპორტაციის, მათი მკვლელობის, ან ირიდენტიზმისაკენ. ბევრ ქვეყანაში, ეთნიკური არაერთგვაროვნების პირობებში, ნაციონალისტურ პოლიტიკას უმცირესობებისათვის მოაქვს ზიანი.

ნუკლეარული ოჯახი

ცოლ-ქმრული წყვილისაგან შედგენილი ოჯახი, შვილებითა და უშვილებოდ. სხვანაირად პატარა და მარტივ ოჯახსაც უწოდებენ. ორი ან რამდენიმე ცოლქმრული ოჯახის გაერთიანებას კი დიდი ან რთული ოჯახი ეწოდება.

ოჯახი

ადამიანთა ერთობლიობა, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებული არიან ნათესაური ან საქორწინო ურთიერთობით და რომლებსაც ყოფაში აქვთ ერთობლივი მეურნეობა. ოჯახი ნებისმიერი საზოგადოების სოციალური ერთეულია. ოჯახში ხდება ბავშვების პირველადი სოციალიზაცია და აღზრდა. ოჯახის საფუძველს წარმოადგენს ქალსა და კაცს შორის საქორწინო კავშირი, აგრეთვე რამდენიმე თაობის სისხლით ნათესავთა კავშირი. ოჯახის ძირითადი ფუნქციებია: ბავშვების დაბადება და აღზრდა, გვარის გაგრძელება, ბუნებრივი კვლავწარმოება და ახალგაზრდა თაობის თავდაპირველი სოციალიზაცია. ქორწინების ფორმიდან გამომდინარე გამოყოფენ საოჯახო ორგანიზაციის მონოგამიურ და პოლიგამიურ ტიპებს. ნათესაური კავშირების სტრუქტურებიდან გამომდინარე გამოყოფენ ოჯახის ნუკლეარულსა და რთულ ფორმებს. ამას გარდა, ეთნოლოგიაში არსებობს „პატრიარქალური ოჯახის“ ცნება, რომელშიც მამა ოჯახის უფროსს წარმოადგენს და მასში ახორციელებს გარკვეულ ხელისუფლებას.

პატრიარქატი

პირველყოფილი თემური წყობილების გვაროვნული ორგანიზაციის ფორმა, რომელიც ხასიათდება მამაკაცის პირველმნიშვნელოვანი როლით საზოგადოებრივ წარმოებაში და თემის სოციალურ ცხოვრებაში. ითვლება, რომ პატრიარქატი მატრიარქატის მომდევნო ისტორიული ფორმაცაა, რომელიც დღემდე ცივილიზაციის საბაზისო ფორმას წარმოადგენს. პატრიარქატი მამაკაცის დომინირების, ქალსა და მამაკაცს შორის იერარქიული დამოკიდებულების ისტორიაა, რომელიც ვლინდება საზოგადოებრივი თუ შრომითი გადანაწილების პრაქტიკაში ქალთა მონაწილეობით და მისი სტატუსით ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. პატრიარქატი პოლიტიკაში, ეკონომიკაში, რელიგიაში, კულტურასა და ისტორიაში გენდერული უთანასწორობის დამკვიდრებელი სისტემაა. ავტორიტარული მმართველობა, ქალურობისა და მამაკაცურობის სტერეოტიპიზაცია, ბავშვის აღზრდის სისტემა, ოჯახური ყოფა, საზოგადოების ეთიკური ნორმები, ამა თუ იმ სოციუმის სტატუს-ქვო პატრიარქალური ზეგავლენის პროდუქტია, სწორედ პატრიარქალური წყობის სიმყარემ და სტატიკურობამ მისცა ბიძგი ქალთა მოძრაობას, ქალთა ემანსიპაციის პროცესს, რომლის მიზანი გახლდათ ღირებულებათა ახალი სისტემის, დემოკრატიული ფასეულობების დანერგვა და მათ შორის ქალთა უფლებების აქტუალიზება.

პოსტკოლონიური სახელმწიფო

სხვაგვარად მათ განვითარებად ქვეყნებსაც უწოდებენ. ეს არის ხელახლა შექმნილი ეროვნული სახელმწიფო, რომელიც მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დეკოლონიზაციის შედეგად გაჩნდა. ამ ქვეყნების

პოლიტიკურ მოწყობაში ბევრი ისეთი ნიშან-თვისება შეინიშნება, რომელიც კოლონიურ ქვეყნებს ახასიათებს.

პოსტმოდერნიზმი

საერთაშორისო პოლიტიკის კვლევის ერთ-ერთი მიმართულებაა.

ეს თეორია ეჭვის ქვეშ აყენებს სახელმწიფოების, როგორც აქტორების ცნებას. მათი აზრით სახელმწიფოებს არ გააჩნიათ მატერიალური რეალობა; არამედ სახელმწიფოები “ფანტაზიის ნაყოფია” რასაც მოქალაქეები და ექსპერტები ქმნიან, რათა გავიგოთ ინდივიდუალური პირების ქმედებები. სახელმწიფოების ქმედებებისა და პოლიტიკის შესახებ არსებული ისტორია სხვა არაფერია თუ არა ადამიანთა ფანტაზიის “შედეგები”. პოსტმოდერნისტები გამოყოფენ რთული სტრუქტურის მქონე რეალობასა და გამოცდილებებს რაც რეალისტების მიერ „შეთხზული“ ობიექტების (სახელმწიფოების) ქვეშ იმალება. პოსტმოდერნისტები, ისეთი კონსტრუქციების როგორიცაა სახელმწიფოები და საერთაშორისო სისტემა, აგრეთვე, რეალისტების მიერ საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ შექმნილი თეორიებისა და მსჯელობების (დისკურსებისა და ნერილობითი მასალების) განხილვით ცდილობენ მოახდინონ აღნიშნული კონსტრუქციების მრავალფეროვნების და მათში არსებული წინააღმდეგობების წარმოჩენა. მათი მიზანია დაანგრიონ ის მოდელები რომელნიც საერთაშორისო ურთიერთობებს მარტივ ობიექტურ კატეგორიად წარმოაჩენენ. პოსტმოდერნისტების მტკიცებით საერთაშორისო ურთიერთობებს ქმნის გამოცდილებათა მრავალფეროვნება რაც არ საჭიროებს გამარტივებასა და კატეგორიზაციას.

პოსტსაბჭოთა სივრცე

ასევე ცნობილია როგორც ყოფილი სსრკ-ის რესპუბლიკები, ანუ დამოუკიდებელი ქვეყნებია რომლებმაც დატოვეს საბჭოთა კავშირი 1991 წელს მისი დაშლის დროს. პოსტსაბჭოთა ქვეყნები შემდეგ ხუთ ჯგუფად იყოფებიან. ისინი განეკუთვნებიან ამა თუ იმ ჯგუფს გეოგრაფიული მდებარეობის და კულტურული განვითარების მიხედვით. ბალტიისპირეთი: ესტონეთი, ლიტვა, ლატვია. ცენტრალური აზია: ყაზახეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი, თურქმენეთი. სამხრეთი კავკასია: საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი. აღმოსავლეთი ევროპა: უკრაინა, ბელარუსია, მოლდოვეთი, რუსეთი.

რასა

ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული ჯგუფები, რომლებიც ერთმანეთისაგან გამოირჩევიან მემკვიდრეობით გადაცემული ფიზიკური თავისებურებებით: კანის ფერი, თმების, თვალის, ცხვირის, ტუჩების, პირის ფორმა, სხეულის პროპორციები და სხვა, აგრეთვე ზოგიერთი “ფარული” ნიშნით (სისხლის ჯგუფი, გემოს შეგრძნების თავისებურებებით, ფიზიოლოგიური ვარიაციებით და ა. შ.). ეთნოლოგიაში მიღებულია ოთხი რასის გამოყოფა; ესენია: ნეგროიდული, ავსტრალიდური, ევროპეიდული და მონგოლოიდური. დიდი რასები იყოფა მცირე რასებად. ამას გარდა, გამოყოფენ გარდამავალ ანთროპოლოგიურ ფორმებს, შერეულ მეტისურ ჯგუფებს. თავისი ძირითადი მორფოლოგიური, ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური მახასიათებლებით რასებს შორის მსგავსება უფრო მეტია, ვიდრე განსხვავება.

რეგიონალიზმი

რეგიონების მიმართ შეხედულებებისა და იდეების კომპლექსი, რომელიც შეიძება არსებობდეს შიდა სახელმწიფოებრივ ან საერთაშორისო დონეზე. რეგიონალიზმი, როგორც პროცესი, შეიძლება გულისხმობს არაფორმალური კავშირებისა და ურთიერთქმედების გაზრდას. იგი უპირველესად ეკონომიკური აქტიურობიდან გამომდინარეობს, მაგრამ ასევე მოიცავს სოციალურ და პოლიტიკურ ურთიერთკავშირს. რეგიონალიზმი ეს არის სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი რეგიონული ეკონომიკური და პოლიტიკური ინტეგრაცია. რეგიონები, ძირითადად, გეოგრაფიული სიახლოვისა და სოციალური ერთგვარობის პრინციპებით განისაზღვრება. საერთაშორისო დონეზე იგი ეკონომიკური ეფექტურობის ზრდასთან და საერთო

უსაფრთხოების მოთხოვნებიდან ასოცირდება. რეგიონალიზმის ინსტიტუციური განხორციელების მაგალითებია ალიანსები, საერთო ბაზრები და თავისუფალი ვაჭრობის ზონები. რეგიონალიზმის ზრდა მსოფლიოში, ერთი მხრივ, სახელმწიფოს სუვერენიტეტის შემცირებას იწვევს, მეორე მხრივ კი უსაფრთხოების, ეკონომიკის, გარემოს დაცვისა და სხვა დარგებში უნივერსალური ინსტიტუტების ჩამოყალიბებას უშლის ხელს. რეგიონული ბლოკებისა და დაჯგუფებების ჩამოყალიბება

- 1945 წლის შემდეგ სწრაფი ტემპებით მიმდინარეობდა. დღეს მსოფლიო პოლიტიკაში რეგიონალიზმ მრავალი ნიშნით არსებობს, რომელშიც გაერთიანებულნი არიან ამერიკის, სამხრეთ-დასავლეთი აზიის, აფრიკისა თუ ევროპის ქვეყნები.

რეალიზი

1. რწმენისა და პრაქტიკის უნიფიცირებული სისტემა საკრალურ (წმინდა) საგნებთან მიმართებაში. მოწინებით დაცულ და განცალკევებულ საგანთა ერთობლიობა, რომელიც მის მომხრეებს აერთიანებს მორალურ თემში ან კიდევ ეკლესიაში (დიურკემი). სოციალური ფუნქციის თვალსაზრისით, არ არსებობს მკვეთრი განსხვავება რელიგიასა (რომელიც აღიარებს სულისა და ზებუნებრივი ძალების არსებობას) და სხვა სოციალურად გამაერთიანებელ იდეას, მაგ., ნაციონალიზმს შორის. ეს უკანასკნელი შეიძლება განიხილებოდეს როგორც რ-ის ფუნქციონალური ალტერნატივა ან კიდევ მისი ფუნქციონალური ეკვივალენტი. ამას გარდა, ზოგი რ. და მასთან დაკავშირებული პრაქტიკა, რომელიც ტრადიციულად რელიგიურად ითვლება (მაგ., კონფუციანელობა და ბუდიზმი), რელიგიის სტანდარტულ განსაზღვრებაში (სულებისა და ღმერთების თაყვანისცემა) ძნელი მოსაქცევია;

2. გელენის თანახმად, რ-დ შეიძლება იწოდებოდეს დოქტრინა, რომელიც ამომწურავ პასუხს იძლევა იმ ძირითად და ეგზისტენციალურ საკითხებზე, რომელთა გადანწყვეტა ემპირიულად შეუძლებელია;
3. ტაილორის თანახმად, სულების არსებობის რწმენა და მასთან დაკავშირებული წესები და პრაქტიკა.

რელიგიური უმცირესობა

ერთი და იმავე რელიგიის მიმდევრების ერთობა, გაერთიანებული საერთო მრწამსით, რომელიც განსხვავდება მოსახლეობის უმრავლესობაში გაბატონებული სარწმუნოებისაგან. რუ შეიძლება მოიცავდეს ქვეყნის ტერიტორიაზე გაბნეულ პიროვნებების ან სოფლად თუ ქალაქად კომპაქტურად მცხოვრები მოსახლეობის მეტ-ნაკლებად მრავალრიცხოვან ნაწილს, ანუ ეს არის ამა თუ იმ სარწმუნოების პიროვნებათა მრეწლი, რომელიც ცდილობს, შეინარჩუნოს თავისი რელიგია და მასთან დაკავშირებული რიტუალი სალოცავი დაწესებულებებისა და საფლავების მოწყობის ჩათვლით. ყველაზე კარგი მაგალითია ქართველ ებრაელთა სტატუსი საქართველოში, კერძოდ თბილისში, რაც საუკუნეების მანძილზე საქართველოში არსებული ტოლერანტობის ერთ-ერთი მაჩვენებელია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობა ცდილობს, აღმოფხვრას ჰიტლერული გერმანიის მიერ განხორციელებული ქმედებები, ებრაელების, რუსებისა და სხვა სლავების მასობრივი განადგურების შედეგები, არ დაუშვას მსგავსი რეციდივები. საერთოდ არ დაუშვას ეროვნული თუ რელიგიური უმცირესობის დისკრიმინაცია როგორც ყოფით, ასევე სახელმწიფო დონეზე.

რეპატრიაცია

იმ პირთა დაბრუნება, მოქალაქეობის, მუდმივი საცხოვრებლის, ან წარმოშობის ადგილას, რომლებიც სხვადასხვა გარემოებათა გამო სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე აღმოჩნდნენ. რეპატრიაცია ჩვეულებრივ, საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე ხორციელდება (მაგალითად, სამხედრო ტყვეთა რეპატრიაცია). ამ შემთხვევაში რეპატრიაციის შესაძლებლობა დაინტერესებული ქვეყნის, ან ქვეყნების კანონმდებლობით უნდა იყოს განსაზღვრული.

რიტუალი

ცერემონიული ხასიათის მოქმედებათა სტანდარტული და მყარი თანამიმდევრობა. შეიძლება გაგებულ იქნეს სამი აზრით:

1. ინდივიდთაშორის ყოველდღიური ურთიერთქმედების პრინციპი, ქცევის ადაპტაციური ფორმა, პიროვნების, ჯგუფის ან დიდი სოციალურ-კულტურული სისტემის ღირებულებითი მახასიათებელი.
2. მერტონის თვალსაზრისით, რიტუალიზმი კულტურულ მიზნებსა და მათ მისაღწევ ინსტიტუციურ ნორმებთან ინდივიდის ადაპტაციის ერთ-ერთი ტიპია. რიტუალი ადაპტაციის ისეთი ფორმაა, როცა ინდივიდისთვის კულტურული მიზნები მიუღებელი ხდება, მაგრამ მათი მისაღწევი ინსტიტუციური წესებისა და ნორმების შესრულებას მაინც აგრძელებს. მერტონი რიტუალს ასე ხსნის: წარმატების მისაღწევად დაწესებული რუტინული პროცედურების მიმდევარი ინდივიდი თავს დაცულად გრძნობს; მარცხში კიდევაც რომ იყოს დარწმუნებული, ინსტიტუციურ მოდელთან თვით ეს შესაბამისობა იცავს მას იმ შფოთისა და ნერვული ჩავარდნებისაგან, რომლებიც შეიძლება პროვოცირებულ იქნეს მიზნის მისაღწევად განხორციელებულ ცდათა წარუმატებლობით.
3. ტრადიციული ნორმები და წესები, რომელთა სისტემატური

შესრულება აღარ შეესაბამება რეალური ცხოვრების მოთხოვნილებებსა და ღირებულებებს.

რიტუალიზმი

მერტონის მიხედვით, საზოგადოებაში ინდივიდთა შეგუების ტიპი, როდესაც ხდება ინსტიტუციური ნორმების გამძაფრებული, უპირობო დაცვა კულტურაში აქცენტირებული მიზნების გათვალისწინების გარეშე. ასე იქცევა, მაგ., ორგანიზაციის წევრი, რომელიც ზედმიწევნით იცავს ორგანიზაციის წესებს, თითქოს ეს იყოს ერთადერთი პირობა (მიზეზი) ამ ორგანიზაციის არსებობისა და მასში მისი უსაფრთხოების შენარჩუნებისა. ესაა მოხელე, რომელიც, შეშინებული იმით, რომ შეიძლება დაითხოვონ ან ვითარება გაუუარესდეს, თავისი შრომის მწარმოებლურობას ყინავს განსაზღვრულ - არც ზრდად და არც კლებად - დონეზე. ინდივიდი უარს ამბობს ძირითად კულტურულ მიზნებზე და რუტინული წესრიგისადმი უსაზღვრო ერთგულებით გამოიჩენება. მოქმედებს ამ შემთხვევისათვის ტიპური ლოგიკა: „არ დაისახოთ მაღალი მიზნები - არ იქნება იმედგაცრუება“, ანდა, „ვცდილობ, ვითამაშო ფრთხილად და თავი არ წამოვყო.“ ამრიგად, რ. არ ითვალისწინებს სოციალურ იერარქიაში წინ და მაღლა მოძრაობას, არამედ ორიენტირდება არსებულის შენარჩუნებაზე.

საერთაშორისო კონფლიქტი

საერთაშორისო ურთიერთობათა გამწვავების უკიდურესი ფორმა, რასაც ზოგჯერ შეიარაღებული შეტაკება მოჰყვება. საერთაშორისო კონფლიქტი შეიძლება მოხდეს ორი ან მეტი სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებს შორის ან ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და მეტროპოლიის შეიარაღებულ ძალებს შორის შეტაკებით. საერთაშორისო კონფლიქტის წინაპირობაა პოლიტიკური კრიზისი მხარეებს შორის, რაც უკიდურესად დაბავს სიტუაციას და ერთმანეთს უპირისპირებს როგორც პოლიტიკურ ელიტებს, ისე მასებს. კონფლიქტების რეგულირების ტრადიციული ფორმებია შეკავება და ძალთა წონასწორობა. საერთაშორისო კონფლიქტების ძირითადი სახეებია ტერიტორიული, რესურსული, ეთნიკური, ეკოლოგიური, იდეოლოგიური კონფლიქტები, რომლებიც უმთავრეს შემთხვევაში პოლიტიკური კონფლიქტის სახით ვლინდება, თუმცა არც თუ იშვიათია მათი გამოვლენა ეკონომიკური და კულტურული კონფლიქტების ფორმებითაც.

საერთაშორისო მიგრაცია

მოსახლეობის მასობრივი გადაადგილება სახელმწიფოებს შორის, რომელიც საგრძნობლად ცვლის განახლების საერთო სურათსა და ცალკეული ქვეყნების მოსახლეობის დემოგრაფიულ, სოციალურ და რასობრივ-ეთნიკურ სტრუქტურას. საერთაშორისო მიგრაცია თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. მიგრაციის გამომწვევი მიზეზები შეიძლება იყოს როგორც პოლიტიკური (მათ შორის ეთნიკური წმენდა და გენოციდი), ისე ეკონომიკური (მატერიალური პირობები გაუმჯობესება), რელიგიური, სოციალურ-კულტურული, ბუნებრივ-ეკოლოგიური და სხვა. განხორ-

ციულების ფორმის მიხედვით გამოყოფენ ნებაყოფლობით და იძულებით მიგრაციებს, ხოლო დროითი განზომილებით – მუდმივსა და დროებითს.

საზოგადოება

სოციოლოგიის ძირითადი ცნება, აღწერს მყარად მოწესრიგებულ ერთობას, გარკვეულ სივრცეზე განფენილ (გარკვეულ ტერიტორიაზე მოქცეულ) ადამიანთა თანაცხოვრებას, რომელსაც სტრუქტურირებული მთლიანობის სახე აქვს. ადამიანის არსებობა-გადარჩენის შანსები დამოკიდებულია სტაბილურ სოციალურ კოოპერაციასა და ურთიერთთანამშრომლობაზე. ადამიანთა გაერთიანება ერთ საზოგადოებაში, ადამიანების ურთიერთთანამშრომლობა აუცილებელია ინდივიდუალური და საზოგადოებრივი მიზნების მისაღწევად. ამ თანამშრომლობას მეტწილად სტრუქტურული და ცნობიერი ხასიათი აქვს. როგორც მთლიანობა, ერთობლიობა – საზოგადოება ყოვლისმომცველ სოციალურ სისტემას წარმოადგენს, რომელსაც გარკვეული ავტარკულობა (დამოუკიდებლობა, თვითკმარობა) აქვს, თუმცა ვიტალური და პირველადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების თვალსაზრისით, ყოველი საზოგადოება დამოკიდებულია ბუნებაზე (ბუნებრივ გარემოზე) და მასთან გაცვლითი ხასიათის ურთიერთობაზე. გელენის თანახმად, ადამიანი „ინსტინქტრედუცირებული“ არსებაა და მისი საზოგადოებრივი ცხოვრება, საზოგადოებრივი ურთიერთობები და ადამიანთა ურთიერთქმედება თავისთავად, ბუნებრივად დადგენილი და ბუნების მიერ მოწესრიგებული არ არის. ადამიანების საზოგადოებრივად მართული ურთიერთქმედება, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ არსებობს, რომ ადამიანები თავიანთ მოქმედებაში ორიენტირებულნი არიან საერთო ინსტიტუტებზე, ღირებულებებსა და ნორმებზე და განიცაიან სანქციების მაი-

ძულებელ ზეწოლას. საზოგადოების სიმყარე დამოკიდებულია იმ ინსტიტუციების ფორმირებასა და მათი ქმედითობის უზრუნველყოფის უნარზე, რომელთაც ყველა ძირითადი საზოგადოებრივი ფუნქციის შესრულება შეუძლიათ. ტ. პარსონსის თანახმად, საზოგადოების ფუნქციას ადამიანების მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საშუალებების კოოპერატიული წარმოება, საზოგადოების რეპროდუქცია, გარე და შიდა უსაფრთხოების დაცვა და ინდივიდებისათვის მსოფლმხედველობის, ღირებულებათა სისტემების, საზრისის სტრუქტურების შეთავაზება წარმოადგენს. სოციალურ-კულტურული ღირებულებები, ლეგიტიმირებული (აღიარებული) სოციალური ნორმები, რომლებიც პოზიტიურ და ნეგატიურ სანქციებს მჭიდროდ უკავშირდება (დასჯა და ნახალისება), აწესრიგებს ადამიანთა ქცევას ყოველდღიურ სიტუაციებში. ნორმათა ამ ერთობლიობის წყალობით, ადამიანთა ურთიერთობის სფეროში ადამიანის ქცევა სიტუაციის შესაბამისად ხორციელდება და შესაძლებელია ამ ქცევის გათვლა-პროგნოზირება. ამა თუ იმ საზოგადოების ფუნქციონირებისა და სიმტკიცისათვის აუცილებელია საყოველთაოდ გაზიარებული ნორმებისა და ღირებულებების არსებობა და სოციალიზაციის პროცესში მოზარდი თაობის მიერ მათი შეძლებისდაგვარად ათვისება-დასწავლა, გაშინაგანება (ინტერნალიზაცია), ყოველდღიურ მოქმედებასა და ქცევაში მათი შესრულება. ღირებულებების გაუფასურება და ნორმების გადაგვარება (ანომია) სოციალიზებული ინდივიდების ორიენტაციაში დაბნეულობას, საზოგადოებისა და კულტურის სტაბილურობის რყევას იწვევს, მაგრამ, ამასთან, ეს მოვლენა სოციალური ცვლილებისათვის ახალ არხებს გახსნის. იროვნების, კულტურისა და საზოგადოების ურთიერთშელწევის შედეგად წარმოიშობა ადამიანთა დამოუკიდებელი, ერთმანეთში გადანული და შეჭიდული კავშირურთიერთობა, რომლის ელემენტები

მხოლოდ აბსტრაქტულად და ანალიტიკურად შეიძლება ერთმანეთისაგან გამოცალკევდეს, რაც სოციოლოგიის როგორც მეცნიერების ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს.

საზოგადოებრივი

გარკვეული ეთნიკური ან რასობრივი ჯგუფის იზოლაცია საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან, დამაბრკოლებელი სამართლებრივი ან ფაქტობრივი შეზღუდვების შეფარდება ამ ჯგუფებისათვის, მათი წევრებისათვის; სპეციალური დასახლების პუნქტებში მოთავსება, გადაადგილების შეზღუდვა, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველაზე დაბალ საფეხურზე იძულებითი შეკავება, განათლების სფეროში განცალკევებული სწავლების შემოღება და სხვ. რასობრივი დისკრიმინაციისა და აპარტიდის შემადგენელი ნაწილია.

სეკულარიზაცია

პროცესი, რომლის დროსაც რელიგიური აზროვნება, პრაქტიკა და ორგანიზაციები კარგავს სოციალური გავლენასა და მნიშვნელობას. ვებერი ამტკიცებდა, რომ მეცნიერული ცოდნისა და რაციონალური აზროვნების განვითარება ჩაენაცვლა მაგიაზე, ცრურწმენებსა და მისტიკაზე დაფუძნებულ რწმენას. სეკულარიზაციის ინდიკატორებად, როგორც წესი, მიიჩნევენ ეკლესიებში მოსიარულეთა, რელიგიურ ცერემონიებში მონაწილეთა შემცირებას, აგრეთვე, ყოველდღიურ ცხოვრებაში ეკლესიისა და რელიგიური ლიდერების ძალაუფლების შესუსტებას. თუმცა, ამ მაჩვენებლების სანდოობას ხშირად ეჭვქვეშ აყენებენ. ამტკიცებენ, რომ ბევრი რელიგიური პრაქტიკა არ არის რეგისტრირებული და სტატისტიკურად აღრიცხული. ესაა ე.წ. „უხილავი“ რელიგიური აქტები: მაგ., ადამიანების მიერ

ღვთისმსახურების შესრულება სახლში მოწყობილ „საეკლესიო კუთხეებში“, რელიგიური ხასიათის სატელევიზიო პროგრამებში ჩართულობა და სხვ. „უხილავი რელიგიურობის“ გამოხატულებად მიიჩნევა ისიც, რომ, როგორც გამოკვლევები გვიჩვენებს, ბევრი ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობა აღიარებს ღმერთის ან რაიმე ზებუნებრივი ძალის რწმენას. გასათვალისწინებელია, აგრეთვე, ფარული (აკრძალული) სექტების არსებობა. ისიც უდავოა, რომ ბევრ საზოგადოებაში ეკლესია კვლავ რჩება არა მხოლოდ რელიგიურ, არამედ გავლენიან პოლიტიკურ და ეკონომიკურ ძალად, ხოლო რიგ ინდუსტრიულ საზოგადოებებში (მაგ. აშშ-ში) რელიგიური ჯგუფების წევრთა რიცხვი არათუ მცირდება, იზრდება კიდევ. სეკულარიზაციის კონცეფციის კრიტიკოსები ეჭვქვეშ აყენებენ ე.წ. „რელიგიის ოქროს საუკუნის“ არსებობას. საბოლოო ჯამში ასკვნიან, რომ რელიგიურმა ინსტიტუტებმა გავლენა კი არ დაკარგეს, არამედ უფრო მეტად სპეციალიზებულნი გახდნენ და შეინარჩუნეს მნიშვნელოვანი ფუნქციები. ამასვე ამტკიცებდა ტ. პარსონსი.

სეპარატიზმი

სუვერენული სახელმწიფს ტერიტორიაზე კომპაქტურად მცხოვრები მცირერიცხოვანი ერის, ეროვნული ან ეთნიკური უმცირესობის მცდელობა - მიაღწიოს ამ სახელმწიფოს ფარგლებში მაქსიმალურ პოლიტიკურ ავტონომიას, ფედერაციაში ცალკე სუბიექტის სტატუსს ან საერთოდ გამოეყოს მას დამოუკიდებელ სახელმწიფოთა გაერთიანებით. შაერთაშორისო სამართლის ნორმების მიხედვით, სეპარატიზმის ყოველგვარი მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს მხოლოდ სახელმწიფოს მთელი მოსახლეობის ნება-

სურვილის გამომჟღავნებით (რეფერენდუმით, პარლამენტის გადაწყვეტილებით). აუშვებელია სეპარატისტული მოძრაობის მცდელობა, ძალით ჩამოაცილოს არსებულ დემოკრატიულ სახელმწიფოს ტერიტორიის ნაწილი და ხელყოს ამ სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობა. შეიარაღებული ძალით ანუ აგრესიული სეპარატიზმის გამოვლენით ე. წ. ამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. ამიტომ სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობა არ ცნობს არც ერთი ძალით გამარჯვებულ დამყარებული რეჟიმის დამოუკიდებლობას.

სიმბოლო

განზოგადებული ნიშანი ანუ გამოსახულება, რომელიც რაიმე საგნის, მოვლენის ანდა ურთიერთობის გამომხატველი და მაგიერია. სიმბოლო შეიძლება წარმოადგენდეს როგორც მატერიალურ საგანს, ისე არამატერიალურ მოვლენას, რომელთა შინაარსი იმდენად რთულია, რომ ის შეიძლება გამოიხატოს, გამოისახოს მხოლოდ გამარტივებული და შეკუმშული ფორმით. თავის საფუძველში სიმბოლოს აქვს გადატანითი მნიშვნელობა. ანსაკუთრებით ბევრი სიმბოლო გვხვდება რელიგიაში, სადაც ბევრია ისეთი მოვლენა, რომლებიც შეუძლებელია რეალურად წარმოვიდგინოთ, და შეიძლება კი გამოიხატოს მხოლოდ პირობითად, ე. ი. სიმბოლურად. შიმბოლიკა გააჩნიათ სახელმწიფოებს (სახელმწიფო დროშა, ღერბი), რელიგიებს (ქრისტიანების სიმბოლოა ჯვარი, იუდეველებისა — „დავითის ჯვარი“), პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და ა. შ. ეთნოსთა ცხოვრებაში ხშირად გამოიყენება ისეთი სიმბოლიკა, რომლების დაკავშირებულია ფოლკლორთან.

ფართოდაა გავრცელებული ფერითი სიმბოლიკა (მწუხარება ევროპელებში შავი ფერით გამოიხატება).

სოფლი

შედარებით მცირერიცხოვანი და მეტ-ნაკლებად ჩაკეტილი დასახლება. სოფლის სოციალური სტრუქტურა განისაზღვრება მასში მცხოვრები ოჯახების რაოდენობით, სადაც ძირითადად სოფლის მეორნეობასა და ხელოსნობას მისდევნენ. სოციალური ურთიერთობა, ისევე როგორც სოციალიზაცია სოფლის საზოგადოებაში კონსერვატიული, ყველასთვის სავალდებულო (ხშირად რელიგიური ხასიათის) ნორმებითაა განპირობებული. შოფლის სტრუქტურის ადვილი თვალსაჩინოება-ხილვადობა, ისევე როგორც ის, რომ „ყველა ყველას იცნობს“, ერთი მხრივ, იწვევს ძლიერ შიდა კონტროლს, ხოლო, მეორე მხრივ, გაუცხოებას გარე სამყაროსა და სოციალურ-კულტურული განვითარებისადმი. სოფლად ცხოვრების წესი (მემკვიდრეობით მიღებული ტრადიციების შენარჩუნება, მეტ-ნაკლები გამიჯნულობა გარე სამყაროსაგან, პროფესიის არჩევისა და განათლების შეძენის შანსების ნაკლებობა) იწვევს კონფლიქტებს, მოსახლეობის დენადობასა და სოფლის მცხოვრებლებს ახლომდებარე ქალაქზე დამოკიდებულებს ხდის. შოფლის თავდაპირველი, ტიპირი სტრუქტურა და ცხოვრების ფორმა იშლება, უპირველეს ყოვლისა, ახალგაზრდა თაობის გადინებით, ინდუსტრიული რაიონებიდან და ქალაქიდან მოსახლეობის პერიოდულად ორმხრივი („ქანქარისებური“) მიგრაციით, ქალაქში მეტი განათლების მიღების შესაძლებლობისა და ქალქურ ცხოვრებაზე ორიენტაციის აღების ზეგავლენით. სოფლის გარკვეული წვლილი შეაქვს ქალაქების მოსახლეობის ზრდაში.

სუბკულტურა

ყოველ კულტურაში არსებობს სუბკულტურები. სუბკულტურა — ესაა გარკვეული სოციოკულტურული ჯგუფისათვის (ახალგაზრდობა, დამნაშავეთა სამყარო, ამა თუ იმ ქვეყანაში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფი, რელიგიური უმცირესობანი და სხვ.) დამახასიათებელი თვისებების მყარი მთლიანობა. გამოყოფენ, მაგალითად, ახალგაზრდულ, კრიმინალურ, ეთნიკურ, რელიგიურ, პროფესიულ, სოციალურ და სხვა სუბკულტურებს. მაგალითად, საქართველოში შეიძლება ვისაუბროთ ეთნიკური (ქურთების, იეზიდების, ბერძნების და ჩვენში მცხოვრები სხვა ეთნოსების), რელიგიური (პროტესტანტული, კათოლიკური, სექტანტური და სხვ.), კრიმინალური (“საძმოები”, “ქურდები” და სხვ.) და ა.შ. სუბკულტურების არსებობაზე. სუბკულტურას გაბატონებული კულტურისაგან განსხვავებული ფასეულობები და ნორმები აქვს, მაგრამ იგი არ უარყოფს, არ უპირისპირდება გაბატონებულ კულტურას, არ გამოდის მის წინააღმდეგ, არამედ არსებობს მის ფარგლებში. სუბკულტურის წარმომადგენლები არ იბრძვიან იმისათვის, რომ საკუთარი ფასეულობანი, იდეები თუ შეხედულებები საყოველთაოდ აქციონ. ირიქით, ისინი დაინტერესებული არიან საკუთარი განსხვავებულობის შენარჩუნებით.

სუბცივილიზაცია

არის სუვერენული წარმონაქმნი ცივილიზაციის შიგნით, რომელსაც აქვს ფასეულობითი საკუთარი სისტემა, ნორმები, ტრადიციები. რამდენადაც ცივილიზაციები არ წარმოდგენენ მონოლითურ და ჰომოგენურ წარმონაქმნებს, მის ფარგლებში არსებულ სუბცივილიზაციებს შორის გარკვეული ურთიერთმიმართება ყალიბდება.

ტაბუ

1. ტერმინი წარმოდგება პოლინეზიური სიტყვიდან ტაბუ (ტაბუ), რაც ნიშნავს წმინდას, ხელშეუხებელს. აკავშირებულია პირველყოფილ კულტურასთან და აღნიშნავს მკაცრ კატეგორიულ ნიშნურ აკრძალვას განსაკუთრებით გამოყოფილი საგნების, ქცევისა და სიტყვის მიმართ, რის დარღვევასაც კოლექტივის მხრიდან მკაცრი სასჯელი მოსდევს, ამასთან, თვით დამრღვემაც შეიძლება საკუთარი თავი დაუწოდებლად დასაჯოს. ტაბუს აკრძალვა სხვა აკრძალვებისგან იმით განსხვავდება, რომ არაფრით მოტივირდება და ასევე არაფრით საბუთდება. თავდაპირველად უკავშირდებოდა ყოველდღიური მოხმარებისთვის აკრძალულ რელიგიურ, სანესიგვეულებო და საცერემონიო ობიექტებს, შემდგომში ასეთი აკრძალვა განივრცო ნებისმიერი სახის აქტზე, ადგილზე, ობიექტზე, ქცევის მოდელზე; ეს უკანასკნელი ყველაზე ხშირად ფიგურირებს ინცესტთან მიმართებაში, რის შესახებაც ბევრი გამოკვლევა ანთროპოლოგიის სფეროში; ფუნქციონალისტები ტაბუს ხსნიან ჯგუფური სოლიდარობის პოზიციიდან, სტრუქტურალისტებს კი აინტერესებთ როგორც ბინარულობის (ორაზროვნების) პრობლემა. თანამედროვე ეტაპზე ტერმინი ფართოდ გამოიყენება.
2. აკრძალვის აქტი თავისთავად.

ტომი

კაცობრიობის ისტორიის პირველი ეთნიკური ერთობა, რომელიც წარმოიქმნა სისხლნათესაური კავშირების საფუძველზე. მასში შემაჯალ წევრებს ჰქონდათ ერთობის სიმტკიცის შეგნება წარმოშობის, კულტურის, ენისა და ისტორიული ბედისა. ანვითარების ადრეულ ეტაპზე ტომი წარმოადგენდა გვარების გაერთიანებას, რომლებიც ერთმანეთთან კულტურის საერთო ნიშნებითა და საერთო წარმოშობის შეგნებით იყვნენ დაკავშირებულნი. ტომი ხასიათდება თავისი ტერიტორიის, საზღვრების არსებობით, რომელსაც მტკიცედ იცავდნენ, ენის (დიალექტის), კულტურისა და რწმენა-წარმოდგენების ერთობით, საერთოსატომო ხელისუფლებით (ბელადი ან სატომო საბჭო), თვითშეგნებითა და თვითსახელწოდებით. როგორც წესი, ტომი მის წევრთა დიდი რაოდენობით არ გამოირჩეოდა, ტომობრივი თვითშეგნება კი უპირველეს ყოვლისა, ეყრდნობოდა ყველა თანამეტომის მითიური წინაპრისაგან წარმომავლობას. დღეისათვის ტომი თავისი კლასიკური სახით ძალიან იშვიათად გვხვდება.

ტოტემიზმი

ადამიანთა მიერ საკუთარი თავის გაიგივების პრაქტიკა ადამიანისგან განსხვავებულ ობიექტებთან, ჩვეულებრივ, ცხოველთან ან მცენარესთან. რელიგიის პირვანდელი ფორმა, როცა სჯერათ თავისი ხალხის, კლანის ტოტემისგან წარმომავლობა. მაგრამ სიმბოლურ მოქმედებებთან მიმართებაში ტერმინს იყენებენ უფრო ფართო გაგებითაც. ფუნქციონალურ ანთროპოლოგიას, კერძოდ, რადკლიფ-ბრაუნს (დიურკემის გავლენით) ტოტემი ესმოდა ჯგუფური სოლიდარობის სიმბოლოდ. ფროიდის თვალ-

საზრისით, ტოტემი შუამავალია არაცნობიერ ბუნებასა და დათრგუნულ კულტურას შორის. შტრუქტურული ანთროპოლოგია მიიჩნევს, რომ ტ. ტაბუს მსგავსად, ბუნების სხვა ინსტანციაა, ამიტომ მისი გააზრება უნდა მოხდეს ადამიანებსა და ცხოველებს შორის განსხვავებათა სტრუქტურაზე დაყრდნობით, იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ მითოსურ ობიექტებს ადამიანური გამოცდილების ამსახველი თვისებები თუ რეალური ცხოვრებისეული ნიშნები მიენერება. შესაბამისად, მიტოლოგიის შესაქმნელად კონკრეტული სინამდვილის მასალა გამოიყენება. ტ. შეიძლება განხილულ იქნეს მოვლენად, რომელიც არ ახასიათებს განვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყნებს, თუმცა ტოტემის შორეულ გამოძახილად მიიჩნევა ზოგიერთი თანამედროვე სიმბოლო, მაგ., თილისმა ან სპორტული გუნდის ემბლემა ცხოველის (მცენარის) გამოსახულებით.

ტრადიცია

ტრადიცია მნიშვნელოვანი ეთნოლოგიური ტერმინია. იგი თაობიდან თაობას გადაეცემა მდგრადი ნორმებისა და პრინციპების სახით. ტრადიცია სარგებლობს საზოგადოებრივი აზრის მხარდაჭერით და არეგულირებს ინდივიდის ურთიერთობას სოციალურად. ტრადიცია შეიძლება იყოს უნივერსალური, ახასიათებდეს მსოფლიოს ბევრ ხალხს ან გააჩნდეს გავრცელების უფრო შეზღუდული არეალი. ასეთია ეთნიკური ტრადიცია. ხშირად ტერმინებს — ტრადიციასა და ჩვეულებას — იდენტურ ცნებებად განიხილავენ, მაგრამ ტრადიცია უფრო ფართო მნიშვნელობის ტერმინია და ჩვეულება მისი შემადგენელი ნაწილია.

ეთნიკურ ტრადიციებს აყალიბებს ეთნოსის ცხოვრების ისტორიული პირობები, მისი სოციალური, სულიერი, ეკო-

ნომიკური ყოფის თავისებურებები. ყოველ ტრადიციულ სოციალურ გარემოში დროთა განმავლობაში ჩნდება ინოვაციები, რომელთა ნაწილი თანდათანობით გადაიქცევა ტრადიციად, ნაწილი კი ქრება. ნებისმიერი ტრადიცია ოდესღაც ინოვაცია იყო და ნებისმიერი ინოვაცია პოტენციალში მომავალი ტრადიციაა. თუკი ჯერ კიდევ ცოცხალია თაობა, რომელსაც ახსოვს ინოვაციური ელემენტის შემოსვლა და დანერგვა, მაშინ ინოვაცია ჯერ კიდევ ახალია. იგი დაახლოებით ორმოცდაათ-სამოც წელს მოითვლის, ხოლო როდესაც ეთნოსის კოლექტიური მეხსიერებიდან ინოვაციის შემოჭრის დრო ამოვარდნილია, მაგრამ წინაპრების გადმოცემით, ამის შესახებ ჯერ კიდევ ლაპარაკობენ, ამ დროს, იგი დაახლოებით ას წელს მოითვლის. ამ ეტაპზე „შვილები“ უკვე ტრადიციად აღიქვამენ იმას, რაც მათ მამებს ჯერ კიდევ ინოვაციად მიაჩნიათ (ს. არუთინოვი). ეთნოსის მიერ სხვათაგან ნასესხები კულტურის ესა თუ ის ელემენტი საწყის სტადიაზე ინოვაციაა, რომელიც გარკვეული ხნის შემდეგ ტრადიციად იქცევა. უფრო ხშირად სესხულობდნენ კულტურის ელემენტებს ერთმანეთის მეზობლად მცხოვრები ეთნოსები. მსესხებელი მეზობლის ტრადიციას და მისთვის ინოვაციას ტრადიციად აქცევდა. ამიტომაც რომ ხშირად ერთმანეთის მეზობლად მკვიდრ არამონათესავე ეთნოსებს ამ თვალსაზრისით უფრო მეტი აქვთ საერთო, ვიდრე თავის ენობრივად მონათესავე ეთნოსთან. მეცნიერებს შენიშნული აქვთ, რომ შვედებს კულტურული თვალსაზრისით უფრო მეტი საერთო აქვთ ფინელებთან, ვიდრე ენობრივად მონათესავე გერმანელებთან. მეორე ფაქტიც შეიძლება გავიხსენოთ: უზბეკებსა და ტაჯიკებს უფრო მეტი საერთო აქვთ, ვიდრე უზბეკებსა და ყირგიზებს. თავის დროზე დიდი მონოთეისტური რელიგიების გავრცელების თანმდევი იყო ინოვაცია, უფრო მეტიც, ისინი, თავის დროზე, სხვადასხვა კულტურების მოდერნიზაციის საშუალებასაც წარმოად-

გენდნენ. მაგალითად, ისლამისა და ისლამური კულტურისა და ტრადიციების გავცელება შიძლება დავასახელოთ, რამაც არაბული კულტურისა და ტრადიციების სწრაფ გავრცელებასთან მიგვიყვანა სხვადასხვა ხალხებში, რომელთათვისაც არაბული ტრადიციები და მთელი რიგი კულტურული მოვლენები თავდაპირველად უცნობი იყო და ისინი ინოვაციასაც წარმოადგენდნენ, რომლებიც შემდეგ მათი ტრადიციული კულტურის ელემენტებად იქცნენ. უფრო მეტიც ისლამისა და არაბული კულტურის, ტრადიციების მიღებამ არაერთი სხვადასხვა ეთნოსის ეთნიკური თავისთავადობის დაკარგვაც, გაარაბებაც გამოიწვია.

ტრადიცია მოქმედებს დაუნერგელი კანონის სახით, საზოგადოებრივი აზრის ძალით. ტრადიციის დარღვევა ქმნის კონფლიქტს პიროვნებასა და საზოგადოებას შორის. ტრადიციების ყველაზე უნივერსალურ ნაწილს ე.წ. რეგიონ-ნალურ-ეპოქალურ კატეგორიას აკუთვნებენ, ნაწილს — ეთნიკურს, ხოლო განსაკუთრებით სწრაფად ცვალებად ტრადიციებს ე.წ. ჯგუფურ ტრადიციებს უწოდებენ.

ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობითობის გაცემაში უმნიშვნელოვანესია ტრადიციის როლი. ტრადიციის მეშვეობით მყარდება კავშირი თაობებს შორის, რაც მემკვიდრეობითობის გარანტიას ქმნის.

ეთნიკური ტრადიცია გულისხმობს იმ ტრადიციებს, რომლებიც მხოლოდ ამ ეთნოსისთვისაა დამახასიათებელი, მისი კულტურის შემადგენელი ნაწილია, თვითმყოფადობის, თვითშეგნების მასაზრდოებელი წყაროა და ოპოზიციის — „ჩვენ“ — „ისინი“ განმსაზღვრელი ნიშანია.

ტრადიცია მჭიდრო კავშირშია ეთნიკურ კულტურასთან, ეთნიკურ ცნობიერებასა და იდენტობასთან. იგი ყოველი ეთნოსის მენტალობის შემადგენელი ნაწილია. აგალითად, ტრადიციულია ქართული ტრადიციული მენტალობის ისეთი ნიშნები, როგორიცაა უფროსისადმი პატივისცემა,

ქალისადმი პატივისცემა, სტუმარმასპინძლობის წესები, ურთიერთდახმარების ტრადიცია და სხვა. ტრადიცია დიდ-წილად აპირობებს პიროვნების ჩამოყალიბებას ადრეული სოციალიზაციის საფეხურზე. ცხადია, ტრადიციულობა უფრო ზოგადი, კოლექტიური ცნობიერების შედეგია, მაგრამ იგი მკაფიოდ არის აღბეჭდილი ინდივიდის ფსიქიკასა და ქცევის წესებში და მისი გამორჩეულობის, სხვა ეთნიკური ჯგუფებისაგან განსხვავებულობის, ხოლო საკუთარ ეთნიკურ სამყაროსთან იდენტობის ჩამომყალიბებელი მექანიზმია. შესაბამისად კი, ყოველ ეთნოსს გააჩნია მხოლოდ მისთვის მახასიათებელი სპეციფიკური ტრადიციები, რომლებიც ეთნიკური კულტურის მნიშვნელოვანი ნაწილია.

უზბანისა

ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული და ურთიერთგანპირობებული სოციალურ – ეკონომიკური მოვლენების რთული შერწყმა, რაც გამოწვეულია ქალაქების მზარდი როლით საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. რბანიზაციის პროცესისათვის დამახასიათებელია ქალაქის მოსახლეობის სწრაფი ზრდა უპირატესად მიგრაციის ხარჯზე, ამიტომაც მის ერთ-ერთ ძრითად მახასიათებლად ითვლება სტატისტიკური ზომა ქვეყნის მოსახლეობის წილისა, რომელიც ცხოვრობს ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებებში. უბანიზაციისათვის დამახასიათებელია მოსახლეობის კონცენტრაცია ქალაქად, რეგლამენტირებული ცხოვრების წესი, რაც ხასიათდება ანონიმურობითა და ფორმალური კავშირ-ურთიერთობებით, შრომის რთული საზოგადოებრივი დანაწილების საფუძველზე საქონლის წარმოების, მოხმარებისა და მომსახურების ინტენსიური ზრდით, ცხოვრების ქალაქური წესის სტანდარტების დაჩქარებული გადატანით სოფლად.

უსაფრთხოების რეჟიმი

უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფოთა მიერ საერთო ინტერესების საფუძველზე შექმნილი წესებისა და გადანაცვების მიღების პროცედურების ერთობლიობა.

ფ

ფემინისტური ეთნოგრაფია

ფემინისტური ეთნოგრაფია სოციოლოგიაში და ეთნოგრაფიულ ძიებებში ქალთა თვალთახედვის, ქალთა ისტორიების რესურსს სწავლობს. იგი მიმართულია გენდერული და რასობრივი უთანასწორობის დაძლევისაკენ. ფემინისტური ეთნოგრაფია ტრადიციულად არსებული ანდროცენტრული კვლევის ერთგვარი ოპოზიციაა და ამა თუ იმ ისტორიულ ფორმაციაში, პერიოდში ან მომენტში გენდერული დამოკიდებულებების შესწავლაზეა ორიენტირებული. ფემინისტური ეთნოგრაფიის კვლევის ერთ-ერთი ფორმაა ქალთა ზეპირი ისტორიები.

უატიში

1. პირველყოფილ კულტურაში საგანი, რომელიც სულის განხორციელებად მიიჩნევა. ასეთი საგნები, ჩვეულებრივ, რელიგიური და მაგიური რიტუალების აუცილებელი ატრიბუტია; ხშირად მაგიასთან ერთად მოიხსენიება.
2. უფრო ფართო გაგებით (ძირითადად ფსიქოლოგიაში, ფსიქონალიზში), არაეროტული ობიექტისადმი (მაგალითად, ტანსაცმლის) აკვიატებული ერთგულება ან ინტერესი. რსებობს ე. წ. სასაქონლო ფეტიშიზმი (მარქსიზმში), რაც გულისხმობს კაპიტალიზმში ადამიანის შრომით შექმნილი მატერიალური ობიექტების შემოსვას „ბუნებრივობით“, რაც სინამდვილეში სოციალური პროცესების შედეგია. მარქსი მიიჩნევდა, რომ პოლიტიკური ეკონომიის დიდი ნაწილი დამნაშავეა ეკონომიკის ფეტიშიზაციაში და ას ფარავს ფუნდამენტურ – ეკონომიკურ და სოციალურ – მიმართებებს.

ფრატრია

სოციალური ორგანიზაციის ფორმა ათენსა და ძველი საბერძნეთის სხვა რეგიონებში. ფრატრიის წევრებს ჰქონდათ თვითმმართველობის საერთო ორგანოები და კულტი. ეს ტერმინი მეცნიერებაში შემოიტანა ლ. მორგანმა. რატრია იყო მონათესავე გვართა გამაერთიანებელი ეგზოგამიური ჯგუფი, რომელიც საქორწინო კავშირში იმყოფებოდა სხვა ფრატრიასთან. ორი ფრატრიის დუალური ორგანიზაცია შეადგენდა ტომს. სეთი ორგანიზაციის მთავარი ფუნქცია იყო საქორწინო ურთიერთობათა რეგულირება.

ქალთა ავტობიოგრაფია

ფემინისტურ ლიტერატურაში არსებული ჟანრი, რომელიც ასახავს ქალის თვალთახედვას საკუთარი ცხოვრების აღწერისას. ფრიად საინტერესოა ჟურნალისტ ქალთა საკუთარი „მე“-ს რეალიზების პროცესის დოკუმენტირება. ცნობილი ამერიკელი ჟურნალისტი ე. ბენკსი იყო პირველი ჟურნალისტი ქალი, რომელმაც ავტობიოგრაფია გამოაქვეყნა. ავტობიოგრაფია მოგვითხრობს ქალის გაცნობიერებულ ბრძოლაზე საზოგადოებრივ სტერეოტიპებსა და თავის ე.წ. ქალურ სანწყისთან. ქალთა ავტობიოგრაფიები ძირითადად მოიცავს „მე“-ს თვითრეალიზაციის პროცესის აღწერას, საკუთარი პროფესიონალიზმის აღიარებისათვის განვლილ გზას – გამარჯვებასა და დამარცხებას.

ქალთა ზეპირი ისტორიები

ფემინისტური ისტორიოგრაფიის მეთოდი, რომელიც ითვალისწინებს ქალის პირადი, სუბიექტური გამოცდილების დისკურსით თანამედროვე საზოგადოების სოციალურ-კულტურული და სულიერი ტრანსფორმაციის აღწერას. ქალთა ზეპირი ისტორიები მოიცავს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში პატრიარქალური ატრიბუტიკის (დომინირება, უთანასწორობა) არსებობს, ქალის საზოგადოებრივი თვითრეალიზაციის ხელშეწყობა-უგულებელყოფის დინამიკის კვლევას. ამგვარი ისტორიების დოკუმენტირება საშუალებას იძლევა აღმოვაჩინოთ და დავაკვირდეთ პოლიტიკური რეალიების გავლენას ინდივიდების თუ სოციალური წრის მენტალიტეტსა და ქცევის მოდელებზე, ინდივიდუალიზაციის, სოციალიზაციის პერიოდზე, სოციალურად ინდიფერენტული და აქტიური

პერიოდების ურთიერთმიმართებაზე. კვლევისას გამოიყენება საოჯახო თუ კერძო საარქივო მასალები და ე.წ. მეორე პირთა მოგონებები თუ შენიშვნები ძირითადი მთხრობელის ზეპირი ისტორიის კორეგირება-შეცდომების მიზნით.

ქორწინება

მამაკაცისა და ქალის ჩვეულებითი სამართლითა და კანონით ერთობლივი ცხოვრებისათვის გაფორმებული კავშირი, რომელიც წარმოშობს მეუღლეთა უფლებებსა და ვალდებულებებს ერთმანეთისა და შთამომავლობის მიმართ. ეთნოლოგიაში არსებობს სყიდვითი ქორწინების ცნება. გამოსასყიდს აძლევდნენ საცოლის ოჯახს ან გვარს. გამოსყიდვა ხდებოდა როგორც ფულით, ისე სასაქონლო ფორმით. ეთნოლოგიურად დადასტურებულია სისხლნათესაობითი ქორწინება. როგორც დედის ხაზით, ისე მამის ხაზით სისხლნათესაობითი ქორწინება დღეს შემორჩენილია შედარებით მცირე პოპულაციებში. კროსკუზეუნრი ქორწინება ჰქვია ქორწინებას ბიძაშვილებს შორის, რომლებიც ერთ გვარს მიეკუთვნებიან. მამისეული ხაზით როგორც ალალი, ისე გარე ბიძაშვილების ქორწინება ორთოკუზეუნრი ქორწინების სახელითაც არის ცნობილი.

ჰეგემონიზმი

ჰეგემონიზმსა, მსოფლიო ბატონობისკენ მისწრაფება. სახელმწიფოს პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს მსოფლიო ან რეგიონალურ ბატონობას, სხვა ქვეყნების დამორჩილებასა და მათთვის საკუთარი ნება-სურვილის თავს მოხვევას. ჰეგემონიზმი არ გულისხმობს სხვა ქვეყნის აუცილებლად ომით დამორჩილებას და ერთი რომელიმე სახელმწიფოს ჰეგემონიის მაინცდამაინც ძალის გამოყენებით დამყარებას. მაგრამ სხვა სახელმწიფოებთან შედარებით ამა თუ იმ სახელმწიფოს სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური უპირატესობა აუცილებელი პირობაა იმისათვის, რომ მოცემული ქვეყანა ჰეგემონი გახდეს – მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეუძლია მას უკარნახოს საკუთარი ნება-სურვილი სხვა ქვეყნებს.

ჩ

ჩალვა

ქსოვილის გრძელი ნაჭერი, რომელსაც მუსლიმანი მამაკაცები იხვევენ თავზე გარკვეული წესით.

ჩანჭი

ქართული ხალხური გამოსაკრავი სიმებიანი საკრავი, არფის მაგვარი. აქვს 6-9 ცხენის ძუის ან აბრეშუმის სიმი. ქალთა საკრავია, ძალზედ ნაზი ტემბრის ბგერით. გამოიყენება სიმღერის თანხლებისათვის. ძირითადად შემორჩენილია დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, სვანეთში.

ჩონგური

ქართული ხალხური ჩამოსაკრავი სიმებიანი საკრავი, გავრცელებულია დასავლეთ საქართველოში (გურია, სამეგრელო, იმერეთი, აჭარა). აქვს აბრეშუმის 4-5 სიმი. ჩონგურზე დაკვრის ტექნიკა, ფანდურთან შედარებით, განსხვავებულია, ამდენად, მრავალფეროვანია. უფრო ხშირად გამოიყენება ქალთა სიმღერების, აგრეთვე, ცეკვების თანხლებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

1. ანთროპოლოგია – მომავლის მეცნიერება?!, თბილისი, 2008.
2. მანველიძე ი. საერთაშორისო პოლიტიკის ლექსიკონ-ცნობარი, თბილისი, 2012.
3. თოფჩიშვილი რ., ხუციშვილი ქ., გუჯეჯიანი რ. თეორიული ეთნოლოგია (სახელმძღვანელო), თბილისი, 2010.
4. კულტურის მეცნიერებათა ინსტიტუტი (ტერმინები).- <http://www.culturedialogue.com/resources/library/terms/index.shtml>
5. სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი, თბილისი, 2004.
6. В. А. Дергачев, Л. Б. Вардомский, Регионоведение, Учебное пособие для студентов вузов, 2008.
7. Гусева В.С., Щербакова Ю.В., Регионоведение, Конспект лекций, 2007.
8. Дипломатический словарь, Издательство политической литературы, том II, Москва 1971.
9. Понятийно-терминологический словарь по курсу «Введение в регионоведение» /автор-составитель М.В. Иванова. – Томск: Изд-во ТПУ, 2004.
10. Понятия и термины культурологии.- <http://www.countries.ru/library/terms/index.htm>.
11. Свод этнографических понятий и терминов (Под общей редакцией академика Ю.В. Бромлея и профессора С. И. Вайнштейна), МОСКВА, 1995.
12. Barfield T. The dictionary of anthropology, 1997.- <http://library.anthropo.ge/index.php?sec=3>.

MANUCHAR LORIA

**THE MAIN CONCEPTS AND TERMS IN
INTERDISCIPLINARY DIRECTIONS
The Region Studies, Athropology, Cultural Researches**

The book deals with subject problems, aims and tasks, conceptual apparatus and general terms related to interdisciplinary studies.

The book is aimed at the students interested in the Region Studies, Anthropology, Culture Sciences/Researches and related disciplines and at the wide range of readers.



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, ი. ჯავახიშვილის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge